


ციალა გეგანიძე

ქრისტიანული სიყვარული
საქართველოში



2013

ციალა ბეჟანიძე

ტექნიკური და
ქართული ენის შესახებ

თბილისი – 2013

წიგნში მოთხრობილია ბეჟანიძეთა ისტორიულ გვარსა და მათ საგვარეულო ციხეზე, ზენდიდელი და ჩაქველი ბეჟანიძეების წარსულსა და აწმყოზე, დამსახურებასა და ცნობილ წარმომადგენლებზე, რაც, ვფიქრობთ, დააინტერესებს მკითხველს.

რედაქტორი – პროფესორი რამაზ ხალვაში

წინათქმა

ვისაც უნდა, რომ საქართველო გაიცნოს,
უნდა ყოველი მისი კუთხე შეისწავლოს.

ა. წერეთელი

მწერლობის პრეტენზია არ გამაჩნია. პროფესიით ფიზიკოსი, უფრო მოყვარულ კალმოსანთა კატეგორიას განვეკუთვნები. ბეჟანიძეთა გვარსა და საგვარეულო ციხეზე წიგნის დაწერას, ალბათ, ვერასოდეს გავბედავდი, რომ არა მამის ანდერძი.

რაც თავი მახსოვს, ოჯახში სულ წარსულზე საუბრობდნენ. განსაკუთრებით მამაჩემი — ნიაზ ბეჟანიძე, რომელიც ამაყობდა თავისი ღირსეული წინაპრებით და ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა ჩვენი საგვარეულოს ისტორიის მიმართ. სულ ძიებაში იყო. ხშირად ამბობდა, რომ ბეჟანიძეების გვარი ერთ-ერთი უძველესია საქართველოში და წარსულში ჩვენი წინაპრები აჭარისწყლის მთელ ხეობას განაგებდნენ.

ამასთან დაკავშირებით მამა გვიკითხავდა ხოლმე ცნობილი მწერლის ი. ფალავას რომანს „სუსხი ავბედობისა“, რომელშიც მონღოლთა ბატონობის დროს რუსუდან დედოფლისგან უსამართლოდ შერისხული ტბელ აბუსერისძისა და ქედის მმართველი ბეჟანისძის სიახლოვეზეა საუბარი: „ნახეთ, რა სივრცეებს გადაწვდა მწერლის აზროვნება. მან ბეჟანიძე-

ები აბუსერისძეების თანამედროვეებადაც კი წარმოგვიდგინა. მართალია, აქ შემოქმედის ფანტაზიასთან გვაქვს საქმე, მაგრამ იმის თქმა დანამდვილებით შეუძლებელია, რომ აჭარის წარსულში კარგად გათვითცნობიერებულმა მწერალმა მშვენივრად იცოდა და მიგვანიშნა კიდევ, რომ ჩვენი კუთხის ერთ-ერთი უძველესი თავადები აბუსერისძეების შემდეგ ბეჟანიძეები არიან“ — ამბობდა იგი და დასძენდა, რომ ბეჟანიძეთა გვარი სწორედ ერისთავთ-ერისთავ აბუსერისძეთა საგვარეულოს განშტოებას წარმოადგენს.

გვიან შუა საუკუნეებში, როცა ქედა აჭარის ერთ-ერთ მთავარ საეპარქო ცენტრად გადაიქცა, აქ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან რამდენიმე თავადური წარმომავლობის გვარი დასახლდა: თავდგირიძეები, ჯაყელები, შერვაშიძეები და სხვები. მათ შორის ადგილობრივი წარმომავლობის მხოლოდ ბეჟანიძეები არიან, რომელთაც ქედასთან ახლოს, თავიანთ სამემკვიდროში საგვარეულო ციხე — „მოდო მნახე“ გააჩნდათ. ციხესიმაგრის ახლოს უძველესი ეკლესიის ნანგრევებია, რაც ნათლად მეტყველებს ზენდიდის დასახლების სიძველეზე.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ XVIII-XIX საუკუნეებში დიდგვაროვანმა ხიმშიაშვილებმა, რომლებიც ამ პერიოდში აბუსერისძეთა სამფლობელოებს განაგებდნენ, მოყვარული კავშირი დაამყარეს ბეჟანიძეებთან, როგორც აჭარის ყოფილი ერისთავთ-ერისთავების მემკვიდრე გვართან. ამ მოყვრობის ნაყოფი იყო დუდი ხანუმ ბეჟანიძისა და მისი ვაჟის — შერიფ ხიმშიაშვილის დაუცხრომელი ბრძოლა ოს-

მალთა ბატონობის წინააღმდეგ, რასაც აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება მოჰყვა შედეგად — დაბეჯითებით გვიხსნიდა მამა.

უნდა ითქვას, რომ მამა ყოველთვის მიჯნავდა ერთმანეთისგან ზენდიდის მკვიდრი პირფარეშისძეებისა (შემდგომში ბეჟანიძეთა) და თულუშბა ბეჟანიძის შტოებს, რადგანაც საგვარეულო ციხის ტერიტორიაზე ეს უკანასკნელნი სახლობდნენ და ციხის მეპატრონეებადაც ისინი ითვლებოდნენ.

საგულისხმოა, რომ მამა განსაკუთრებულ დაინტერესებას ავლენდა საგვარეულო ციხის მიმართ, რომელმაც, გადმოცემებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით, სამხრეთი საქართველოს ისტორიაში თავდაცვითი როლი შეასრულა და მომხდურთა არაერთი იერიში მოიგერია. გული ეთანადრებოდა, რომ ჩვენი კუთხის გადარჩენის ერთ-ერთი სიმბოლო — ივარქმნილი საგვარეულო ციხე არქეოლოგიურად შესწავლილი არ იყო.

ამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით მამამ გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსს ირაკლი ციციშვილს წერილობითი თხოვნით მიმართა და ციხის სქემაც გაუგზავნა. სამმართველომ მალე სპეციალისტები მოაწვინა, რომლებიც ერთი კვირის განმავლობაში სწავლობდნენ ციხეს. კვლევითი პროექტის დამუშავებაც დაიწყო, მაგრამ მის განხორციელებას საქართველოში იმჟამად განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა შეუშალა ხელი.

პარალელურად მიმდინარეობდა ბეჟანიძეებისადმი მიძღვნილი წიგნისთვის მასალების მოძიება. ვინაიდან ბეჟანიძეთა გვარის ისტორია სათანადოდ შესწავლილი არ იყო, საჭირო გახდა ისტორიული დოკუმენტების, სხვადასხვა პერიოდში გამოცემული გამოკვლევების, გვარის ამა თუ იმ თვალსაჩინო წარმომადგენლის ბიოგრაფიებისა და ფოტომასალის შეგროვება, ზენდიდისა და ჩაქვის საგვარეულოს გენეალოგიების შედგენა.

დავეყრდენით არაერთ ისტორიულ წყაროსა და პერიოდულ გამოცემას, ჩამოვაყალიბეთ საკუთარი მოსაზრებებიც, რითაც, ვფიქრობთ, ნაწილობრივ შესაძლებელი გახდა საგვარეულოს ისტორიის საყურადღებო დეტალების წარმოჩენა.

განსაკუთრებული მადლიერებით გვინდა მოვიხსენიოთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რამაზ ხალვაში კვალიფიციური რჩევა-დარიგებებისა და წიგნის რედაქტირებისთვის.

გვარსახელ „ბეჟანი“ ეტიმოლოგია და წარმოგავლობა

საკუთარი სახელი „ბეჟანი“ მომდინარეობს ძველი ირანული სახელისაგან (ვეჟან — „ვეჯელი“). თავკიდური ბგერა სპარსულშივე შეიცვალა: ვეჟან>ბეჟან. ბეჟანი ფირდოუსის უკვდავი პოემის „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი გმირია. ქართულში ამ სახელის კნინობითი ფორმებია: ბეჟია, ბეჟუა, ბეჟუკა, ბეჟიტა, საიდანაც მიღებულია გვარები — ბეჟანიშვილი (თავად ამილახვართა შთამომავლები), ბეჟუაშვილი, ბეჟუკაშვილი, ბეჟიტაშვილი. ამავე ძირისაა გვარები: ბეჟანიძე, ბეჟოკიშვილი, ბეჟანიეშვილი, ბეჟიაშვილი, ბეჟოშვილი, ბეჟიკელაშვილი, ბეჟიკოშვილი...¹

ძველ საქართველოში ძალზე პოპულარული ყოფილა პოემა „ბეჟანიანი“ (პატრ ბერნარდო ნეაპოლელის ცნობა), რომელსაც საფუძვლად დაედო „როსტომიანის“ ბეჟანისა და მანიჟეს (მანიჟავის) სამიჯნურო თავგადასავლის ეპიზოდი. ცნობილია მისი ხალხური ვერსიებიც, რომლებიც შემონახულია ქართლური, კახური, იმერული, ფშაური, ხევსურული, სვანური ვარიანტებით. XIX საუკუნის ბოლოს „ბეჟანიანი“ 12-ჯერ გამოიცა.²

1. ი. ახუაშვილი, „ქართული გვარ-სახელები“, ტ. I, თბ. 2005, გვ. 304-305.

2. ქსე, ტ. II, თბ. 1977, გვ. 311.

საკუთარი სახელი „ბეჟანი“ საფუძვლად დაედო ტოპონიმებსაც. ასეთია, მაგალითად, სოფელი ბეჟანთკარი სამაჩაბლოში, ახალგორის რაიონში, მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს; სოფელი ბეჟანო — ახალქალაქის კოჩიოს რაიონში, ჯავახეთის ზეგანზე, მდინარე ბარალეთის სათავეებში; ბეჟათუბანი — ვლადიკავკაზში, მილითის რაიონში, სადაც გასული საუკუნის 20-იან წლებში აღმოჩენილი ძვ. წ. XI-X საუკუნეების ბრინჯაოს ნივთების ნაწილი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება.

ზემო იმერეთშია ტოპონიმები: ბეჟანას მიწა, ბეჟანიას ყანები, ბეჟანისეული, ბეჟანიშვილისეული, ბეჟანიშვილის სერი.

სახელი ბეჟანი აჭარაში დასტურდება 1664 წლის ჩაქვისა და ამავე პერიოდის ზვანიაურის (კაპრეშუმის) სიგელებში ბეჟიტა-ბეჟიტაის ფორმით.³

სახელი „ბეჟანი“ გავრცელებული იყო ქართველ დიდგვაროვნებშიც. „ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენებია ვინმე ბეჟანი, რომელიც მამასთან, გორგასალთან ერთად დიდი მოურავის (გიორგი სააკაძის) თანამებრძოლებს შორის სახელდება, რომლებიც მას ოსმალეთში გაჰყვნენ.⁴

1740-იან წლებში არაგვის ხეობას ბეჟან ერისთავი განაგებდა. 1714-1728 წლებში ოდიშის მთავარი, ლეჩხუმის ბატონი და იმერეთის ფაქტიური გამგებელი (1721-1728 წლებში) იყო ბეჟან I დადიანი, რომელმაც თავისი ასული მარი-

3. ი. ბეჟირიშვილი, „აჭარის ისტორია გვარ-სახელებში“, ბათუმი, 1996, გვ. 48, 49.

4. „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ. 1959, გვ. 412, 413;

ამი ცოლად შერთო სამეფოს ახალგაზრდა ხელმწიფეს ალექსანდრე V-ს. ბეჟან დადიანი ოსმალებთან ბრძოლაში დაიღუპა.⁵

საქართველოში ცნობილია ამ სახელის მატარებელი სხვა ისტორიული პირებიც, მაგრამ, თემას რომ არ ავცდეთ, ამჯერად ამ ჩამონათვალით დაგვამაყოფილდებით.

ბეჟანიძეები იხსენიებიან აჭარაში ყველაზე მეტად გავრცელებულ ორმოცდაათ გვარს შორის. 1997 წლის მონაცემებით, მათი რიცხვი 1665-ს შეადგენდა. აქედან ქობულეთში სახლობდა 703, ბათუმში — 324, ხელვაჩაურში — 213.⁶ ბეჟანიძეების დანარჩენი ნაწილი ძირითადად აჭარის რაიონებში (მათ შორის ქედაში) ცხოვრობენ, მცირე ნაწილი კი — თბილისში და საზღვარგარეთ (თურქეთში, რუსეთში და ა. შ.).

საგვარეულო გადმოცემა ბეჟანიძეთა გვარის წარმომავლობაზე ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულმა მეცნიერულმა გამოკვლევებმაც განამტკიცა.

ახალგაზრდა მკვლევრის ზ. შაშიკაძის მიერ ოსმალურ არქივებში მოპოვებული 1561 წლით (ჰიჯრით 968) დათარიღებული დოკუმენტით ირკვევა, რომ აჭარის ხეობის ბოლო ქრისტიანი მმართველი ყოფილა ბეჟანი, რომლის სამფლობელოც გადაუციათ ისპირის (სპერის) სანჯაყბეგისთვის. ამავუ წყაროდან ვგებულობთ, რომ აჭარის ხეობას „უფლების გარეშე“ ფლობს „ქრისტიანი ბეჟანი“, რომელიც „აწყობს

5. ქსე, ტ. II, იქვე.

6. ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, „გვარ-სახელები საქართველოში“, თბ. 1997, გვ. 41, 252.

არეულობებს და დაუმორჩილებელია“. ამის გამო არზრუმის ბეგლარბეგის ბრძანებით ეს ტერიტორია მას დროებით ჩამოერთვა.

1563 წლის (ჰიჯრით 971 წ.) ოსმალურ დოკუმენტში გადმოცემულია, თუ როგორ დაიბრუნა ბეჟანმა აჭარის ხეობა. აჭარის ქვეყნის განდგომილ ქართველ თავადთაგან ბეჟანი ჩასულა სტამბულში და მორჩილება გამოუცხადებია სულთნისთვის. მიუღია ისლამის რჯული, ერთგულების ფიცი დაუდია და მეჰმედის სახელით დაბრუნებულა სამფლობელოდ გადაცემულ ცალკე ლივაში (სანჯაყში). ხელფასის სახით მისთვის დაუნიშნავთ 300 ათასი აჩხა. ბეჟანი (მეჰმედი) აჭარის სანჯაყბეგად იხსენიება 1566 წლის დოკუმენტშიც.⁷ სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ბეჟანიძეთა საგვარეულოს წარმოშობა, რომელსაც საფუძვლად საკუთარი სახელი „ბეჟანი“ დაედო.

ბეჟანის ვინაობის შესახებ საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს პროფესორი რ. ხალვაში, რომელიც თვლის, რომ ოსმალურ წყაროში მითითებული აჭარის (აჭარისწყლის ხეობის) დაუმორჩილებელი მმართველი „ქრისტიანი ბეჟანი“ იგივე XVI საუკუნის „კლარჯული სვინაქსრის“ აღაპებში მოხსენიებული ბეჟან აბუსერისძეა, რომელმაც დასაბამი მისცა ბეჟანიძეთა საგვარეულოს.⁸ ამ მოსაზრებას სარწმუნო-

7. ზ. შაშიკაძე, „ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიიდან“, ბათუმის შ. რუსთაველის უნივერსიტეტის მ. აბაშიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული III, ბათუმი 2002, გვ. 152-154.

8. რ. ხალვაში, „ბეჟან აბუსერისძე — აჭარის უკანასკნელი ქრისტიანი მმართველი“, გაზ. „აჭარა“, 20.VI.2003 წ.

ნოს ხდის თულუმბაზადე* ბეჟანიძეების შთამომავალთა შორის შემონახული საგვარეულო გადმოცემაც აბუსერიძეებისა და ბეჟანიძეების ნათესაობის შესახებ.


ზოგიერთი ხალხური გადმოცემა ბეჟანიძეების ძველისძველ წინაპრებად და ზენდიდის ციხის მეპატრონეებად თამარ მეფის დროინდელ პირფარეშისძეებს თვლის, მაშინ როცა ბეჟანიძედ წოდებული პირმსახურისძეები (პირფარეშისძეები) ზენდიდში დღესაც სახლობენ და საგვარეულო ციხის ტერიტორიაზე მცხოვრები ბეჟანიძეებისგან განსხვავებით, „მოდი მნახეს“ გალაგანს გარეთ აქვთ მამული მიკუთვნებული. აქედან გამომდინარე, გამორიცხული არაა ხალხურ გადმოცემებზე დაფუძნებული ზ. ჭიჭინაძის მონათხრობი რომელიმე პირმსახურისძის ნაამბობს ემყარებოდეს,** რაც სრულებით არ აკნინებს ბეჟანიძეთა საგვარეულოს ამ შტოს დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე. პირმსახურისძეთა განშტოების ბეჟანიძეები ოდითგან ზენდიდის ციხის კარიბჭესთან სახლობენ, მისი მიმდებარე მთის (კოსოლიას) ფერდობზე და ვაჟკაცური შემართებით იმთავითვე „მოდი მნახეს“ უერთგულეს დამცველთა ფუნქციას ასრულებდნენ. მიეკუთვნებოდნენ აზნაურთა წრეს და ოსმალურ პერიოდში ალად იწოდებოდნენ. გამოირჩეოდნენ და გამოირჩევიან ღირსეული

*„თულუმბა“ ოსმალური მეტსახელია, შერქმეული ტანსრულობისა და გოლიათური აღნაგობის გამო. „ზადე“ — რუსულ-თურქული ლექსიკონის მიხედვით, იხმარებოდა „შვილის“, „არისტოკრატიული წარმომავლობის“ მნიშვნელობით (მოსკოვი, 1977 წ. ტ. II, გვ. 940).

** იხილეთ, ზ. ჭიჭინაძის, „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება“, ტფ. 1916, გვ. 15.

საზოგადოებრივი საქმიანობითაც, ისევე, როგორც აქ მცხოვრები ხაზინადარები (ხაზინადროლლები), რომლებიც ამჟამად ბერიძეების გვარს ატარებენ.

როგორც ოსმალური წყარო იუწყება „ქრისტიანმა ბეჟანმა“ 1563 წელს სულთანს მორჩილება გამოუცხადა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს იყო ფორმალური აქტი, რათა მას მტრისთვის თვალი აეხვია და ამ გზით ძალაუფლება შეენარჩუნებინა. იგივე წყარო გასაგები მიზეზების გამო ცდილობს მისი გავლენის დაკნინებას და გვამცნობს, რომ 1561 წელს „მისი ძალაუფლება ას კაცზედ არ ვრცელდება“. სინამდვილეში, მაჰმადიანთა მოძალების ჟამს მისდამი ქრისტიანი მოსახლეობის მხრიდან მოსალოდნელი იყო გაცილებით ფართო მხარდაჭერა.⁹ ასეთ გარემოებაში ზენდიდის ციხე უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში.



ბეჟან აბუსერისძე —
აჭარის (აჭარისწყლის) ხეობის
ბოლო ქრისტიანი მმართველი
(მხატვარი კ. ლაფანაშვილი)

9. რ. ხალვაში, დასახელებული ნაშრომი.

ამგვარად, ბეჟანიძეების გვარი აჭარის უკანასკნელი ქრისტიანი მმართველის — ბეჟანისგან უნდა იღებდეს სათავეს. სწორედ ამ ბეჟანის დროს იქცა „მოდი მნახეს“ ციხე ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ ბურჯად. ამავე ბეჟანისგან წარმოსდგა აჭარის ერისთავთ-ერისთავი აბუსერი-სძეების ახალი შტო — ბეჟანიძეთა საგვარეულო. გვარსახელი „ბეჟანიძე“ ოსმალთა ბატონობის პერიოდში გაფორმდა და სიმბოლურია, რომ მას საფუძვლად დაედო ოსმალებისადმი დაუმორჩილებელი მთავრის ქრისტიანული სახელი — ბეჟანი და არა ამავე პიროვნების ოსმალური სახელი — მეჰმედი, რომელიც მან ისლამის ფორმალურად აღიარების შემდეგ მიიღო. ასე, რომ გვარსახელი ბეჟანიძე ინახავდა ოსმალთა დამპყრობლებისადმი დაუმორჩილებლობის იდეას.

აჭარის მრისთავთ-მრისთავი აბუსერისძეების საგვარეულო

ბეჟანიძეების აბუსერისძეთაგან წარმოშობაზე გამოთქვით ვარაუდი და აქვე, მოკლედ ამ უკანასკნელთა სამშობლოს წინაშე დამსახურება გვინდა შევახსენოთ მკითხველს.

აბუსერისძეები (XI-XVI სს.) სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ერისთავთ-ერისთავთა საგვარეულოა, რომელიც ისტორიულ არენაზე ჩნდება ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში (1027-1072 წწ.). „მატიანე ქართლისაის“ მიხედვით, ბაგრატ IV-მ საქართველოს ერთიანი სამეფოს წარმოქმნის შემდეგ „კლარჯი ხელმწიფეების“ სამფლობელოში არტანუჯის საერისთავო დააარსა, რომელიც XI საუკუნის 30-იან წლებში გადასცა „იოვანეს ერისთავსა აბუსერსა“. ამავე ისტორიული წყაროდან ირკვევა, რომ იოანეს ძის — აბუსერის საერისთავო არტანუჯთან ერთად მოიცავდა სამცხეს (ციხისჯვარი, აწყვერი) და აჭარას (ხიხანი), 1044 წელს კი ბაგრატ IV-მ აბუსერი დანიშნა ახლადშემოერთებული სომხური ქალაქის — ანისის გამგებლად.

აბუსერ I-ის პოლიტიკურ ძლიერებას მალე დაესვა წერტილი, ბაგრატ IV-სა და კლდეკარის ერისთავს შორის ატეხილი ომის შედეგად. 1045 წელს ლიპარიტ ბაღვაშმა აბუსერი ანისიდან გამოიძევა სხვა დიდებულებთან ერთად

და მძევლად მყოფ შვილში გაუცვალა მეფეს: „ძე ლიპარიტისი ივანე მძევლად დარჩა ბაგრატიის ხელთა შინა, და ითხოვა იგი ბაგრატიისაგან, და ნაცვლად გაუშუა აბუსერი თავის ციხითა მშვიდობით“. 1047 წელს ბაგრატი IV-სა და ლიპარიტ ბაღვაშს შორის მორიგი შეტაკება მოხდა სასირეთის ჭალაში (ახლანდელი კასპის რაიონი). ბაგრატიის ლაშქარი დამარცხდა და ლიპარიტ ბაღვაშმა კვლავ შეიპყრო აბუსერი, რომლის შემდგომი ბედის შესახებ „მატიანე ქართლისაი“ არაფერს გვაუწყებს. სამაგიეროდ, მემატიანე იხსენიებს აბუსერის შვილს — გრიგოლ I აბუსერისძეს, რომელსაც ამ დროს კლარჯეთის ერისთავობა მიუღია. გრიგოლმა, სულა კალმახელის ინიციატივით, სხვა მესხ დიდებულებთან ერთად აფხაზეთში მყოფ ბაგრატი IV-ს ლიპარიტთან საბრძოლველად მოუწოდა: „შემდგომად მცირედისა ჟამისა სულა ერისთავმან კალმახისამან, გრიგოლ ერისთავმან არტანუჯისამან შეაერთეს სიტყუა და შეიწვივნეს მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მესხნი, და უხმეს ბაგრატს“. ბაგრატი IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშის ბრძოლა ამჯერად არცისციხესთან (ახლანდელი ყულალისი, ახალციხის რაიონი) გაიმართა. მეფე ისევ დამარცხდა. ლიპარიტმა ის „გააქცია“, ხოლო სულა კალმახელი და გრიგოლ ერისთავი შეიპყრო. სულა კალმახელისაგან განსხვავებით, გრიგოლმა არტანუჯი ბაღვაშებს დაუთმო: „შეიპყრეს სულა, კალმახისა ერისთავი, და მრავლითა ტანჯვითა და ძელსა გასუმიტა სთხოვეს კალმახი, და არა მისცა. მასვე ომსა შეიპყრეს გრიგოლ, ძე აბუსერისი, და სთხოვეს არტანუჯი სიკუდილისა ქადებითა და მისცა“. 1058

წელს კლდეკარის ერისთავის განდიდებით უკმაყოფილო სულა კალმახელმა და მესხმა დიდებულებმა ლიპარიტი და მისი ძე ივანე დაატყვევეს და ბაგრატ IV-ს გადასცეს. მეფემ, ერთგულების სანაცვლოდ, სულას უბოძა „მამულობით ციხისჯუარი და ოძრხე ბოდო-კლდითა“. ასე გადავიდა სულა კალმახელის ხელში სამცხის ციხეები, რომლებსაც მანამდე აბუსერისძენი ფლობდნენ. სულა კალმახელმა დასაბამი მისცა სამცხის მთავრების — ციხისჯვარელების გვარს.

ამგვარად, აბუსერისძეებმა XI საუკუნის მეორე ნახევარში დაკარგეს როგორც არტანუჯის ერისთავობა, ისე ციხისჯვარისა და აწყურის ციხეების პატრონობა. მათ სამფლობელოდ დარჩათ ხიხათა (აჭარის) საერისთავო.

აბუსერისძეთა საერისთავო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა „დიდი თურქობის“ დროს. XI საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მეფე გიორგი II ხიხათა საერისთავოსთან ახლოს, ყველისციხეში, იყო გამაგრებული, საიდანაც, თურქ-სელჩუკთა სულთნის — მალიქ-შაჰის მიერ ძლეული, აჭარაში გადავიდა, შემდეგ კი „წარვიდა მეოტი აჭარით აფხაზეთად“. ქართველთა მარცხის შემდეგ, 1080 წელს, „დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა. მოისრა და ტყუე იქმნა ამათ ქუეყანათა მკვიდრი ყოველი. და მასვე ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი, და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი“.

XI-XII საუკუნეების მიჯნაზე ხიხათა საერისთავოში, კერძოდ, სოფელ თხილვანაში აშენდა აბუსერისძეთა გვარის „სამკვიდრებელი“ ეკლესია, რომელიც იოანე მახარებლის სახელს ატარებდა და ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. ეკლესიის ბაღავრის ქვის წარწერაში იხსენიება აბუსერისძეთა ორი თაობა: „ქ. წმიდაო იოვანე მახარებელო, დაიცავენ სულითა და ხორცითა ერისთავთ-ერისთავი აბუსერი და დიოფალ-დიოფალი ვანენი და ძე მათი ზაქარია და შვილნი მათნი და ყოველი ერი მათი და მოხაიშნე ექმენ. დღესა მას სასჯელისასა ნუ დასჯი. ამინ“.

აბუსერ II, ვანენი და მათი ძე ზაქარია XI-XII საუკუნეების მოღვაწეები არიან და წარმოადგენენ „მატიანე ქართლისაიში“ მოხსენიებული გრიგოლ I-ის (აბუსერ I-ის ძის) შთამომავლებს. ეს პირები იხსენებიან ვერნების ეკლესიის წარწერაშიც: „ქრისტე, აღიდენ ერისთავთ-ერისთავნი: გრიგოლ და აბუსერი და ბასილი და შვილნი მათნი — გრიგოლ, ზაქარია“.

ამ უკანასკნელ წარწერაში იხსენიება აბუსერისძეთა რამდენიმე თაობა.

თხილვანისა და ვერნების ეკლესიების მაშენებელთა მემკვიდრეების შესახებ ცნობებს ტბელ აბუსერისძე გვაწვდის თავის ხელნაწერზე დართულ „ანდერძში“. მასში დასახელებული პირები ეკუთვნიან „მატიანე ქართლისაიში“ და საეკლესიო წარწერებში მოხსენიებული აბუსერისძეების მომდევნო თაობებს. მათ შორის ყველაზე უხუცესია დიოფალ-დი-

ოფალი ნისიმე — მწერლის პაპის (ე. ი. აბუსერ III-ის) პაპის (ე. ი. ზაქარიას) და.

„ანდერძის“ პირველ ნაწილში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა თხილვანისა და ვერნების წარწერებში მოხსენიებული ზაქარიას ძის — გრიგოლ II აბუსერიძის შვილებს: აბუსერ III-სა და სანანოს, რომლებმაც დაიბრუნეს „ხიხანი, მტერთა ზედა გაცემულნი, ბრძანებითა ღმრთისა სწორთა პატრონთაითა“. ეს უნდა მომხდარიყო 1191 წელს, როცა გუზან აბულასანისძემ „გაიტანა ტაოსკარი, ვაშლოვანი და სხუანი ციხენი მრავალნი“. საგულისხმოა, რომ ხიხათა ციხესიმაგრის ბედით თამარ მეფე და დავით-სოსლანი დაინტერესდნენ, რომლებმაც აბუსერიძეებს მამული სიგელით დაუმტკიცეს.

ამ პერიოდში აბუსერიძეთა ფეოდალური სახლის მდგომარეობაზე ნათლად მეტყველებს ხიხათა ციხესიმაგრეში „ძველი სახლოვანის“ (ნაგებობის) დაშლა, რომლის აღდგენისა და ციხესიმაგრის ეკლესიის გაფართოების სახსრები არც აბუსერსა და სანანოს ჰქონიათ და არც მათს შთამომავლებს: „მრავალთა უცალოებათა და დამართებათაგან ვერცა მათ მოიცალეს და ვერცა ბიძამან და მამამან ჩუენმან და ვერცა ძმათა ჩემთა და ვერცა მე, ღირსებისაებრ ამათ სიტყუათა კადნიერმან“ — ნათქვამია „ანდერძში“. ასე, რომ XII საუკუნის მეორე ნახევარი აბუსერიძეებისათვის იყო „უცალოებათა (ე. ი. შფოთის, არეულობის) და დამართებათა (ანუ დაღმასვლის)“ პერიოდი.

ამ დროისთვის „დიდი ჭირი“ აბუსერისძეთა მამულში მცხოვრებთათვის წესად ყოფილა ქცეული. „მამულისა ჩუენისა კაცთა, წესისაებრ, დიდი ჭირი ნახეს“ — წერს ტბელ აბუსერისძე.

აბუსერისძეთა ფეოდალური სახლი განსაკუთრებით დაწინაურდა XIII საუკუნის პირველ ნახევარში, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვით ივანე ერისთავთ-ერისთავის შვილებს: აბუსერს, ვარდანს, ტბელსა და ვანენს. მათი მამა ერისთავთ-ერისთავი ივანე აბუსერისძე ბასიანის ბრძოლაში (1203 წ.) ადესრულა „თურქთა ხელითა“.

ტბელისა და მისი და-ძმების მოღვაწეობისთვის გარკვეული იმპულსი მიუნიჭებია შემონახვნიებული დედის — ეკატერინეს (ხათუთა ყოფილის) ღვთისმოსაობას. დიოფალ-დიოფალი ხათუთა მონაზვნად ქმრის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ აღკვეცილა და მთელი არსებით ჩაღრმავებია რელიგიურ ცხოვრებას. დედის კვალს გაჰყოლია დიოფალ-დიოფალი ვანენიც, „რომელმან ეკლესიაი აღაშენა წმიდისა იოვანე მახარებელისაი და ღმრთისმეტყუელისაი, სამკვიდრებელი ჩუენი, და აღავსო საწყაული კეთილი დიოფალ-დიოფლისა ნისიმესი, პაპისა ჩუენისა პაპისდისაი“ — ნათქვამია „ანდერძში“. ამ მოსახსენებელში დასახელებულია თხილვანის ეკლესიის აღმშენებლის — აბუსერ II-ის ასული დიოფალ-დიოფალი ნისიმე, რომლის „კეთილი საწყაული“ ტბელ აბუსერისძის დამ — ვანენმა აღავსო თხილვანის იოანე მახარებლის ეკლესიის „აღშენებით“, ანუ მასზე საბოძვრის გაცემით და არა მარტო ამით. ჩანს, ვანენს შთააგონებდა წინაპართა

ღვაწლი: მას საერო ცხოვრებაში ერქვა თხილვანის ეკლესიის აღმშენებლის, აბუსერ II-ის მეუღლის სახელი. ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძიდან კი ირკვევა, რომ მონაზვნობის სახელადაც მას წინაპრის — „პაპის... პაპისდის“ სახელი — ნისიმე შეურჩევია. ვანენი მონაზვნად უნდა აღკვეცილიყო თავისი მეუღლის, ბოცო ბოცოს ძე ჯაყელის გარდაცვალების შემდეგ. როგორც ცნობილია, 1226 წელს, ჯალალედინის შემოსევის დროს, რუსუდან დედოფალმა ბოცოს და მის უფროს ძმას — მემნა ჯაყელს დააგულა თბილისის დაცვის ხელმძღვანელობა. ქალაქში მცხოვრებმა სპარსელებმა მემნა მოკლეს, თბილისის დამცველები კი ბოცოს მეთაურობით ისანში გამაგრდნენ. 1227 წლის შემდეგ ბოცო ისტორიაში აღარ იხსენიება.

ტბელ აბუსერისძე (დაახლ. 1190-1240), დიდი რუსთველის



ტბელ აბუსერისძე
(მხატვარი შ. ხოლოუაშვილი)

უმცროსი თანამედროვე, მწერალი და ასტრონომი იყო. მას ეკუთვნის რელიგიურ-ისტორიული თხზულება „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისანი და ანდერძნი... მთქუმელისაი“ და ვრცელი ქრონოლოგიურ-ასტრონომიული ტრაქტატი (საკალენდრო ცნობარი) „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებლითა განგებითა“, რომელმაც 350 წლით აღრე მიახე-

და მეცნიერნი იმხანად მოქმედ წელთაღრიცხვათა სისტემების ასტროლოგიურ ცდომილებებზე და 1582 წელს თვით, რომის პაპი გრიგოლ მეთორმეტე აიძულა ქართული მონაპოვრის მიბაძვით რომაული კალენდრის შესწორება ებრძანებინა. ტბელს ეკუთვნის, აგრეთვე, „გალობანი სამთა იოანეთანი: წინამორბედისა, ღვთისმეტყველისა და ოქროპირისა“ და „გალობანი მწვალებელთა შეჩვენებისანი“.

1225-1230 წლებში აჭარა იქცა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ლტოლვილი მოსახლეობის თავშესაფრად: „სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოსაი ივლტოდა ხიზნობად შიშისათვის ხუარაზმელთაისა, გამოქცევასა და მოწყუედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცისშვილთასა, წარტყუენვასა და მოოხრებასა დედაქალაქისა ტფილისისასა და უმეტესთა ადგილთა ლიხთა ამერისა საქართველოსათა... არვინ დაშთა ულტოლველი კერძოთა აჭარისათაცა“ — წერს ტბელ აბუსერისძე. საგულისხმოა, რომ აჭარას, როგორც კარგად დაცულ მხარეს, მტრის შიშით ლტოლვილი ქართველობა სამი საუკუნით ადრე, აბულ-კასიმის შემოსევის დროსაც (914 წ.) მოაწყდა, როგორც ამას სტეფანე მტბევარი გვაუწყებს.

ხვარაზმელთა შემოსევის დროს საქართველოში „არღარა იყო შენებულება თვინიერ ციხეთა და სიმაგრეთა“ — წერს ჟამთააღმწერელი. ამ პერიოდში დაიბრუნა ძველი ფუნქცია ხიხათა ციხესიმაგრემ. აბუსერ და ვარდან ერისთავთ-ერისთავებმა ხიხათა ციხესიმაგრისა და ეკლესიის აღდგენა და მშენებლობის ხელმძღვანელობა ტბელ აბუსერისძეს დააუკლ-

ეს, რომელმაც საგვარეულო „მამულის“, კერძოდ, ხიხათა ძირში მდებარე სოფლის, ბაკოს მკვიდრთა რჩევა-მუდარა გაითვალისწინა და ეკლესიის გაფართოებასთან ერთად, ციხესიმაგრეში „მრავალი სახლოვანიც“ ააშენა. ფაქტობრივად, ტბელ აბუსერისძემ 1222-1233 წლებში ხიხანზე გააფართოვა როგორც ეკლესია, ისე ციხესიმაგრე.

XIII საუკუნის პირველ ნახევარში თვალმისაცემია აბუსერისძეთა სიახლოვე მხარგრძელთა გავლენიან სახლთან. 1216 წელს, ივანე ათაბაგის მიწვევით, დვინის სასამართლოს ტბელ აბუსერისძე დაესწრო. 1235 წელს კი მონღოლთა შემოსევის დროს აჭარას თავი შეაფარა შანშე მხარგრძელმა.

აბუსერისძეთა შემდგომი ისტორიის შესახებ ცნობები მწირია.

XIII საუკუნით თარიღდება „აღაპი და წირვაი აბუსერისძისა ივანესი“, რომელიც პალესტინის ჯვრის მონასტერში განუწესებიათ 26 ოქტომბრისათვის. ჯვრის მონასტრის მოსახსენებლებში გვხვდება, აგრეთვე, „პანაშვიდი აბუსერისძისა სიდედრისა ბორენასი“, რომელსაც პალეოგრაფიულად XIV საუკუნეს განაკუთვნიებენ.

1266 წლიდან აჭარა სამცხესთან ერთად უშუალოდ ემორჩილებოდა მონღოლებს. აბუსერისძეები ამ პერიოდში იმდენად დასუსტებულან, რომ მამულის ნაწილი — სოფ. შუბანი (ახლანდელი შუახევის რაიონი) გაუყვიდიათ, რასაც მოწმობს ნიკოლაოზ ქართლის კათალიკოსის დაწერილი (1081/1082 წ.).

ტბელ აბუსერისძის ხელნაწერის ორ მინაწერში იხსენიება ამირსპასალარი ივანე აბუსერისძე: „აქა მოვიდა აბუსერისძის ივანეს სახლსა შიგან... ამირსპასალარის დაი სითი“ (1352 წ.); „აქა გარდაიცვალა პატრონი... ამირსპასალარი“ (1354 წ.). ივანე III აბუსერისძის ამირსპასალარობა ემთხვევა გიორგი ბრწყინვალის მემკვიდრის — დავით VII-ის მეფობის ჟამს (1346-1360), საიდანაც ირკვევა, რომ გიორგი ბრწყინვალის დროს აბუსერისძეთა საერისთავო უშუალოდ დაექვემდებარა გაერთიანებულ საქართველოს.

აბუსერისძეთა მამულში დღესაც დგას მათი კულტურული ტრადიციების ცოცხალი მოწმე — ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი სხალთის ტაძარი, რომელიც XIII საუკუნის შუა წლებშია აგებული და ფრესკებით შეუძკიათ XIV-XV საუკუნეებში. სხალთის მოხატულობა აჭარაში შემორჩენილი კედლის მხატვრობის ერთადერთი ნიმუშია.

აბუსერისძეები იხსენიებიან XVI საუკუნის ისტორიულ წყაროებშიც. 1516 წლის დოკუმენტში მცხეთის საპატრიარქოს „სამწყსოთა სამცხეს თავადთა“ შორის დასახელებული არიან „აბუსერისძენი სასაფლაოთა, მონასტრითა და კარის ეკლესიითა“, რაც იმას მოწმობს, რომ ხიხათა ერისთავთ-ერისთავები XV-XVI საუკუნეებში არიან სამცხე-საათაბაგოს თავადები, აქვთ თავიანთი სათავადო მამული, კარის ეკლესია, მონასტერი და სასაფლაო. აღსანიშნავია, რომ ბეჟანიძეთა საგვარეულო ამ დოკუმენტში არ იხსენიება. თურქების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობისა და ახალციხის საფა-

შოს ჩამოყალიბების (1579 წ.) შემდეგ აბუსერისძეთა გვარი ისტორიულ წყაროებში აღარ ჩანს*.

* აბუსერისძეთა საგვარეულოს შესახებ დიდალი ლიტერატურა დაგროვდა. მათგან დავასახელებთ: 1) აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მათიანე — 1233, ტექსტი გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, თბ., 1941; 2) აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს: ნ. გოგუაძემ, მ. ქავთარიამ და რ. ჩაგუნავამ, ბათუმი, 1998; 3) ხ. ახვლედიანი, ხიზანის ციხისა და ეკლესიის ისტორიისათვის // ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბათუმი, 1955; 4) ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექციისა, ე. მეტრეველით რედაქციით, თბ., 1973; 5) შ. მამულაძე, აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 2000; 6) ი. სიხარულიძე, ტბელ აბუსერისძე — XIII საუკუნის ქართველი მწერალი, თბ., 1963; 7) ი. სიხარულიძე, ნათელი დაუღამებელი, ბათუმი, 1979; 8) ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., 2003; 9) ტბელ აბუსერისძე, ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, ი. სიხარულიძის რედაქციითა და გამოკვლევით, ბათუმი, 1981; 10) ნ. შოშიაშვილი, აბუსერისძეთა ფეოდალური სახლი XI-XVI საუკუნეებში // აბუსერისძე ტბელი — 800, თბ., 1999; 11) რ. ხალვაში, არსენ ბულმაისიძისძის ეპისტოლე აბუსერ აბუსერისძისადმი // „საისტორიო მაცნე, №4, ბათუმი, 1996; 12) რ. ხალვაში, სამცხე-საათაბაგოს თვადთა გვარები XVI საუკუნეში // „საისტორიო მაცნე, №13, ბათუმი, 2004; 13) რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძე (ბიოგრაფიული ესკიზი) // ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, III, ბათუმი, 2005; 14) რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძის სახისმეტყველება, ბათუმი, 1998; 15) რ. ხალვაში, ტბელ აბუსერისძის „გალობანი მწვალბეღელთა შერეულებისანი“, თბ., 2003; 16) მ. ჭიჭილიშვილი, სხალთა, ბათუმი, 2007.

ზენდიდელ და ჩაქველ ბეჟანიძეთა სამკვიდრეობელი და მათი საზგარეულო ციხე

ზინათა (აჭარის) საერისთაოში აჭარისწყლის ხეობა და მასში შემავალი ქედა-ზენდიდელც შედიოდა. რაც შეეხება „მოდო მნახეს“ ისტორიულ ციხეს, მან, ხელსაყრელი მდებარეობის გამო, „ქრისტიანი ბეჟანის“ ოსმალებისადმი დაუმორჩილებლობის (ბეჟანიძეთა საგვარეულოს დაფუძნების) ჟამს ახალი ფუნქცია შეიძინა. ზენდიდის ციხე რომ უფრო ადრეც არსებობდა, ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ მისგან 150-200 მეტრის მოშორებით მდებარეობს დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელიც, სავარაუდოდ, IX-XI საუკუნეებშია აგებული¹⁰ და ის, ცხადია, აქ მრევლისა და დასახლების გარეშე ვერ გაჩნდებოდა.

პროფ. ი. მოსულიშვილი ოთხკუთხა, ფლეითილი ქვების წყობასთან პარალელს თვით უჯარმისა (VI ს.) და რუსთავის (VIII ს.) უძველეს ციხეებთან და ამ ეპოქის სხვა ძეგლებთან ავლებს. მკვლევარი ამავე პერიოდში აგებულად თვლის ზენდიდის ეკლესიასაც.¹¹ აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ეკლესია ციხესთან ერთიან კომპლექსში უნდა განიხილებო-

10. თ. კომახიძე, „აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი“, წიგნი II, ბათუმი, 2011, გვ. 62.

11. ი. მოსულიშვილი, „ზენდიდის ციხე“, თბ., 1998, გვ. 2. მისივე, ბეჟანიძეების საგვარეულო ციხის კომპლექსის ნაწილობრივი აღდგენისა და კონსერვაციის მუშა პროექტი, თბ., 2002, გვ. 3.



ზენდიდის ეკლესიის ნანგრევები

დეს, რადგან ძველ ციხესიმაგრეებს სამლოცველოები გააჩნდათ როგორც შიგნით, ისე გარე ტერიტორიაზე. ციხეში უძველესი ეკლესია რომ არსებობდა, ამაზე უნდა მეტყველებდეს აქ შემორჩენილი ერთ-ერთი ქვის თაღი.

ზენდიდის ციხის ხანდაზმულობაზე ჩვენი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იძლევა ისიც, რომ დღემდე სათანადოდ არაა შესწავლილი უძველესი არქეოლოგიური დანაშრევების მქონე, ციხის შუა ნაწილში არსებული, ე. წ. მრგვალი სასახლის ტერიტორია.

ვფიქრობთ, აქ წარმოებულმა გათხრებმა ნათელი უნდა მოჰყვინოს ციხის აგების ზუსტ თარიღს.

ბეჟანიძეთა სამკვიდრებელი ჯერ კიდევ ინახავს საიდუმლოს. თანაც, როგორც ყველა ანგარიშგასაწევ მოსაზრებას, ჩვენს ვარაუდებსაც აქვთ არსებობის იურიდიული უფლება.



ზენდიდის ციხის ეკლესიის საგარეუდო შესასვლელი ქვის თალი



მრგვალი სასახლის ტერიტორია

ამგვარად ზენდიდის ციხე XVI საუკუნემდე გაცილებით ადრე არსებობდა, ხოლო XVI საუკუნის მეორე ნახევარში ბეჟანმა განაახლა და გააფართოვა იგი, რაც სტრატეგიული მიზნებით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

საფიქრებელია, „მოდის მნახე“ (შეღარებით მცირე მასშტაბებში) თავდაპირველად XI საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურად მოღვაწე, ციხეებისა და ეკლესიების მაშენებელ, აჭარის მმართველ აბუსერიძეებს აგოთ, რომელთა მმართველობის დასაწყისი ქრონოლოგიურად ზენდიდის ეკლესიის აშენების სავარაუდო პერიოდს ემთხვევა. ამ საგვარეულოს გავლენის შესუსტების კვალობაზე კი ეკლესიის გვერდით არსებული ზენდიდის ციხე აღდგენა-განახლების შემდეგ, XVI საუკუნის II ნახევრიდან, ეტყობა, მათივე განშტოების — ბეჟანიძეების საკუთრებად იქცა.



დაბა ქედის ხედი ს. ზენდიდიდან

ქედა-ზენდიდი სწორედ ამ პერიოდიდან ყალიბდება აჭარის ხეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ზენდიდის ციხიდან შექმლოთ მეციხოვნეებს გაეკონტროლებინათ როგორც დაბა ქედა, ასევე, აჭარისწყლის ხეობაში გამავალი გზები. „მოდი მნახე“ ზომ ოდითგან მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობად ითვლებოდა.

ბეჟანიძეთა უძველესი ფუძე — ზენდიდი მდებარეობს მთიანი აჭარის შუა ნაწილში, მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა მხარეს, მესხეთის ქედის სამხრეთ კალთაზე. ზღვის დონიდან 380 მ. სიმაღლეზე, ბათუმიდან 40 კმ-ის და ქედიდან 1 კმ-ის დაშორებით.

აჭარისწყლის ხეობის ხელსაყრელ პირობებს არ შექმლო გავლენა არ მოეხდინა ამ ტერიტორიის ათვისებაზე ჯერ კიდევ უძველეს პერიოდში. VIII-IX საუკუნეებში აქ გადიოდა ბათუმ-არტანუჯის ეკონომიკური კავშირის მთავარი ძარღვი, რისი დასტურია აჭარისწყალზე, ჯერ კიდევ V-VIII საუკუნეებში აგებული თაღოვანი ხიდები.

სანამ ბათუმი-ახალციხის ცენტრალურ მაგისტრალს გაიყვანდნენ, ძველ გზებზე გამავალი ერთ-ერთი მარშრუტით (ხინო-ზერაბოსელი-ჩაქვი-წონიარისი) მექარაუნეები აჭარის ქედებს გადადიოდნენ და ქობულეთიდან, ბათუმის გვერდის ავლით, ჩადიოდნენ ქედას, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, იყო „მცირე ქალაქის მზგავსი დაბა“, რომლის „მოსახლენი არიან ვაჭარნი“.¹²

12. ვ. ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბ. 1973, გვ. 676.



თაღოვანი (თაშარის დროს აგებული) ხიდი

დ. ბაქრაძე ბეჟანიძეთა სამფლობელო სოფელ ქედას აჭარაში ერთადერთ კომპაქტურად დასახლებულ ადგილად მიიჩნევდა, სადაც ოცი-ოცდაათი დუქნიანი ბაზარი ყოფილა.¹³

ზ. ჭიჭინაძის თქმით, ქედის გარშემო ქართველი მაჰმადიანების 400 კომლი ყოფილა დასახლებული; იმ დროისთვის დაბაში სულ 4 უბანი არსებულა. პარასკეობით აქ პატარა „იარმუკობა“ (ბაზრობა — ც. ბ.) იმართებოდა ხოლმე.¹⁴

ინტენსიური აღებ-მიცემობით „ქედა მაშინ აჭარის სხვა კუთხეებს ტონს აძლევდა“.¹⁵ როგორც ჩანს, ცხოვრების ასეთმა ხელსაყრელობამაც განაპირობა მის გარშემო ბეჟანი-

13. დ. ბაქრაძე, „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, ბათუმი, 1987, გვ. 48.


14. ზ. ჭიჭინაძე, „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, ტფ., 1913, გვ. 135.

15. ხ. ახვლედიანი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“, ბათუმი, 1978, გვ. 43.

ძეებთან დამოყვრებულ სხვა თავადთა (თავდგირიძეების, შერვაშიძეების, სურმანიძეების და ა. შ) დამკვიდრება.

მოსახერხებელი მდებარეობა ჰქონდა სოფელ ზენდილსაც, რომელიც ზემოდან გადაჰყურებდა უძველეს საგაჭრო გზებს და თურქეთში გადასასვლელ ორცვა-მერისის კალთებს. აქედან შეიძლებოდა დაბა ქედისა და მიმდებარე ტერიტორიის დაცვა.

საცხოვრებლად ბეჟანიძეების წინაპრებს საუკეთესო ადგილი შეურჩევიათ. სამი მხრიდან მკვეთრად დაქანებული ფერდობი ახლავს, დასავლეთიდან ვიწრო ველით მთის განშტოებას — გვარამკალოს ქედს უერთდება, აღმოსავლეთით სოფელი გულეზია.



ს. ზენდილი

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ზენდიდი 50-კომლიანი სოფელი ყოფილა, რომელიც შორიდან პატარა ჩანს, მაგრამ „როცა კაცი ზევით ავა და ერთ გორას გადაივლის, იქ დაინახავს ვეება ვაკეს, სადაც სოფლები სცხოვრობენ“. ადგილსაც სახელი ზენდიდი ამ მიზეზით უნდა დარქმეოდა.¹⁶

1874 წელს აჭარაში მოგზაურობისას დ. ბაქრაძეს სოფელ ზენდიდის ფერდობზე შეუნიშნავს საუცხოო „დიდი, ორსართულიანი თეთრი სახლი“, რომელიც ერთ-ერთ ბევრ ბეჟანიშვილს (ბეჟანიძეს — ც. ბ.) ეკუთვნოდა.¹⁷

აღნიშნული სოფლის შესახებ ლაპარაკია თ. სახოკიას ნაშრომშიც,* თუმცა ყველაზე ძველ ცნობებს ამ სოფელზე „ტბეთის სულთა მატიანეში“ (XIII-XIV სს.) ვხვდებით, რომელშიც დასახელებულია ვინმე ჰაპა გიორგასძე: „სულსა გიორგასძის ზენდიდელის ჰაპასას და მისა მეუღლის ნათელის შეუნდვენ ღმერთმან“. შესაძლოა, ამ ჰაპას შთამომავლები იყვნენ „აჭარის ლივის ვრცელ დაეთარში“ (1566-1574 წწ.) ნახსენები: აბრამ ძე ბარამისა, ლევან ძე მისი, გიორგი ძე დაემიასი, ბაბუნა ძე მისი ან შალვა ძე ამირინდოსი.**

ზენდიდში ძირითადად ხარობს კოლხური სახეობის მცენარეულობა. უმთავრესად გვხვდება ნადვნარ-ფიჭვნარ-წაბლნარი ტყეები, ასევე, თხილი, მოცვი, წყავი, ბზა, სხვადასხვა

16. ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, იქვე.

17. დ. ბაქრაძე, იქვე.

* იხ.: „მოგზაურობანი (გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი)“, ბათუმი, 1985, გვ. 208.

** იხ.: ტბეთის სულთა მატიანე, თ. ენუქიძის გამოცემა, თბ., 1977, გვ. 100, 309; აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დაეთრები, ზ. შაშიკაძისა და მ. მახარაძის გამოცემა, თბ., 2011, გვ. 90.



ს. ზენდიდის ტყის მასივი

სახის ხეხილი. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში აქ ფუნქციონირებდა აგრარული საცდელ-საჩვენებელი სადგური.

ფუძე „ზენ“-ს შეიცავენ ტოპონიმები ზენი (აფხაზეთის გალის და ოჩამჩირის რაიონებში — დიხაზურგში, ნაბაკევში, ჭუბურხინჯში, ილორში; ხობის რაიონის ნოჯიხევში) და ზენითი (ქობულეთის, მუხავესტატეს მუნიციპალიტეტში).¹⁸

მონათესავე ტოპონიმია „ზედაზენი“ საგურამოს ქედის ტყიანი მასივის მწვერვალზე, სადაც ადრეშუასაუკუნეების იოანე ნათლისმცემლის სახელობის ბაზილიკაა წამომართული. იგი ერთ-ერთ ასურულ მამას — წმინდა იოანე ზედაზნელს აუგია.

18. ქსე, ტ. IV, თბ. 1979, გვ. 513.

ადგილის სახელი „ზედაზენი“ გვხვდება მცხეთა-ხერკის ტერიტორიაზე და ჭანეთში (ხოფის თემში) მაღალი გორაკის სახელად.

„ზენი“ ტოპონიმებში ხშირად „თავის“, „წვერის“, „შემადლებული ადგილის“ აღმნიშვნელია, რომელიც მსაზღვრელადაც გვხვდება (მაგალითად, ზენობანი|ზე-ობანი, ზენუბანი, ზენდიდი) და ცალკე დამოუკიდებელ ფუძედაც — ზენი, ზენისი, რომელსაც პროფ. ი. სიხარულიძე ასე განმარტავს: „მაღალი გორაა, თავზე მოვაკებაა და სახელიც აქედან წარმოდგება. უნდა გავიგოთ, როგორც ვაკისი, ვაკისა“¹⁹, რაც თანხვედრაშია ზ. ჭიჭინაძის შემოხსენებულ მოსაზრებასთან.

გ. ბედოშვილის განმარტებით, ზედაზენი ნიშნავს „ზემო ვაკე ადგილს“, მთას, რომელსაც ვაკობი წვერი აქვს.²⁰

არაგვის ხეობის ფშავში (ს. კუდოხილიანა) დასტურდება მიკროტოპონიმები დიდზენა და პატარა ზენა.

ერთ-ერთი მოსაზრებით, სახელწოდება ზენდიდი ძვის კულტურაზე დაკავშირებული და უხემოსავლიან ადგილს აღნიშნავს: ზე-ნ-დიდი – აქ „ზე“ ძვეს უნდა ნიშნავდეს „ნ“ თანხმოვანი კი შემდეგაა გაჩენილი, ე. ი. „ძვე დიდი“.²¹

ადგილობრივთა აზრით, სახელწოდება „ზენდიდი“, შესაძლებელია, ზენა დიდის (ღმერთი მაღალის) სადიდებელს უკავშირდებოდეს. ღვთისმსახურებას აქ ხომ უძველესი დრო-

19. ი. სიხარულიძე, „ჭანეთი“ (ლაზეთი), 1977, გვ. 60.

20. გ. ბედოშვილი, „ქართულ ტოპონიმთა განმარტებითი-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, თბ. 2001, გვ. 161, 162.

21. მ. ქამადაძე, ზენდიდის ონომასტიკა (გვარსახელები, ტოპონიმია) – ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, V, ბათუმი, 2007, გვ. 198.

იდან მისდევდნენ, რაზედაც მიანიშნებს ოდესღაც სოფლად მოქმედი დარბაზული ტიპის ეკლესია (სალოცავი).

აღნიშნული ვარაუდის დამასაბუთებელ ერთ-ერთ არგუმენტად ზენდიდელები თვლიან აქედან დასავლეთით მდებარე მთის კლდეზე გამოსახულ ბუნებრივ ჯვარს, რომელიც კარგ ამინდში ყოველთვის შესამჩნევია. აქ ეკლესიისა და დასახლების (სოფლის) გაჩენა თავად ზენა დიდის (ზეციური უფლის) მინიშნებამ განაპირობაო, — სწამთ აქაურებს.

სოფლის უძველესობაზე მეტყველებს აქ არსებული ტოპონიმებიც, რომელთა რაოდენობა 1950-იანი წლებისთვის შეადგენდა 50-ს.

შევეცდებით ზოგიერთი მათგანის წარმოშობაზე დღემდე სოფლად დამკვიდრებული ვარაუდების შესახებ მოუთხროთ მკითხველს. წინაპრებისგან მტრის ღირსეული დახვედრის შემცველი ჩანს ადგილთა სახელები — ნაქუხვარა, ხლართი, გვარამკალო და ციხია კილდე.

„ნაქუხვარა“ ადგილობრივთა მხრიდან მომხდურთა წინააღმდეგ გამოყენებული თოფ-იარაღის ქუხილისმაგვარი ხმის აღმნიშვნელად უნდა გაჩენილიყო, რაც აქაურთა დაუმორჩილებლობაზე უნდა მეტყველებდეს.

„ხლართი“ მტრის შეტყუებას, ხაფანგში გაბმას უნდა ნიშნავდეს, ანუ აქაურები ბრძოლის ტაქტიკაში კარგად უნდა ყოფილიყვნენ გარკვეულნი. ზოგიერთი შეხედულებით, ეს სახელწოდება ადგილს გაუვალობის გამო შეარქვეს.

„გვარამკალო“ ერთ-ერთი ვერსიით, აღებული მოსავლის თავმოსაყარი და დასამუშავებელი კალოდან (ეზოდან) მომ-



გვარამკალის ხედი

დინარეობს, თუმცა, ჩვენი აზრით, უფრო ვარამის, ცრემლისა და მწუსარების აღმნიშვნელ ადგილის სახელად უნდა ჩაითვალოს. შესაძლოა, ამ ტოპონიმში ქართული საკუთარი სახელი გვარამიც ამოვიცნოთ. ასე რომ, გვარამკალო მტერთან ბრძოლაში დაღუპულ ადგილობრივ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად უნდა გაჩენილიყო. არსებობს დიდი და პატარა გვარამკალო.

აღსანიშნავია, რომ საგვარეულო ციხის მახლობლად შემადღებულ ადგილზე განლაგებული ეს ტერიტორია, ხელსაყრელი მდებარეობის გამო, მომხდურის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ არენად ითვლებოდა, საიდანაც სრულად შეიძლებოდა მახლობელი თუ შორეული ტერიტორიების გაკონტროლება. წინაპართა მიერ მისი შესაბამისი დანიშნუ-

ლებით გამოყენების გარდა, აქ მეორე მსოფლიო ომის დროს საზღვართან ახლოს მდებარე თურქეთის საფრთხის გათვალისწინებით, რუსებს სამხედრო ბაზა გააჩნდათ, რაც ამ ადგილის დიდ მნიშვნელობაზე ჩვენს მოსაზრებას კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას სძენს.

„ციხია კილდე“ ადგილს, სავარაუდოდ, სალ კლდესავეთ შეუვალ აქაურთა სიმამაცის სიმბოლოდ უნდა შერქმეოდა. დღეისთვის სოფლის ეს ადგილები საძოვარს, ტყეს, სათესსა და ბუჩქნარს უჭირავს.

ვაზის კულტთან და მვეენახეობასთანაა დაკავშირებული ტოპონიმი „მარანი“, რაც ამჟამად სოფლის უბანია. ეტყობა, აქ საკმაოდ იყო ღვინის დასაყენებელი და შესანახი ადგილები. აქვე დღემდეა შემორჩენილი რამდენიმე ჭურის ნაშთი.



უძველესი ჭურის ნაშთები ს. ზენდიდში

გადმოცემით, წინათ ზენდიდში ვაზის მრავალი სახეობა ხა-
რობდა, ამჟამად კი ძირითადად დაბლარი — ჩხავერი და ცო-
ლიკაურია გავრცელებული.

აღსანიშნავია, რომ უძველესი ქვევრების ნარჩენები და
დოქები „მოდის მნახე“-ს ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგ-
ებმაც აღმოაჩინეს. უტყობა აქ, ოდესღაც კერამიკული წარ-
მოება იყო განვითარებული. ზენდიდში გვხვდება ტოპონიმი
საცერა // ჯიქეთა. თქმულებით, ამ ადგილას კრამიტის და-
მამზადებელი საამქრო ყოფილა და კრამიტის დასამზადე-
ბელ მიწას საცრით ცრიდნენ.



ქვის საცხველი

ზენდიდში ქვის დამუშავების
ტექნოლოგიას კარგად რომ
ფლობდნენ, ამის დასტურია სო-
ფელში ნაპოვნი საცხველების
(ჩამურების) სიმრავლე. მათში
კეტით უმთავრესად პურს და
დომს ცხვავდნენ, ე.ი. სოფლად
ძველთაგან პურიც მოჰყავდათ.

არსებობს შესაბამისი ადგილის სახელიც — „ნაპურალა“.

საყურადღებოა, აგრეთვე, ციხესიმაგრის მახლობლად არ-
სებული ქვაკაცის პირისახის გამოსახულება, რომლის მსგავსი
ნიმუში ნაპოვნია ბეშუმში*. ქვაკაცები ადგილმდებარეობის
— ნასოფლარისა თუ ნაქალაქარის სიძველეზე მიუთითებს.


* იხ. ჯ. მიქელაძე, დოლმენური კულტურის ძეგლები სამხრეთ-დასავლეთ
საქართველოში — ბათუმის უნივერსიტეტის „საისტორიო მაცნე“, XIII, 2004,
გვ. 152-163.

ღვთისმსახურებასთან და ქრისტიანულ აღმსარებლობასთანაა დაკავშირებული აქ არსებული ადგილის სახელი — საყდარი (ნასაყდრალი), სადაც უძველესი ეკლესიის ნაშთები აღმოჩნდა. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის შ. მამულაძის ხელმძღვანელობით წარმოებული მცირე მასშტაბის გათხრების შემდეგ დადგინდა, რომ იგი დარბაზული ტიპისაა (სიგრძით



ს. ზენდიში ნაპოვნი ქვაკაცის პირისანის გამოსახულება

ნ მეტრის და სიგანით 4,8 მ.) და ბაზალტის დიდი ზომის ქვის ლოდებითაა ნაგები, როგორც ზემოთაც ითქვა, IX-XI საუკუნეებში.



ს. ზენდიდის ეკლესიაში აღმოჩენილი ჯვარი

აქვე აღმოჩნდა ერთ-ერთი საფლავი ღვთისმსახურისა ჯვრით.

ქრისტიანული შინაარსის უნდა იყოს ტოპონიმი ბზეკალოც (თუმცა არსებობს განსხვავებული შეხედულება, რომ ეს ტოპონიმი მზიან ადგილს უკავშირდება). ჩვენი მოსაზრებით, თავდაპირველად გეჟონდა „ბზაკალო“, რადგან აქ წინათ ბზებს ახარებდნენ, რომელიც აღდგომის წინა კვირის — ბზობის საეკლესიო დღესასწაულის განუყრელი ატრიბუტია. ბზა, ალბათ, ირგვე-

ბოდა საყდრის ტერიტორიაზეც. ამჟამად ეს ადგილი სათესად გამოიყენება.

ქრისტიანობისადმი საგვარეულოს ერთგულებაზე მეტყველებს ქობულეთელ ბეჟანიძეებში გავრცელებული ერთ-ერთი თქმულებაც, რომ 1600-იან წლებში გვარის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენლის ზენდიდიდან ხინოში გადასვლის შემდგომ ბეჟანიძეებს „საკუთარი დიდი და პატარა ეკლესიები აუშენებიათ, რომელთა ნანგრევები სოფელ ცხემვანში დღესაც შემორჩენილა“.²²

როგორც ცნობილია, ხინოში ოდესღაც საეპისკოპოსო კათედრა მოქმედებდა. ქართველ მეფეთა დარბაზობებზე მიწვეული 36 სასულიერო პირიდან ერთ-ერთი ხინოს ეპისკოპოსი იყო და ხინოშიც, მცხეთის, გელათის, ზარზმის ტაძროვანთა თუ აჭყვის მთავარანგელოზის ეკლესიის მსგავსად, ირწეოდა ქართული მწიგნობრობის აკვანი.²³ ასე რომ, წარმოშობით ზენდიდელ ბეჟანიძეთა მიერ აქ ეკლესიების აგება კანონზომიერი მოვლენა ჩანს.

კარვის ფორმის ქედიდან ან ყანების საყარაულო კარავიდან უნდა მომდინარეობდეს ტოპონიმი „ქედიკარავი“ (ამჟამად საძოვარი), ქვებზე შემოდგმული სკებიდან ან ქვის ზვრელში დაბუდებული ფუტკრის ოჯახიდან კი — „ქვაფუტკარა“, რაც სოფლად მეფუტკრეობის დარგის განვითარებაზეც უნდა მიუთითებდეს. სავარაუდოდ, თაფლის წარმოების

22. ლ. ჯაყელი, ო. მეგრელიშვილი, „სიკეთისა და ბოროტების ჭიდილში“, ბათუმი, 2003, გვ. 13.

23. თ. კომახიძე, „ჭარის ენციკლოპედიური ცნობარი“, წიგნი I, ბათუმი, 2010, გვ. 17.

გარდა აქ, ოდესლაც, მისგან სანთელსაც ამზადებდნენ, რათა სოფლის საყდარში უფლისთვის მიტყვება და მოწყალეობა ეთხოვათ (დღეისთვის აქ ბუჩქნარია).

ზენდიდში გავრცელებული ტოპონიმებია, აგრეთვე, საძოვრები — ნაშენი, წყაროთვალა, ქობლები, გოგიურიქედი, მაყლანა, საფერდავლაი, ხორხიპირი, ფიქალათი, ჭიპათი, ყორიათი, გვალაი, ვერხვანლა, ბერიტყე, ჯუმრიბოლო, მორვითავი; სათესები — წყარვათი (ადგილი, საიდანაც ციხის ჭის მომმარაგებელი წყარო გამოედინება), ნახნავი, ნასელავლე (აჭარისწყლის შენაკადი), ბლიძირი, კალოქვეშა, ჭანჭახაი, ნაფაცხვარი, ნაყიდაი, ფადობაღჩა, ნალობიევი; ბუჩქნარები — ვარდეულა, ბარდნალი, უყვი, სანისლია, ხორხივაკე; აქვე გვხვდება, ასევე, ადგილთა სახელები — აბანოლე, წიწკაური (ჩაით გაშენებული ადგილი), ხველეულთა (ხევი), დიდწერი (ტყე) და სხვა.²⁴

მ. ქამადაძის ნაშრომში აღწერილია ზენდიდის სხვა ტოპონიმებიც: გოგიური (ადრე ვინმე გოგის ადგილი უნდა ყოფილიყო), ღერღი (ტყე, ბუჩქნარი, ქვა-ლორღიანი ფერღობი), ბეთლეში (ტყე, ვაკე) და ბეთლეშის ტბა (სავარაუდოდ, ამ მიდამოებში იდგა ამავე სახელწოდების სალოცავი, ტაძარი), ქვიშნარა, ჩხავნარი (ტოპონიმი უკავშირდება სახელწოდება ჩხავერს), ნაფიცარი (თქმულებით, ფიცის დასადები ადგილი), ყორნალა (ქვიანი, ყორიანი ადგილი), წიფნარი და კატნარი (წიფლის და კატრის ტყეები), დედიყანა (დედიას

24. ი. სიხარულიძე, „სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ტოპონიმია“, წიგნი I, ბათუმი, 1958, გვ. 55,56.

ადგილი), ნაშენი, ნადარბაზვეი და ნაცერცვალი (წინა ვითარების აღმნიშვნელი სახელწოდებები), წისქვილიკარი, ნაბელლავა, შუალელე (აჭარისწყლის შენაკადი), ოთოლათი და ქალასკური (სავარაუდოდ, ზანური წარმოშობის ტოპონიმები), ყელი (ქალასკურში გადასასვლელი უღელტეხილი – ადრინდელი სახელწოდებაა სერიტყე), სასვენი // სასვენია (ადგილი ქალასკურის გზაზე), კილდიძირი, ჯაფარულაწყარო, გუდისწყალი (წყარო, ფერდობი), ბოსტანა (სათესი), კოსოლია (კონუსისებრი მაღალი გორა), გასავალა (ზედა ზენდიდიდან გვარამკალოში გასასვლელი გზა), სათიბიწყალი (წყარო), საძიგველა (ტყე), ვარდიეთი (ბუჩქნარი, ფერდობი), საწუმპი // საწუმპია (ტყე, მაღლობის ვაკე სადაც ხშირად იცის ნისლი და თქორი), ხარნახიდი (ადრე აქ ხიდი ყოფილა), გრძელა (სათესი), შავრდენკილდე (შევარდნის დასაჯდომი ადგილი) – სულ 140-მდე ტოპონიმი.²⁵ პრაქტიკულად, ზენდიდში ყველა ტოპონიმი ქართული წარმომავლობისაა და უცხოური (ოსმალური) წარმოშობის ტოპონიმები არ გვხვდება.

როგორც აქ ჩამოთვლილ ადგილთა სახელებიდან ჩანს, ზენდიდელები ხასიათდებოდნენ მებრძოლი სულისკვეთებით, მისდევდნენ სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებს, როგორიცაა – მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა და ა. შ., ეწეოდნენ ღვთისმსახურებას.

25. მ. ქამადაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 198-203.

* * *

აღსანიშნავია, რომ ზენდიდელ თულუმბაზადე ბეჟანიძეებს ქედის რაიონის გარდა გააჩნდათ მამულები ჩაქვში, სადაც XVIII საუკუნის მიწურულს დაიღო ბინა გვარის ერთ-ერთი უხუცესი წარმომადგენლის — ახმედ ბეგ ბეჟანიძის ვაჟმა სეფერ-ბეგმა. თქმულებით, მას თავდაპირველად სახლი სოფელ გორგაძეებში აუგია, რის შემდეგაც საცხოვრებლად ზღვის პირას, მდინარე ჩაქვისწყლის შესართავთან გადასულა. შემდგომში ჩაქვის მებატონე სეფერ-ბეგის შთამომავლები ბათუმში, მდინარე ყოროლისწყლის და შავი ზღვის შესართავთან, ციხე-სასახლიან თამარის გორასა და მის მიმდებარე 40 დესეტინა მიწას ფლობდნენ.

დ. ბაქრაძის მიერ ამ გორის მონახულებისას აქ შემორჩენილი იყო დიდი კედლისა და ეკლესიის ნაშთები. აქაური „ბეჟანიძის სახლის ზედა სართული ხისა ყოფილა, ქვემო ქვისა... სახლის ახლოს მდგარა ძველი ქვიტკირის გვირგვინიანი ჭა“.²⁶

გადმოცემით, ეს გორა ხელოვნურად გააკეთებინა თამარ მეფემ, „როცა დიდი ლაშქრით ტრაპიზონიდან ბრუნდებოდა“.²⁷

ზოგიერთი წყარო ჩაქველი ბეჟანიძეების სამფლობელოებს ყოროლისთავიდან მოყოლებული შემდეგი მიწებით საზღვრავს: მახინჯაური, მწვანე კონცხი, სახალვაშო, ასევე, ჩაქვი შემოგარენებით ციხისძირამდე.²⁸

26. დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27, 28.

27. დ. ბაქრაძე დასახ. ნაშრომი, იქვე.

28. ი. ბეჟირიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.



ბათუმის თამარის ციხე, XIII საუკუნე

ამჟამად უძველეს საგვარეულო ფუძეში — ზენდიღში ბეჟანიძეთა გარდა ცხოვრობენ: ნიჟარაძეები, ბარამიძეები, ბერიძეები და პაპუნიძეები.

* * *

ბეჟანიძეთა საგვარეულო ციხეს აჭარის თავდაცვით ნაგებობებს შორის მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა. იგი მთის თხემზეა აგებული, ადგილმდებარეობით კეტავს აჭარისწყლის ხეობას და ერთობ ხელსაყრელი პოზიცია გააჩნდა მტერთან ბრძოლისას. იმთავითვე სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა — ბეგოშვილების, ცივასულას, მთისუბნის, ჩხუტუნეთისა და რეგიონის სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობების ერთიან სისტემაში.



ზენდიდის ციხე
(მსატვარი
ჯ. გორგილაძე)

ციხის მშენებლობაზე, მემატიანეებს არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ. აქ არსებულ ნაგებობათა დათარიღება მხოლოდ არქიტექტურულ-არქეოლოგიურ ანალიზს ემყარება. ი. მოსულიშვილის დაკვირვებით, ზენდიდის ციხესიმაგრის არქიტექტურული დეტალები მისი წარმოშობის ადრეულობაზე მიანიშნებენ.²⁹

თურქი მოგზაური ევლია ჩელები მას „აჭარის ციხედ“ მოიხსენიებდა.

29. ი. მოსულიშვილი, „ზენდიდის ციხე“, იქვე.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, აქ 4 სასახლე ყოფილა. ძველ დროში ნაგები საგვარეულო ციხის გალავნის სისქე ორ არშინს შეადგენდა, ერთ ალაგას ციხეს ძველი თლილი ქვაც ჰქონია, ქართულ წარწერებიანი, რომელიც 1889 წელს დაკარგულა.³⁰

საგარაუდოდ, დაკარგულ ეპიგრაფიკულ წარწერაზე ციხის აშენების დრო და პატრონის სახელი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.*



ზენდიდის ციხის გალავნის ნაშთი

ისტორიიდან ცნობილია მაგალითები, როცა „მოდი მნახეს“ მტრისგან შევიწროებული ლტოლვილები და ციხიონები აფარებდნენ თავს. როგორც ჩანს, ამან განაპირობა ძველად ციხის გალავანს გარეთ უცნობის სასაფლაოს გაჩენა.

ჩვენს ყურადღებას იქცევს ციხის სახელწოდება „მოდი მნახე“, რაც მას აქაურ მეციხოვნეთა სიძლიერისა და ქედუხ-

30. ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, იქვე.

* იხ. ჯ. მიქელაძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, II, ბათუმი, 2008, გვ. 18-32.

რელობის გამო უნდა შერქმეოდა: „მოდით და ნახეთ რა აუღებელი ციხის მეპატრონეები ვართ“. ციხესიმაგრის ურყეობა მომხდურთან ბრძოლებში არაერთხელ დადასტურებულა.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონიშვილს თავის აღწერაში მოხსენიებული აქვს „მოდი მნახის“ ციხეები ქართლსა და იმერეთში,³¹ რაც ზენდიდის ციხის სახელწოდებიდან მხოლოდ ბოლო ხმოვნით განსხვავდება. აქედან გამომდინარე, ამ ტოპონიმის წარმოშობა ჯერ კიდევ შესასწავლია.



ზენდიდის ციხის
ერთ-ერთი სათოფურია

ზენდიდის ციხის საბრძოლო დანიშნულებაზე დადასტურებენ დღემდე შემორჩენილი სათოფურები, რომლებიც გოდოლების კედლებშია დატანებული. მტრის შემაკავებელი ფუნქცია გააჩნდა, აგრეთვე, აქ არსებულ გალავანს, კარიბჭეთა საბრძოლო ბაქნებს, საბრძოლო ბილიკებსა და ხვრელებს, სხვა დამხმარე ნაგებობებს, რომელთა შემორჩენილი ნაწილების ზოგად აღწერილობას აქვე გთავაზობთ. იგი შ. მამულაძის და ი.

მოსულიშვილის ხელმძღვანელობით, დ. მინდორაშვილის, მ. ქამადაძის, ჯ. მიქელაძის, მ. ხალვაშის, ტ. ებრალიძის მონაწილეობით მოწყობილი ექსპედიციების გამოკვლევებზეა

31. ვ. ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 42, 156.

დაფუძნებული, რომლებიც 2001-2002 წლებში განხორციელდა.

უპირველესად უნდა ითქვას, რომ მტრის ხელით იავარქმნილი ციხე მკვდრეთით აღსდგებოდა ხოლმე. გადმოცემით, ერთხანს მის ქონგურებზე რკინისგან ჩამოსხმული ჯარისკაცები დაამონტაჟეს და შესაბამისადაც აღჭურვეს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს „მოდი მნახეს“ ციხეს გუშაგები მუდმივად დარაჯობდნენ, რასაც, ვფიქრობთ, მომხდურზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფუნქცია გააჩნდა.

აღნიშნულმა ძეგლმა ჩვენამდე მოაღწია დაზიანებული სახით. შემორჩენილი კედლები მთლიანად დაფარულია სუროს სქელი ფენით, რის გამოც შეუძლებელია კედლის გარე ზედაპირის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა. კედელს მთელ სიგრძეზე კონტრფორსი (ბურჯი) არსად არ ჰქონია.



ზენდიდის ციხის ქვათა წყობა

აღარსადაა დარჩენილი ქონგურებისა და საბრძოლო ბილიკების კვალი, რის გამოც გალაუნის კედლების სიმაღლეზე შეიძლება გაგვაჩნდეს მხოლოდ სავარაუდო მოსაზრებები.

დროთა განმავლობაში ციხემ პირვანდელი სახე იცვალა. მის ტერიტორიაზე განლაგდა სამეურნეო ნაგებობები და რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, სადაც ციხის მეპატრონე ბეჟანიძეებმა დაიდეს ბინა და არასოდეს მიუტოვებიათ იგი. ბეჟანიძეთა შთამომავლები აქ დღესაც სახლობენ და ასე აცოცხლებენ საგვარეულო ციხესიმაგრეს, რაც იშვიათი მოვლენაა საქართველოში. აქვე უნდა ითქვას, რომ არქეოლოგიური გათხრებისას, ზემოხსენებული მონაპოვრების გარდა, აქ აღმოჩნდა მდიდრული ორნამენტით შემკული ჩიბუხები, ერთფერად მოჭიქული ჯამები და ა. შ., რაც კვლევის თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯია.

ციხის შიგა შენობები და გალაუნის კედლები თითქმის ერთი ზომის, 20-40 სმ სიგრძე-სიგანის ოთხკუთხა მოხაზულობის ფლეთილი ქვითაა ნაგები, რომლებიც სანახევროდაა დამუშავებული, თუმცა ერთმანეთს კარგადაა მორგებული და წესიერ ჰორიზონტალურ რიგებადაა დაწყობილი.

ციხეს წაგრძელებული მრავალწახნაგას ფორმა აქვს, რაც მისი გეოგრაფიული მდებარეობითაა განპირობებული. გალაუნს სამი შესასვლელი ჰქონია: აღმოსავლეთიდან — აღმოსავლეთი და სამხრეთი კედლების შემადგენლობაზე, დასავლეთიდან — კარიბჭის, ჩრდილოეთი კედლიდან კი სათადარიგო მცირე კარის სახით. გალაუნის კედლები ციცაბო ფერდობის ზემო უკიდურეს ჰორიზონტალურ ხაზს მიჰყვება. მისი შემ-

ოზღუდული რელიეფის სამხრეთი ოდნავ დახრილია სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. ციხის ტერიტორიის გრძივი ღერძი აღმოსავლეთიდან დასავლეთითაა მიმართული.

გალავნის კედლის სიახლოვეს ძველი ეპოქის ჭაა 20 მ სიღრმისა. ციხის ტერიტორიის შუაში რამდენიმე ადგილას აღინიშნება საძირკვლის კვალი. სწორედ ამან გვაფიქრებინა, რომ სათანადოდ არაა შესწავლილი აქ არსებული ე. წ. მრგვალი სასახლე. ციხესიმაგრის საკანალიზაციო სისტემის მიმღები და არხი ქვის წყობაშია მოქცეული. წყალგაყვანილობის მიღები (სოლონარები) კი თიხისგანაა დამზადებული.



ზენდიის ციხის უძველესი ჭა

ციხის პირველი სართულის შემორჩენილი კედლები სხვადასხვა სიმაღლისაა (მაქსიმუმ — 2,25 მ, მინიმუმ — 0,50 მ, სიგანე მაქსიმუმ — 120 სმ, მინიმუმ — 90 სმ). შესასვლელი სამხრეთიდან, ეზოს მხრიდან ჰქონია, რაზედაც მიანიშნებს გათლილი ქვის ზღურბლზე კარის ღიობის ქვისავე წითხლები.

სართული დიდი და მცირე ზომის სათავსოებადაა დაყოფილი, რომელთა შორის ქვის კედლის სიგანე 90 სმ-ია. სათავსოები ერთმანეთთან დაკავშირებული იყო კარის ღიობით.

ნაგებობა გვიან პერიოდში გადაუკეთებიათ, რის შესახებაც მეტყველებს აღნიშნულ სართულში ჩასასვლელი პანდუსი, რომელიც, როგორც ჩანს, მიეკუთვნება მეორე სართულის დანგრევის პერიოდს. წინა შემოსასვლელ სათავსოში სამხრეთის კარის გარდა სხვა ღიობის კვალი არ აღინიშნება, რადგანაც კედლები საბრძოლო ზერელისა თუ სარკმლის ღიობის ნიშნულს დაბლაა განთავსებული.

დიდი სათავსო მოცულობით დარბაზს გვაგონებს, რომლის განათებისთვის სამხრეთის კედელში განლაგებული იყო ერთადერთი სარკმელი. იგი, ალბათ, საბრძოლო დანიშნულებისთვისაც გამოიყენებოდა. სამხრეთი კედლის სიმაღლე გარედან 6 მეტრი, ინტერიერიდან კი — 1,70 სმ-ია.

ციხის დასავლეთის და ჩრდილოეთის კედლები ყრუა. აღმოსავლეთის კედელი და ჩრდილოეთის კედელი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან 6 მეტრის სიმაღლისაა, ჩრდილო-დასავლეთის კუთხესთან — 1,0 მ. სამხრეთის კედელი აღმოსავლეთის კუთხესთან 5 მეტრია, დასავლეთის კუთხესთან — 30 სმ.

გალავნის აღმოსავლეთის კედლის სისქე 110 სმ-ია; გარედან კედლის სიმაღლე მაქსიმუმ — 3,5 მეტრი, მინიმუმ — 1,10 მ. ეზოს მხრიდან — მაქსიმუმ — 1,5 მეტრი, მინიმუმ — 0,35 მ.

ციხის კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთის კარიბჭე ორ-სართულიანი ოთხკუთხა ნაგებობა ყოფილა (6,0X5,0მ). შესასვლელი კარი ჰქონია სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. შემორჩენილია კიბის კედლის ფრაგმენტი.



ცხის სამხრეთი კარიბჭის პოსტამენტი



ცხის აღმოსავლეთი კარიბჭე



ციხის სამხრეთი ნაწილის გოდოლი

გალაუნის სამხრეთის კედლის სიგრძე აღმოსავლეთის კარიბჭედან დასავლეთის კედლის №2 გოდოლამდე 80,29 მეტრია. გადარჩენილი კედლების საერთო სიგრძე 27,0 მ. გალაუნის 53,29 გრძივი მეტრი აღარ არსებობს. კედლის შუა ადგილას ჩართულია ნახევარწრიული გოდოლი №1, საიდანაც აღმოსავლეთის კარიბჭემდე მანძილი 29,28 მეტრია.

აქ არსებული საცხოვრებელი სახლის მიყოლებაზე გალაუნის კედელი №1 გოდოლიდან მრუდი ხაზით №2 გოდოლამდე მიემართება. გოდოლებს შორის მანძილი 39,19 გრძივი მეტრია. მათ შორის შემორჩენილი კედლის სიგრძე 8,19 გრძივი მეტრი.

გოდოლი №1 ნახევარწრიულ ფორმასთან ერთად ოდნავ ელიფსურია, რომლის კუთხიდან ჩრდილოეთის მხარეს კედ-

ლის სიგრძე 8 მეტრია, სიგანე 140 სმ. გოდოლის აღმოსავლეთის წრიული ნაწილის მოცულობა მცირეა. დასავლეთის წრეზე კედლის სიგანე კი 1,0 მეტრს შეადგენს. გოდოლის კედელში ოთხი სათოფურია. კედლის სიმაღლე ეზოს მხრიდან 1 მეტრს აღწევს, გარე მხრიდან მომრგვალებულ შუა ხაზზე 2,70 მეტრს.

გალაუნის დასავლეთის კედელი ვაკე რელიეფზეა განთავსებული. ორივე ბოლოში წრიული მოხაზულობის თითქმის ერთნაირი ზომის გოდოლები აქვს დატანებული — სამხრეთის გოდოლი №2 და ჩრდილოეთის გოდოლი №3, რომელთა შორის კედლის სიგრძე 32 მეტრია. ამჟამად შემორჩენილი კედლის სიგრძე 22 მ, სიმაღლე 110 სმ, სიგანე 110 სმ.

გოდოლი №2-ის წრის სამი მეოთხედი გალაუნის კედელს გარეთაა, შიგნითა მხარეს კი სწორი კედელი აქვს, რომელ-



ცხის ერთ-ერთი გოდოლის შესასვლელი

შიც 83 სმ სიგანის კარის ღიობი ამჟამად დანგრეულია. ეზოს მხრიდან დამატებით პირველი სართულის 80 სმ სიმაღლის კედელია შემორჩენილი. გოდოლის შესასვლელის მარჯვნივ ერთი სათოფურია, სხვა დანარჩენების კვალი აღარაა დარჩენილი.

გალაუნის ჩრდილოეთის კედელი ერთ სწორ ხაზზე მდებარეობს. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან განლაგებული ნაგებობის დასავლეთი მხრიდან №3 გოდოლამდე 56 მეტრია. გალაუნის კედლიდან მხოლოდ 14 გრძივი მეტრია შემორჩენილი (კედლის სისქე 110 სმ, სიმაღლე ეზოს მხრიდან 2,5 მ, გარედან — 3,2 მ), სადაც მხოლოდ ერთი სათოფურია.

გოდოლი №3 ანალოგიურია №2-ისა. მისი კედელი მიწის დონიდან საშუალოდ 90-110 სმ-ზეა. აქვს თავდაპირველი სახით შემორჩენილი პირველ სართულში შესასვლელი თაღო-



ცინის გოდოლის ფუძე

ვანი კარის ღიობი (სიმაღლით 170 სმ, სიგანით 60 სმ). ქვები სუფთად გათლილი კვადრებია.

ღიობის სამხრეთ კუთხეში შემორჩენილია გალაგნის კედელთან შედუღაბებული დიდი ზომის სუფთად გათლილი ქვიშაქვის წირთხლი, რაც დაფუძნებულია იგივე ზომისა და აღნაგობის ზღურბლის ქვაზე. ამ გოდოლიდან 8 მეტრის დაშორებით მდებარე კედელში განთავსებული ყოფილა დასავლეთის კარიბჭე.

კარიბჭის სამხრეთ მხარეს ყოფილა ქვის კიბე საბრძოლო ბაქანზე ასასვლელად. თავად კარიბჭე შესასვლელის გამაგრებისთვის იყო განკუთვნილი და გაძლიერებულ ნაგებობას წარმოადგენდა. მის შესასვლელთან, სადაც კიბის პირველი საფეხურია, გალაგნის კედელში საბრძოლო დანიშნულების ღიობია დატანებული. ვფიქრობთ, მტერთან ხანგრძლივი ბრ-



ცინის ერთ-ერთი კედლის ფრაგმენტი

ძოლის წარმოების მნიშვნელობა ჰქონდა აქ არსებულ საიდუმლო გვირაბს, რომელიც, გადმოცემით, ციხის ტერიტორიიდან ჩრდილოეთით ხევს უერთდებოდა.

* * *

ბუნებრივია, საბრძოლო დანიშნულების ციხეს არაერთი ჭირ-ვარამის გადატანა მოუხდა. სწორედ აქედან უწევდნენ მედგარ წინააღმდეგობას ბეჟანიძეები, აჭარის რჩეულ მამულიშვილებთან ერთად, მომხდურთ. ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, ერთ-ერთი ბრძოლა აქ სპარსელებთანაც გამართულა, რასაც წინ საქართველოს ისტორიის ერთი ასეთი ავბედითი ეპიზოდი უძღოდა.

სამცხის ათაბაგთა კარზე აღზევებულმა ვარაზ შალიკაშვილმა, თავისი სიძის — შაჰ-თამაზის დახმარებით ათაბაგთა მოდემის ამოწყვეტა და მესხეთის ტახტის დაუფლება გადაწყვიტა, რაც გაიგო ათაბაგის მეუღლემ დედისიმედმა და ვარაზი მოაკვლევინა. ამას სამცხის აოხრება მოჰყვა. შაჰმა საათაბაგოს დაბეჭდილი აიკლო: „დააქცია ეკლესიები, ზარზმა გააუქმა, რამდენიმე ბერი დააღრჩო, ასეთივე შავი დღე მიაყენა, საფარას, ვარძიას, სხალთას“. ამის გამო დედისიმედმა შვილებითურთ ზენდიდის ციხეს შეაფარა თავი.

აქვე შეკრებილმა აჭარის ვაჟკაცობამ მოითათობირა — თუ შაჰ-თამაზი დაპყრობას დაგვიპირებს „...მაშინ ყველა ჩვენთაგანი მოჰკვდეს საქართველოსთვისო. ყველამ ფიცი მისცა, ვინც საქართველოს უღალატოს... შერცხვენილ იქმნეს და შეჩვენებულიო...“. ეს ბრძოლა გამართულა 1575-1576 წლებ-

ში³², რომლის დროსაც „...მოსწედა საუკეთესო ვაჟკაცობა აჭარელთა...“, თუმცა არც მტერს დასდგომია კარგი დღე. შესაძლოა, აქ თარიღის ცთომილებასთან გექონდეს საქმე, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარი იმ ომის გახსენებაა, რომლის სიმძიმე „მოდი მნახე“-მ, მისმა მეპატრონე მამაცმა ბეჟანიძეებმა და უდრეკმა ციხიონმა თავიანთ მხრებზე გადაიტანეს.

* * *

ამ წიგნზე მუშაობისას მამაჩემის ნიაზ ბეჟანიძის საოჯახო არქივში აღმოვაჩინეთ უცნობი ავტორის ლექსი „მოდი მნახე“, რომელიც პირადად მისთვისაა ნასახსოვრები. იგი იმდენად მისადაგებულია ჩვენს თემასთან, რომ მიზანშეწონილად ვცანით, ამ თავის ბოლოსთვის დაგვეერთო:

„მოდი მნახე“

ნ. ბეჟანიძეს

„მოდი მნახე“ ოდითგანვე —
ერის სიმამაცის სახე,
გადარჩენის სიმბოლო და
ჩვენი კუთხის სიამაყე.

32. ზ. ჭიჭინაძე, „ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი“, ბათუმი, 1911, გვ. 54-55.

როს ეგონათ გარდაჰქრაო,
აღსდგებოდი მაშინ მკვდრეთით,
წინაპარის გონთან ერთად,
გმფარველობდა მარად ღმერთი.
თუმც ნანგრევად მოაღწიე,
ძველი რიხით გასცქერ არეს,
ზენდიდიდან აღამაზებ
საქართველოს ყველა მხარეს.

1990

ბეჟანიძეები საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, აჭარის (აჭარისწყლის) ხეობის უკანასკნელმა ქრისტიანმა მმართველმა ბეჟანმა (ბეჟანიძეთა გვარის დამფუძნებელმა) ოსმალებს დაუმორჩილებლობა XVI საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოუცხადა, რისთვისაც არ გამოერიცხავთ, მთავარ დასაყრდენად გამოეყენებინა ზენდიდის „მოდი მნახე“-ს სტრატეგიული ციხე. განახლება-გაფართოების შემდეგ ერთ-ერთი უმძიმესი ბრძოლა მას 1570-იან წლებში სპარსელებთან გადაუტანია, რომლებიც ოსმალებს გავლენის სფეროების გადანაწილებაში ეცილებოდნენ, თუმცა, როგორც ცნობილია, საბოლოოდ სამცხე-საათაბაგო ამ უკანასკნელთა მფლობელობაში მოექცა.

ბეჟანიძეები, რომლებიც ძველთაგანვე დიდი გავლენით სარგებლობდნენ აჭარაში, ამის შემდგომაც იდგნენ მომხდურთა წინააღმდეგ ბრძოლის ეპიცენტრში, განსაკუთრებით, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნიდან, როდესაც სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობა არნახულად აქტიურ ფაზაში შევიდა.

რომ არა აქაურ გულმხურვალე პატრიოტთა თავდადება, აჭარა, ვინ იცის, კიდევ რამდენი ხნით დარჩებოდა კუთხედ, სადაც „არ გამოცემულა არც ერთი წიგნი და ჟურნალ-გა-

ზეთი“³³, „...უფრო მეტიც... არ აშენებულა არც ერთი ეკლესია, არ შექმნილა მხატვრული ტილო, არ არსებობდა ქართული სკოლა...“³⁴, ვერ გადარჩებოდა მამაპაპური რწმენა ქართული, რის შესანარჩუნებლად აქაურთ ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ. ისტორიას ამის არაერთი მაგალითი ახსოვს, რომლის ერთ-ერთი მოწამე ბეჟანიძეთა „მოდო მნახე“-ს ციხეც ყოფილა, XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან ახალციხის ფაშის — საფარ ბეგის (გამაჰმადიანებული ბექა ათაბაგის) მმართველობისას.

ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, „ჯაგახეთის და მესხეთის დადინჯების შემდეგ საფარ ფაშა წავიდა აჭარაში, შეყარა სხვადასხვა კუთხის ხალხი და ყველას... გაათათრება გამოუცხადა. ხალხი აღელდა, ბრძანებაზე უარი ჰყვეს და ბრძოლა გამოუცხადეს... ოსმალთა წინააღმდეგ აჭარელნი „მოდო მნახეს“ ციხიდან იბრძოდნენ.

ციხეს მფარველობდნენ... ბეჟანიძეები. ეს ციხე ხსენებულ დროს იქმნა დაქცეული. ქართველნი გამეტებით იბრძოდნენ და ქედს არ იხრიდნენ... ვინც გაათათრდებოდა... სასტიკათ სდევნიდნენ ქრისტიან ქართველნი. აჭარელთ ისე გაუჭირეს საფარ ფაშას საქმე, რომ მან... მათი გაათათრება შეაჩერა... რადგანაც მთელს მის სიცოცხლეში აჭარელნი მოუსვენრათ იბრძოდნენ“.³⁵

33. ხ. ახვლედიანი, „სამხრეთი საქართველოს ბიბლიოგრაფია“, ბათუმი, 1960, გვ. 7.

34. ა. ჯობლაძე, „მამია ვარშანიძის შემოქმედება“, ბათუმი, 2000, გვ. 42.

35. ზ. ჭიჭინაძე, „ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან ქართველთ საქართველოსი“, ბათუმი, 1911, გვ. 86.

ქრისტეს რწმენისადმი აქაურთა ერთგულების ერთ-ერთი მემკვიდრე დევრიმ-ბეგ ბეჟანიძეც ყოფილა.

„ბირველ ხანებში, ვინც არ თათრდებოდა, იჭვრდნენ და პარასკევ დღეს ქელაში ლოცვისას ჯამეში მოიყვანდნენ — მოგვითხრობს იგი. ვინც თათრობას არ მიიღებდა... კარში გაიყვანდნენ და... ხეზე ჰკიდებდნენ, აღრჩობდნენ. დამხრჩვალეები სამ დღეს ეკიდნენ ხეზედ... ერთ ჯუმა (პარასკევ) დღეს ქელაში 50 კაცი და დედაკაცი ჩამოჰკიდეს ხეებზედ და და-აღრჩეს სჯულის გამო“.³⁶ როგორც ჩანს, მრწამსისადმი ასეთმა თავდადებამ განაპირობა ჩვენში ქრისტიანობა XIX საუკუნემდე რომ შემორჩა.

აჭარის ხალხურ პოეზიასა და თქმულებებს ამშვენებს XIX საუკუნის დასაწყისის სამშობლოსადმი თავდადებული ეროვნული გმირის სელიმ ხიმშიაშვილის სახელი, რომლის უახლოეს თანამებრძოლად — ქეჰად (მთავარსარდლად) და ადმინისტრაციული აპარატის უფროსად სახელდება თულუმბა ბეჟანიძე, რომელიც, საგვარეულო გადმოცემის მიხედვით, იგივე ახმედ-ბეგ ბეჟანიძეა.

გადმოცემით, სელიმი ახმედის მამიდაშვილი იყო და მათი გვერდიგვერდ დგომა ხიხანის (ხიმშიაშვილთა, მანამდე აბუსერიძეთა) ციხეში, შესაძლებელია, ამ ფაქტორითაც ყოფილიყო განპირობებული.

საკითხში გასარკვევად მიემართავთ მცირე ისტორიულ ექსკურსს. 1815 წელს რუსთაგან იმედგაცრუებული და ოს-

36. ხ. ახვლედიანი, „სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, ბათუმი, 1956, გვ., 40.



ხიზანის ციხის ფრაგმენტი

მალთაგან შერისხული სელიმი (ახალციხის ფაშა 1803-1809; 1812-1815 წლებში) 1500 მეომრით ხიზანის ციხეში გამაგრდა, რომელიც ბაბა ფაშას 15 ათასიანმა ჯარმა ალყაში მოაქცია. მართალია, ადგილობრივები სამ თვეს თავს შედგრად იცავდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც მძიმე და გამოუვალი სიტუაცია შეიქმნა — ძალები ამკარად არათანაბარი იყო, გათავდა სურსათის მარაგი, ჩაიკეტა მისი გარედან შემოტანის გზები, შიმშილით მოკვდა რამდენიმე მეგრძოლი;

ცადაზიდულ კლდეზე აშენებული ციხის ქონგურებიდან თვალნათლივ ჩანდა, როგორ აოხრებდა მტერი ახლომახლო სოფლებს. ასეთ ვითარებაში სელიმი დებულობს გადაწყვეტილებას ხალხის გადასარჩენად ციხის კარის გაღებისა და თავის გაწირვის შესახებ, რასაც უერთგულეს სარდალს თულუმბა-ბეგ ბეჟანიძეს უმხელს... საბოლოოდ სელიმი ოსმა-

ლებს ღირსეულად ჩაბარდა, რათა მათ შეეწყვიტათ სოფლების დარბევა და აწიოკება. თავგანწირულ ს. ხიმშიაშვილს მომხდურებმა თავი მოჰკვეთეს.³⁷

ცხადია, თულუმბა ბეჟანიძე სასიკვდილოდ ვერ გაიმეტებდა უახლოეს სახლიკაცსა და წინამძღოლს, მაგრამ, ეტყობა, იმდენად მტკიცე იყო სელიმის გადაწყვეტილება, იმდენი ადამიანის ბედი იღო სასწორზე და იმდენად უპერსპექტივო ჩანდა მტერთან უთანასწორო ბრძოლა, რომ ს. ხიმშიაშვილმა თავისი გაიტანა.

სიკვდილის წინ სელიმმა სამომავლო ბრძოლისთვის განაწყო თავისი თანამებრძოლები და შთამომავლები და მედგრად განუცხადა მტარვალს: „მე მჭვრით თავს, მაგრამ აჭარას საქართველოს ვერ ჩამოაშორებთ. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებ“.

როგორც ცნობილია, ეს ანდერძი ექვსი ათეული წლის შემდეგ სელიმისა და ახმედ-ბეგ თულუმბას საერთო შვილიშვილმა, დუდი ხანუმ ბეჟანიძისა და ახმედ ხიმშიაშვილის ვაჟმა შერიფ ხიმშიაშვილმა (დუდი-ხანუმის მამა სეფერი თულუმბას შვილი იყო) აღასრულა.

ახმედ-ბეგ ბეჟანიძე, გადმოცემით, ფიზიკური სიძლიერის გარდა, იყო ერთობ ზრდილობიანი და კულტურული, ქარ-

37. რ. სურმანიძე, „ღალატი თუ თავდადება“, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი, 2003 წ. გვ. 62-75; (წერილში ავტორი ეყრდნობა სელიმ ფაშას თანამებრძოლისა და მედროშის, მისი დასჯის თვითმხილველის ბუქალიშვილი-ჭაღალაიდის მიერ დატოვებულ ჩვენამდე მოღწეულ გადმოცემას); ს. დუმბაძე, შ. ბოლქვაძე „სელიმ ხიმშიაშვილი — საქართველოს ერთიანობისთვის წამებული რაინდი“, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საისტორიო მაცნე, XV, 2005 წ. გვ. 25-30.

თული ტრადიციების უმწიკვლო მიმდევარი, გამჭრიახი გონების მქონე, უშიშარი პიროვნება, რომელიც ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მას სეფერ-ბეგის გარდა ჰყავდა კიდევ ორი ვაჟი — მუთიალა და მემედი.

გამორიცხული არაა, სტამბოლიდან მოწოდებულ მურატ კასაპის თურქულენოვან წიგნში „Osmanlı cürcüleri“ ნახსენები ტრაპიზონის გუბერნატორი ალიფაშა ბეჟანიძე³⁸, თქმულებით, ჩვენთვის ცნობილი ახალციხის საფაშოს ის მთავარსარდალი (ქეკა) იყოს, რომელიც ახმედ ბეგის ოჯახის წევრად ითვლებოდა და ფაშის კარზე ჯაყელთა დროს მოღვაწეობდა.

* * *

მუთიალა ბეჟანიძე მონაწილეობდა 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, სადაც, გადმოცემით, გადამწყვეტ მომენტში ერთგულება გამოავლინა რუსული არმიის მიმართ.

იგი მესხეთში ვრცელ ტერიტორიასაც განაგებდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბეჟანიძეები ახალციხის საფაშოში დაწინაურებულნი ყოფილან და მამულები აჭარის ფარგლებს გარეთაც ჰქონიათ.

რუსთა მიმართ კეთილგანწყობა გამოამჟღავნა მუთი-ბეგმა შემდეგშიც, როცა 1845 წელს შამილს მოხალისეების შესაგროვებლად აჭარაში თავისი ძმისშვილი გამოუგზავნია. ეს უკანასკნელი ჯარის შესაგროვებლად ქედაში მისულა და

38. მ. კასაპი, „ქართველები ოსმალეთში“, საქართველოს მეგობრობის ასოციაცია, სტამბული, 2010, გვ. 135.

საქმის ორგანიზება მუთიალასთვის უთხოვია. მუთის უპასუხია: აჭარის ვალის (გუბერნატორის) გარეშე არ მინდა დავარღვიო წესრიგი და კავშირი რუსეთთან, თქვენს წადილს ვერ შევასრულებო. ამის გამო შამილის ძმისშვილს იგი სახალხოდ დაუწყევლია, რის შემდგომაც მოუწამლაეთ.³⁹

თავის დროზე ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლით გამოირჩეოდა მუთის უფროსი ვაჟი ჰაჯიასან-ბეგ ბეჟანიძე. 1844 წელს იგი აჭარელთა აჯანყებას ჩაუდგა სათავეში.

როგორც კი ხეობაში ასკერთა 20-ათასიანი ლაშქარი შემოვიდა, ადგილობრივები ისეთ ვიწრო ადგილებში ჩასაფრდნენ, რომ მტერს დიდძალი მეომარი ამოუწყვიტეს.⁴⁰

გადმოცემით, ჰაჯიასანს დიდი წვლილი შეუტანია აჯანყებულთა იარაღით აღჭურვასა და ციხე-კოშკების (მათ შორის, ალბათ, ზენდიდის ციხის — ც. ბ.) გამაგრებაში. მხედართმთავრული ნიჭის წყალობით იგი, ცხადია, ბრძოლის სტრატეგიას და ტაქტიკასაც გეგმაუდა.

ჩემი მეუღლის, პროფესორ ჯემალ ბერიძის თქმით, ოსმალთა მმართველობის სიმკაცრით გამოწვეული ამ სახალხო გამოსვლის მონაწილე მისი ბაბუის — ახმედ ეფენდი ბერიძის ბიძა — ყარამანიც ყოფილა, რომელიც ერთ-ერთი შეტაკებისას დაღუპულა.

ახმედის მონათხრობით, მტერთან გადამწყვეტი ბრძოლა ახლანდელი აწჷქსის მიდამოებში ე. წ. აკვედუკთან გამართუ-

39. ხ. ახვლედიანი, „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“, ბათუმი, 1978, გვ. 116.

40. ხ. ახვლედიანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 117.

ლა, რაც აჭარისწყლის ხეობაში ერთ-ერთ ყველაზე ვიწრო ადგილად ითვლება. როგორც კი შეატყვევს, რომ ჩასაფრებულებთან ვერაფერს გახდებოდნენ, ოსმალებს განუზრახავთ შეტევა აჭარისწყლის ძნელად მისაღწევი მხრიდან განეხორციელებინათ, რაც იმდენად მოულოდნელი ყოფილა, რომ ერთხანს აჭარლების სამალაუებამდე მიუღწევიათ, თუმცა ჰაჯიასან-ბეგ ბეჟანიძის წინამძღოლობით მომხდური მაინც უკუაქციეს.

ადგილობრივები კლდეებსაც არღვევდნენ და ლოდების დაგორებითაც ხოცავდნენ ოსმალ ასკერებს, მაგრამ საბოლოოდ მტერმა მაინც იმძლავრა. შემდგომში, იმ ადგილას, სადაც ეს ბრძოლა გაიმართა, ყარამანის დედას შვილის სულის მოსახსენიებლად წყარო მოუწყია, რაც გასული საუკუნის 70-იან წლებში გზის რეკონსტრუქციისას აუღიათ.

სტამბოლში მცხოვრები, აწგარდაცვლილი, საადეთ ბეჟანიძის შვილიშვილის ენვერ ხიმშიაშვილისთვის წინაპრების მიერ მიწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც ცნობილ ექიმ თენგიზ ბეჟანიძეს ჩაუწერია, ჰაჯიასანს სამხედრო განათლება გერმანიაში მიუღია და თურქეთის არმიის ფაშის (გენერლის) წოდებამდე ამაღლებულა. გადმოცემით, მონაწილეობდა 1853-1856 წლების ყირიმის ომში.

გარეგნულად ჰაჯიასანი ყოფილა კარგი შესახედაობის, ახოვანი პიროვნება. ჰყავდა სამი ძმა — მეძედ, უსუფ, აბდულ-ბეგ ბეჟანიძეები და ორი და, რომელთაგან ერთ-ერთი იყო თუფან-ბეგ შერვაშიძის დედა.

პაჯიასანს ცოლად ჰყავდა განსწავლული ნიჟარაძის ქალი. გასჩენიათ ხუთი ვაჟი: დედე, ხემიდი, იბრაიმი, დევრიში, ასლანი და ორი ქალიშვილი — ჰუნქარი და ზექიე.

* * *

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მუთიალას ძმისშვილის — დუდი-ხანუმ ბეჟანიძის მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ჩაქვის მებატონის სეფერ-ბეგის პირველი შვილი იყო (დუდი ხანუმის დედა გახლდათ ბათუმისა და ლაზისტანის სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი).

დიდებულის ოჯახში, ეროვნული სულისკვეთებით აღზრდილი, ცოლად გაჰყვა აჭარის მმართველს ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილს, მამაც და შეუპოვარ პიროვნებას, რომელსაც გადამწყვეტ მომენტში არასდროს უღალატია თავისი მამის — დიდი სელიმის მრწამსისთვის.

ა. ხიმშიაშვილის პოლიტიკური ორიენტაცია გამოიკვეთა რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის დროს, როცა რუსთა არმიამ წარმატება მოიპოვა ახალციხესა და არტაანში. ასეთ ვითარებაში მას ბეწვის ხიდზე გავლა მოუხდა, მაგრამ ბოლომდე საქართველოს ერთიანობის ერთგული დარჩა.

ახმედ-ბეგი კარგად ხედავდა, რომ საქართველოს უმეტეს ნაწილში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგ (ცარიზმმა 1801 წელს ქართული სახელმწიფოებრიობა გააუქმა) მზადდებოდა ნიადაგი რუსეთის იმპერიის მფლობელობაში აჭარის გადასასვლელადაც. ამიტომაც მან გენერლებთან — პასკევიჩთან და ბებუთოვთან, ახალციხელი მეფისაშ-

ვილის დახმარებით, რუსეთის ქვეშევრდომობაზე ფარული მოლაპარაკება დაიწყო. რუსები ბეგს ჰპირდებოდნენ გენერლობას, საორდენო ლენტს, ათიათას მანეთ პენსიას წელიწადში და ა. შ. იმ პირობით, რომ აჭარა მათთვის უბრძოლველად დაეთმო.

ამავე დროს ახმედს თურქეთის სულთანი ახალციხეზე გალაშქრებისკენ მოუწოდებდა და ფაშის ტახტს ჰპირდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასჯით ემუქრებოდა.

მდგომარეობა მოულოდნელად გართულდა. ახალციხის გარნიზონის უფროსი ბებუთოვი სომხეთის ოლქის გამგებლად გადაიყვანეს. მისი ადგილი კი წარმოშობით ბალტიისპირელმა გენერალმა ოსტენ საკენმა დაიკავა, რომელმაც ახმედ ბეგთან მეგობრული მოლაპარაკების გზას მუქარის ბართი არჩია — როგორც ხელქვეითს, ავალებდა თვითონ ან მისი ვაჟი მორჩილების გამოსაცხადებლად პირადად წვეოდნენ მას.

ოსტენ საკენის წინდაუხედაობამ კულმინაციას 1829 წლის აგვისტოში მიაღწია, როცა იგი რუსთა სამხედრო შენაერთებთან ერთად გოდერძის უღელტეხილით ბარბაროსულად შეესია აჭარის სოფლებს და ყველაფერი ცეცხლს მისცა. დუდი-ხანუმიც პოლიტიკურ პროცესებში ამ პერიოდიდან ერთვება. კონფლიქტის მოსაგვარებლად, მეუღლის ქვემო აჭარაში ყოფნისას, იგი ფაქტობრივად მხარის მმართველად მოგვევლინა.

სიტუაციის დარეგულირებისთვის დუდი-ხანუმმა ქმრის ხაზინადარის მეძი-აღას მეთაურობით ბარონთან მოსალაპა-

რაკებლად დელეგაცია გაგზავნა. შეუთვალა, რომ ბეგის დაბრუნებამდე აჭარლები მას წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, მაგრამ საპასუხოდ გენერალმა ქვემეხები დაუშინა მის წარმომადგენლებს. საკენი ახმედ ხიმშიაშვილთან მოლაპარაკებას მხოლოდ მისი რუსულ ბანაკში გამოცხადების შემდეგ აპირებდა. დუდი-ხანუმმა იცოდა მეუღლის განზრახვის შესახებ, რომ მას არ სურდა რუსეთის არმიასთან შებრძოლება. ამიტომ, შეეცადა მშვიდობიანი მოლაპარაკება გაეგრძელებინა.

მან უგუნურ გენერალს წერილითაც მიმართა და შეატყობინა, რომ ქმრის გარეშე არ შეეძლო მისი საკადრისად მიღება... თან სასახლის გასაღები გაუგზავნა. გონიერ მანდილოსანს გათვითცნობიერებული ჰქონდა, რომ აჭარის გადარჩენა, დანარჩენი საქართველოს მსგავსად, მხოლოდ რუსეთის მფარველობაში შესვლით იყო შესაძლებელი, ოღონდ არა ძალდატანებითი გზით.

რადგანაც მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო, დუდი-ხანუმმა ხულოს მთელი სიმდიდრე თან წაიღო, სახლ-კარი მიატოვა და მოსახლეობასთან ერთად მთებს შეაფარა თავი.

ოსტენ საკენმა ბრძოლის გარეშე დაიკავა ბეგის რეზიდენცია და მისი სასახლე გადაწვა. გააძარცვინა ხულოს ეკლესია. მეუღლის ფუძისა და კერიის მოშლა, ბუნებრივია, დუდი-ხანუმისთვის დიდი ტრაგედია იყო.

როგორც ცნობილია, მალე ახმედ-ბეგი დაუპატიჟებელ სტუმარს ხულოდან შუახევისკენ მიმავალ ვიწრო ხეობაში, სოფლების — ჩანჩხალოსა და ნიგაზეულის ბოლოს დაუხვ-

და და სასტიკად დაამარცხა. ოსტენ საკენის გადარჩენილი სამხედრო ნაწილები ღორჯომის ხეობით გურიაში გადავიდნენ.⁴¹

დუდი-ხანუმს აქტიური მონაწილეობა მიუღია იმავე წელს ახალციხესთან რუსთა მხარეს მებრძოლი, ტყვედ ჩავარდნილი სტეფანე ნებიერიძის ვაჟის გათავისუფლების პროცესში. მისი თხოვნის საფუძველზე ახმედს საქმეში ქედის მმართველი ბეჟანიძის ჩარევაც კი დასჭირვებია.

დუდი-ხანუმ ბეჟანიძეს ოთხი შვილი შეეძინა: შერიფი, ასლანი, ფატმა* და დილდარი**. ზოგიერთი წყარო მის შვილად მიიჩნევს კაფუჯსაც, თუმცა გამორიცხული არაა ახმედ ბეგს, რომელმაც დუდი ხანუმზე დაახლოებით 35-40 წლის ასაკში იქორწინა, იგი სხვა მეუღლისგან გასჩენოდა.

5-6 წლის იქნებოდა შერიფი, როცა მისი მამა, რომელსაც იმჟამად გენერალ-ლეიტენანტის წოდება ჰქონდა მინიჭებული, არზრუმში გარდაიცვალა (ზოგი ცნობით მოწამლეს ოსმალეთის აგენტებმა 1836 წელს). სანამ შერიფი სრულწლოვანებას მიაღწევდა, აჭარის მმართველობა თავის თავზე დუდი-ხანუმს აუღია, რომელიც მას დაახლოებით 1836-1850 წლებში განაგებდა, პერიოდში, რომელიც ერთობ რთული პოლიტიკური პროცესებით გამოირჩეოდა.⁴²

41. შ. ფუტკარაძე, „დუდი ხანუმი — აჭარის მმართველი“, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 25/IV, 1989 წ. მისივე „ისტორიული მესხეთის სახელოვანი ქალები...“.

42. შ. ფუტკარაძე, „სახლო, სულით მაღალო“, გაზ. „აჭარა“, 18/III, 2000 წ. №66-67, გვ. 6.

* ფატმა (ფადიმე) ხუსეინ აღა ხალვაშს მიათხოვეს.

** დილდარი შავშეთის ბეგზე — სელიმ აბდის ძე ხიმშიაშვილზე დაქორწინდა.

დუდი-ხანუმ ბეჟანიძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ისე სულთნის კარზე. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება 1844 წელს აჭარაში „თანზიმათის“ უმკაცრესი რეფორმით გამოწვეული სახალხო აჯანყება, რომლის დროსაც დუდი-ხანუმმა გამოიჩინა დიდი წინდახედულება, დიპლომატიის ნიჭი და უნარი.

გამოსვლები თითქმის ერთ წელს გრძელდებოდა, რამაც მომხდურს აჩვენა აჭარელთა მებრძოლი სულისკვეთება და ჩაგვრისადმი შეურიგებლობა. ადგილობრივებს განზრახული ჰქონდათ ბრძოლა კუთხის სრულ გათავისუფლებამდე. ოსმალთა აჭარაში შემოჭრის შემთხვევაში ისინი მზად იყვნენ წინააღმდეგობის გასაწევად. თუ ამისგან არაფერი გამოვიდოდა, მაშინ „რუსებისკენ გადავიდოდნენ...“

გამოსვლების დაწყება ოსმალთა ადმინისტრაციის შესახებ დაწესებული „სალიანის“ გადასახადისა და ჯარში გასაწვევი მოსახლეობის რაოდენობის გაზრდამ გამოიწვია. მათი შესრულება ყარსის ფაშას აჭარაში ოფიცრად გაგზავნილი სოლაღასისთვის დაუვალებია, რასაც ზემო და ქვემო აჭარის აჯანყებულნი წინ იმით აღუდგნენ, რომ ოფიცრისთვის უარის თქმის შემდეგ, დამპყრობლის ვალდებულებათა გადასასინჯად შუამდგომლობისთვის დუდი-ხანუმს მიმართეს. შეადგინეს განცხადების ტექსტიც სტამბულში გასაგზავნად და წარმომადგენლებს გაატანეს. ცალკე თხოვნა ერზრუმის სერასკირსაც გაეგზავნა. ხიმშიაშვილთა სასახლეს თავშეფარებულმა სოლაღასმა თავს გაპარვით უშველა.

აჯანყებულებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ფოცხოვის სანჯაყში გადასვლა და იქაური მოსახლეობის ამხედრებაც, მაგრამ ფოცხოვის ბეგი მათ შებრძოლებით დაემუქრა. გამოსვლების ხელმძღვანელთაგან ზოგიერთი ბრძოლის საწარმოებლად დუდი ხანუმისგან ორი ქვემეხის გადაცემას ითხოვდა, თუმცა უარი მიიღეს.

სიტუაცია თანდათან მწვავედებოდა, რასაც მოჰყვა ხმები აჯანყებულთა დასაშოშმინებლად სულთნის მიერ ასკერთა გამოგზავნის გადაწყვეტილების შესახებ. თავის მხრივ, არზრუმის სერასკირიც მოუწოდებდა ხალხს სულთნისადმი მორჩილებისკენ, თორემ რეპრესიებით იმუქრებოდა.

დუდი-ხანუმმა, როგორც გონიერმა ადამიანმა განჭვრიტა, რომ აჯანყებულები სუსტად იყვნენ ორგანიზებულნი და ოსმალეთის რეგულარულ ჯართან ვერაფერს გახდებოდნენ. ამიტომაც სისხლისღვრას მან პრობლემის დიპლომატიური გზით მოგვარება ამჯობინა.⁴³

ამ მიზნით იგი სტამბულს წავიდა სულთან აბდულ მეჯიდის (1839-1861 წ.წ.) კარზე, სადაც დიდად დაეხმარა სულთნის დედა შუშანი თავდგირიძე, წარმოშობით ქობულეთელი, ჰუმანისტი და ქველმოქმედი ქალბატონი, რომლის მეშვეობითაც ოსმალეთის მმართველთან დუდი-ხანუმმა სასარგებლო შეთანხმებას მიაღწია და მშობლიური კუთხე თურქთა ახალი რისხვისგან იხსნა, რაც იმპერიის სხვა ამბოხებულ რეგიონებში დიდი მსხვერპლით დასრულდა.

43. თ. კომახიძე, „დუდი-ხანუმ ბეჟანიძე და ქე მისი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი“, ბათუმი, 2002, გვ. 466.

საბოლოოდ, აჭარის მოსახლეობა სამხედრო ბეგარისგან გაათავისუფლეს და გადასახადების რაოდენობა შეუმცირეს, რაც დიდი შეღავათი იყო. ყოველივე ეს იმის ნათელი დასტურია, თუ რა შემართებით თანაუგრძნობდა დუდი-ხანუმი თავისუფლებისთვის მებრძოლებს.

აღსანიშნავია, რომ შესაბამისი გადაწყვეტილების შემცველი, აჯანყებულთა წერილობითი განცხადების დამაკმაყოფილებელი პასუხები დუდი-ხანუმს ადმინისტრაციულად ზემდგომი ტრაპიზონის ფაშისგანაც მიუვიდა.

აჭარის გაძლიერების პარალელურად დუდი-ხანუმს შვილების სათანადოდ აღზრდისთვისაც უნდა ეზრუნა, რასაც მან, ასევე, ღირსეულად გაართვა თავი. უპირველესად, როგორც განათლებულმა და ქართულ მწერლობაში განსწავლულმა მანდილოსანმა, მათ საფუძვლიანად შეასწავლა დედაენა, აყვარებდა ეროვნულ ზნე-ჩვეულებებს.

წერა-კითხვას ასწავლიდა შვილიშვილებს, ხიხანისა და სხალთის ხეობის სოფლების ბავშვებს და ოჯახის მოსამსახურე წევრებსაც.

მისი დარბაისლური ქართულის შუქი ადგას შერიფ ხიმშიაშვილის წერილებსა და ნაფიქრ-ნააზრევს. ამ მხრივ საყურადღებოა ბეგის წერილი „გულწრფელი აღსარება“, რომელიც გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა 1879 წელს.

ქართული პუბლიცისტიკის ეს შედევრი გამოირჩევა ფილოსოფიური სიღრმითა და მხატვრული ოსტატობით, მეტაფორული აზროვნების საუკეთესო ნიმუშებით, ეპითეტებითა და შედარებებით (შ. ფუტკარაძე).

უნდა ითქვას, რომ ქართული ენის სიწმინდის სადარაჯოზე მტკიცედ იდგნენ ბეჟანიძეთა საგვარეულოს სხვა მანდილოსნებიც, რომლებიც შვილებს საფუძვლიან შინაურ განათლებას აძლევდნენ.

შერიფ ხიმშიაშვილი მამის გარდაცვალების შემდგომ დედას განათლების მისაღებად რამდენიმე წლით სტამბოლში წაუყვანია. იქვე შერიფს ფაშის ტიტული უბოძეს.


დედისგან აჭარის მართვის სადავეების გადაბარების შემდეგ შერიფმა იმავე უფლებით გააგრძელა მხარის გაძღოლა, რომლითაც მისი მამა ახმედ-ფაშა განაგებდა.

როგორც იმდროინდელი ერთ-ერთი წერილიდან ვგებულობთ, რუსეთ-თურქეთის ყირიმის ომის დროს შერიფი მაიორის ჩინით სტამბოლიდან ყარსის სიმაგრეში საომრად გამოუსტუმრებიათ. როცა იგი რუსებს შემოუქალტავთ (ალყაში მოუქცევიათ) „...ვაჟკაცური ღირსებით შექცული“ დუდი ხანუმი ორი ათასი მეომრით მის დასახსნელად წასულა, თუმცა მსუბუქად დაჭრილი ვაჟი გზაში შეხვედრია.⁴⁴

დუდი-ხანუმი ქვრივ-ობოლთა შემწე და გამკითხავი იყო. ხშირად იცოდა მოწყალების გაღება, გამოირჩეოდა ქველმოქმედებით. მისი სახელი ლეგენდებად დადის აჭარის მთიანეთში.

იყო გამორჩეული ღვთისმსახურიც. მისი რიდით ხიმშიაშვილების სხალთის სასახლესთან მდგარ ეკლესიას (ახმედ ბეგმა ხულოშიც ძველ ეკლესიათან დაიდო ბინა) ავი თვალთ ვერავინ შეხედავდა. იყო ამ წმინდა ტაძრის ხშირი სტუმარი

44. გაზ. „იფრია“, №205, 1899 წ. 24/IX.



სხალთის ეკლესია

და ჭირისუფალი. დღენიადაგ მის ბებერ კედლებს ედგა ერთგულ დარაჯად.

მამისეული ოჯახიდან გამოყოლილ ბებერ ქრისტიანულ რიტუალსა და ტრადიციას ხიმშიაშვილების ოჯახშიც მისდევდა. დედოფლის სიცოცხლეში სანთლის ნათელი არ მოჰკლებია დაობლებულ სალოცავს. ღვთის სიყვარულს შვილებსა და შვილიშვილებს უნერგავდა. სხალთის ეკლესიის გადარჩენას მეტწილად მის სახელს უნდა ვუმადლოდეთ. ტაძარს ქრისტიანობისთვის იმ მძიმე ჟამს მისი სახით ჭეშმარიტი მზრუნველი გამოუჩნდა.⁴⁵

45. შ. ფუტყარაძე, დასახ. ნაშრომი, იქვე.

დუდი-ხანუმი გამოირჩეოდა, ასევე, საუცხოო ხელსაქმით — ოქრომკედით (სირმა ძაფით ქარგვის ოსტატობით), რაც შეასწავლა ოჯახის წევრებს, რძლებს და მოსამსახურე ქალებსაც. მისი ხელით ნაქსოვი ფარდაგები, ნაქარგი გულისპირები, დაგვირისტული ყაბალახები, ხელმანდილები, როგორც საგვარეულო რელიკვია, დიდხანს ინახებოდა ხიმშიაშვილთა ოჯახებში და საპატიო ადგილი ჰქონდა მიჩენილი გათხოვილი ქალიშვილების მზითვის წიგნებში. ერთ-ერთი მათგანი დღესაცაა შემონახული ბაქოში, საადეთ ბეჟანიძისა და ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილის ასულ ფიქრიე ხიმშიაშვილის ოჯახში (შ. ფუტკარაძე).



დუდი-ხანუმ ბეჟანიძე
(მხატვარი ვ. ფუტკარაძე)

დუდი-ხანუმი სანდომიანი ქალბატონი ყოფილა, რომელსაც, გადმოცემით, შვილი მამისეულ კერაზე ხშირად დაჰყავდა. შერიფი დედას ჩამოჰგავდა თურმე.

სწორედ შერიფ-ბეგისა და მისი შვილების დარბაისლური იერსახის მიბადვით შექმნა აჭარის დამსახურებულმა მხატვარმა გურამ ფუტკარაძემ დუდი-ხანუმ ბეჟანიძის ფერწერული პორტრეტი.

აღსანიშნავია, რომ ფროფესორი შუშანა ფუტკარაძე ერთ-ერთი პირველი იყო მკვლევრებს შორის, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დუდი-ხანუმი პიროვნების წარმოჩენაში.

ერთ-ერთი ცნობით, დუდი-ხანუმი გარდაიცვალა 1869 წელს და დიდი პატივით ხიმშიაშვილთა საზაფხულო რეზიდენციაში — ქოჩახში მიუჩინეს სამუდამო განსასვენებელი.

* * *

ზემო აჭარის მმართველის შერიფ ხიმშიაშვილის გაგლენა ხშირად როგორც ჩვენი კუთხის მთელ ტერიტორიაზე, ისე არტანსა და შავშეთ-იმერხეზეც ვრცელდებოდა (დ. მამულაძე).⁴⁶

ბეგი სიბრძნითა და ენამოსწრებულობით გამოირჩეოდა. დედამ შეაყვარა მას ხელოვნება, მხატვრობა, ხელოსნობა. დიდი დამსახურება მიუძღვის შერიფ ხიმშიაშვილის სულიერი სამყაროს და პოლიტიკური ორიენტაციის ფორმირებაშიც. ჩაუნერგა მას საქართველოს მხურვალე სიყვარული და აჭარის გათავისუფლების დაუოკებელი სურვილი. დედის მსგავსად, განსაკუთრებული ზრუნვით ეკიდებოდა შერიფი სხალთის ეკლესიას.

ხელიდან ყველაფერი გამოსდიოდა. დაამზადა ოქროს ზარნიშიანი ვერცხლით შემკული ხმალი, კაკლის ხისგან რამდენიმე სკამი და დივანი. ჩამოასხა სპილენძის პატარა ზარბაზანი, სახლის თითქმის ყველა კედელს მისი ნახატები ამშვენებდა;⁴⁷ ეწეოდა აღმშენებლობით და საზოგადოებრივ

46. „ხიმშიაშვილები“, იქვე, გვ. 283.

47. გ. ყაზბეგი, „სამი თვე თურქეთის საქართველოში“, ბათუმი, 1995, გვ. 44.

(საგანმანათლებლო) საქმიანობასაც. აქტიურად ილაშქრებდა მუჰაჯირობის წინააღმდეგ.

შ. ხიმშიაშვილი პოლიტიკური გამჭვრიახობითაც გამოირჩეოდა. მოხერხებულად არიდებდა თავს ოსმალთა განკარგულებების შესრულებას, რადგანაც სახელოვანი პაპის, სელიმ ხიმშიაშვილის მსგავსად, აჭარის მომავალი საქართველოსთან ერთობაში წარმოედგინა. ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დაწყებამდე მან საიდუმლო კავშირი დაამყარა რუსეთის მთავრობასთან. აიმედებდა მას, რომ აჭარიდან საშიშროება არ ელოდა. გულთბილად მასპინძლობდა იმპერიის მიერ აჭარაში სამხედრო-სტრატეგიული დაზვერვის მისიით მოვლინებულ ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს.

აღსანიშნავია, რომ მეფის რუსეთის გენერალიტეტი ოსმალთა წინააღმდეგ მასთან ერთად სამოქმედო გეგმასაც ადგენდა. შერიფი კარგად იყო გარკვეული ომის ტაქტიკაში. ზედმიწევნით იცნობდა სამხრეთ საქართველოს ადგილმდებარეობას და ოსმალთა გამაგრებულ პოზიციებს. ამიტომაც კატეგორიული წინააღმდეგი იყო ციხისძირის აღებისთვის ბრძოლის გამართვისა. ისტორიამ აჩვენა, რომ მისი სტრატეგია მართებული აღმოჩნდა.

რუსეთ-თურქეთის ომის წინ შ. ხიმშიაშვილი ფარულად თბილისსაც სწევვია. დედასამშობლოსკენ სწრაფვის გამო ოსმალთა ხელისუფლება ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას, რის გამოც მომხრეებით სხალთიდან ბაკოს გავლით ახალციხეში გადავიდა, სადაც რუსეთის ჯარს დაელოდა. ამის გა-

მო სულთანმა იგი მოლალატედ გამოაცხადა. გადაწვეს მისი სახლ-კარი, მომხრეებს კი სასტიკად გაუსწორდნენ.

1878 წლის 20 აგვისტოს პოლკოვნიკ ტრეიტერის ჯარის ნაწილები ზემო აჭარაში შევიდნენ. მათთვის წინამძღოლობა იმდროისთვის უკვე რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის ჩინის მქონე შ. ხიმშიაშვილსაც გაუწევია. იგი წამოუძღვა ახალციხიდან მომავალ რუსთა რაზმს და თოფის გასროლის გარეშე ჩამოატარა თითქმის მთელი აჭარა, რაც დიდად წაადგა აჭარისა და ტაო-კლარჯეთის შემოერთებას.



შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი

იმავლე წლის სექტემბრის დასაწყისში შერიფი რუსთა სამხედრო შენაერთებთან ერთად ოსმალთაგან გათავისუფლებულ ბათუმს ჩავიდა, რითაც დასრულდა აჭარის დედამამშობლოსთან დაბრუნებისთვის ბრძოლა. როგორც ცნობილია, განმათავისუფლებელ მისიაში რუსებთან ერთად ქართული მილიციაც ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას.

შ. ხიმშიაშვილმა მამულისადმი ერთგულება იმითაც გამოხატა, რომ პირველი დაუბრუნდა ქრისტეს სჯულს.⁴⁸

48. თ. კომახიძე, „აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი“, წიგნი I, ბათუმი, 2010, გვ. 27,28; „ხიმშიაშვილები“, გვ. 139,140, 285, 286; შ. ფუტყარაძე, „მენატრები, ჩემო ხულო“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2001 წ. №25, 22-28/VI, გვ. 14, 15.

აღნიშნული პერიოდი მხატვრულად ასახა მწერალმა ა. შერვაშიძემ პატარა მოთხრობაში „ოქროს სამაჯურები“, სადაც შერიფ ხიმშიაშვილის რაზმის წინამძღოლად და ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლ ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად ედნარ ბეჟანიძეა წარმოჩენილი (ბათუმი, 1979, გვ. 3-43).

* * *

შერიფ ხიმშიაშვილთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა მისი ბიძა ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძე, იმდროის უაღრესად თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე. ისინი ერთად იღვწოდნენ ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ხუსეინის მამა სეფერ-ბეგი, ჩაქვში საგვარეულოს მამამთავარი, წარმოსადგეი პიროვნება ყოფილა. როგორც გამოჩენილი და წარჩინებული გვარის წარმომადგენელს თავის სამფლობელოში თითქმის სრული მართვის უფლება ჰქონდა. „...ადრე... ამ გვარის პირველი კაცები უეჭველად უნდა ყოფილიყვნენ... გამგებლებად; უამათოდ ხონთქარი ვერაფერ ბრძანებასა და განკარგულებას ვერ გასცემდა.“⁴⁹

განათლებით, პროგრესული აზროვნებით და გავლენით გამოორჩეული ჩაქველი ბეჟანიძეები გურიელების მოყვრებად ითვლებოდნენ. სეფერ-ბეგ ბეჟანიძის (სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა სიძე, სავარაუდოდ, გარდაიცვალა 1840-იან წლებში) ვაჟებიდან ჩაქვის მამულების გარდა ხემიდი (ჰამიდი, მამის დარად სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა სიძე) ბათუმში ზემოხსენებულ თამარის გორასაც ფლობდა, რომელიც ერთ-ერთი თქმულებით,

49. ს. მესხი, თხზ. ტ. III, თბ. 1964, გვ. 33, 41, 45.

ტრაპიზონის დასალაშქრავად მიმავალი, თამარ დედოფლის მხლებელი ქალების ქოშების გაწმენდით წამომართულა.

ტრაპიზონში ძლევამოსილად გამარჯვებისა და იქიდან დაბრუნებისას ხელმწიფემ ამ გორაზე ციხის აშენება ბრძანა. ააშენეს კიდევ და ამ ციხესაც და ადგილსაც თამარის სახელი შეარქვეს.⁵⁰

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ გორას ოფიციალურად ბეჟანიძეთა სახელით მოიხსენიებდნენ (ამჟამად აქ თამარის სახელობის ეკლესია მოქმედებს). ბეჟანიძეთა სამფლობელოდ განიხილებოდა ჩაქვის მამულებიც, მიუხედავად ამისა, მაინც მუსირებს აზრი, რომ ეს ტერიტორიები ბეჟანიძეებს სანჯაყბეგ აბაშიძეებისგან შზითვად მიუღიათ. ვერ დავეთანხმებით შეხედულებას აბაშიძეებისთვის სანჯაყბეგობის დამადასტურებელი, სულთნის მიერ გაცემული, ფირმანის შესახებაც, რადგანაც იგი რომც დაკარგულიყო ოფიციალურ დოკუმენტში ამ ტიტულის ნამდვილ მფლობელთა გვარი უცილობლად დაფიქსირებული იქნებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წარმოშობით ჩაქველთაგან დაბისა და მიმდებარე მიწების სხვა საგვარეულოსგან მფლობელობაზე ჩვენთვის ინფორმაცია არავის არასდროს მოუწოდებია.

ჩაქვის მებატონეს სეფერ-ბეგს ზღვის პირას „ფლეთილი ქვის დიდი ორსართულიანი სახლი ჰქონია, რომელიც კრამიტით იყო დახურული“⁵¹. გააჩნდა დარაბებიანი მაღალი ფანჯრები.

50. რ. სურმანიძე, „ლაზეთის ლეგენდა“, ბათუმი, 2010, გვ.70.

51. დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.



ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის სახლი ჩაქვში

აქ ერთხანს მისი უმცროსი შვილი ხუსეინი ცხოვრობდა, რომელიც შემდეგში ახალაშენებულ სახლში გადასულა. ძმებთან — ფერათთან, მემედთან და ხემიდთან ერთად გააჩნდა დიდძალი ქონება, მათ შორის ბათუმშიც (სახლები და სავაჭრო დუქნები).

ხ. ბეჟანიძე, სავარაუდოდ, დაიბადა 1823 წელს. სრულყოფილად ფლობდა ქართულ წერა-კითხვას. ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ტექსტის ათვისებაში და, დუდი-ხანუმიც ეჯიბრებოდა თურმე.⁵² ხუსეინს შეუსწავლია, აგრეთვე, თურქული, არაბული, სპარსული და რუსული ენები. ხალხში დიდი გავლენით სარგებლობდა.

52. შ. ფუტყარაძე, „სახლო, სულით მაღალო“, გვ. 523.

ერისკაცობა... სოციალურმა მდგომარეობამაც უკარნახა, მაგრამ უპირველესი მაინც მასში შთამომავლობით აღზრდილი, გულსა და სისხლში გამჯდარი პატრიოტული სულისკვეთება იყო.



ხუსეინ ბეჟანიძე

ხუსეინს ბედმა არგუნა ოსმალთა ჯარის რიგითი ასკერიც ყოფილიყო და შემდგომ მისი ერთ-ერთი მეთაურთაგანი (მინიჭებული ჰქონდა პოდპოლკოვნიკის წოდება — ც. ბ.), ციხისძირში დაბანაკებულ თურქთა სამსახურშიც მდგარიყო, მაგრამ ეს მხოლოდ დამპყრობთა მიმართ მისი მოჩვენებითი ერთგულება იყო.

სინამდვილეში ხუსეინ ბეჟანიძე დედასაქართველოს და მისი ტანჯული კუთხის — აჭარის გათავისუფლების ფიქრში ათენ-ალამებდა. საამისოდ კი თავის სამსახურსაც მოხერხებულად იყენებდა.⁵³

ოსმალთა დროს მონაწილეობდა ყირიმის ომში, სადაც ქობულეთელთა ათასეულს ედგა სათავეში, შემდგომ ასრულებდა ჟანდარმის კომანდორის მოვალეობას, საიდანაც, შეატყვევეს რა ორჭოფობა, გადააყენეს. როგორც ცნობილია, 1875 წელს აჭარლებმა უარი თქვეს ოსმალთა მხარეზე ებრძოლათ ბოსნია ჰერცეგოვინაში. ხუსეინი მხარეში გავლენიან პიროვნებად ითვლებოდა და ეს გამოსვლა, ბუნებრივია, მისი მონაწი-

53. ა. ახვლედიანი, ე. დავითაძე, „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო“, ბათუმი, 1979, გვ. 20.

ლეობის გარეშე ვერ ჩაივლიდა. ხალხში საბრძოლო სულის-კვეთებას მასთან ერთად დედე-ალა ნიჟარაძე და სხვა ადგილობრივი რჩეული მამულიშვილებიც აღვივებდნენ თურმე. ასე, რომ ხ. ბეჟანიძისადმი ნდობის დაკარგვა შესაძლებელია ამ ფაქტორითაც ყოფილიყო განპირობებული.

სამსახურიდან დათხოვნის შემდგომ ხუსეინს ძმებთან ერთად წართვეს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ მოდგმით აჭარის ერისთავები იყვნენ და ციხისძირიდან ბათუმამდე მოყოლებული ტერიტორია ეკუთვნოდათ. ეროვნული ორიენტაციის გამო თურქეთში გადასახლებითაც დაემუქრნენ⁵⁴, მაგრამ მიუხედავად ამისა, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს უმალ ჩადგა განმათავისუფლებელი რუსის ჯარის სამსახურში (სათავეში ედგა ქობულეთის მილიციის ორი ათასამდე მებრძოლს — ც. ბ.). ერთგულება მილიციის მაიორის ჩინითა და იმპერატორის კართან სიახლოვეთ შეუფასეს⁵⁵.

ხ. ბეჟანიძის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კუთხის ქართულ სივრცეში დაბრუნების შემდეგ, როგორც უფროსი წევრი, შედიოდა თბილისში მიწვეულ აჭარელთა 16-კაციან დეპუტაციაში.

ეს შეხვედრა 1878 წლის ნოემბერში შედგა. ჩასულთ ღირსეული მასპინძლობა გაუწიეს დედაქალაქის რჩეული საზოგადოების წარმომადგენლებმა. დანაწევრებული საქართველოს მთლიანობის აღდგენის აღსანიშნავად მუხრანსკის სასახ-

54. ი. ბეჟირიშვილი, დასახ. დაშრომი, გვ. 53.

55. ა. ახვლედიანი, ე. დავითაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

ლეში წვეულება გაიმართა. ს. მესხის ჩანაწერებზე დაყრდნობით, სუფრის შუაში გრ. ორბელიანი დაბრძანებულა, რომელსაც მარცხნივ ხ. ბეჟანიძე, ნ. ხიმშიაშვილი, მარჯვნივ შ. ხიმშიაშვილი, ხ. აბაშიძე, მუფთი სურმანიძე, მღვდლები და სხვები მისხლოდნან.

ზოგიერთი წყარო დელეგაციის ერთ-ერთ წევრად ხასანბეგ ბეჟანიძესაც ასახელებს.*

გრ. ორბელიანის შთამბეჭდავი გამოსვლის შემდეგ სიტყვა ხუსეინ ბეჟანიძეს უთქვამს, რომელმაც „წმინდა ქართულის ენით წარმოთქვა სადღეგრძელო დიდი მთავრის კავკასიის ნამესტნიკისა“.⁵⁶

გულში ჩამწვდომი ყოფილა ალექსანდრე ზუბალაშვილის, დიმიტრი ყიფიანისა და აკაკი წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვებიც. ილია ამ დროისთვის თბილისში არ იმყოფებოდა და შეხვედრას ვერ დასწრებია.



ილია ჭავჭავაძე

აღსანიშნავია, რომ ხ. ბეჟანიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ა. წერეთელთან და ი. ჭავჭავაძესთან, რომლებთან ერთადაც დღენიადაგ ზრუნავდა აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისა და მისი წინსვლა-განვითარებისთვის. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა

* იხილეთ აპ. წულაძის „ძური სიყვარულით“, ბათუმი, 1991, გვ. 18, 19.

56. ს. მესხი, „წერილები აჭარაზე“, შემდგ. რ. სურმანიძე, ბათუმი, 2001, გვ. 179.

ის, რომ ბათუმში ნური-ბეგ ხიმშიაშვილის სახლში, ქალაქის პირველი ქართული სკოლის გახსნასთან დაკავშირებულ სპეციალურ თათბირზე ილიას ხუსეინ აბაშიძესთან და ბათუმის „უჩასტკის“ უფროსთან გაბუნიასთან ერთად ხუსეინ ბეჟანიძეც მოუწვევია.⁵⁷



დავით კლდიაშვილი

XIX საუკუნის 90-იან წლებში ხუსეინი ფერათ, სულეიმან, ახმედ ბეჟანიძეებთან, გულო-ადა კაიკაციშვილთან, დედე-ადა ნიჟარაძესთან, ხუსეინ და იბრაიმ აბაშიძეებთან, ივანე მესხთან, გრიგოლ ვოლსკისთან, დავით კლდიაშვილთან და სხვა მოწინავე მოღვაწეებთან ერთად მიეკუთვნებოდა იმჟამინდელი ბათუმის თავის ლუკა ასათიანის ირგვლივ შემოკრებილი პროგრესული ადამიანების წრეს.⁵⁸

სწორედ ისინი იყვნენ ჩართულნი ყველა იმ დიდ და მამუღლიშვილურ საქმეში, რაც ლ. ასათიანის ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელობის 6 წლის პერიოდში კეთდებოდა. პირველ რიგში აღნიშვნის ღირსია: ქალაქის მიმდებარე ტერიტორიების დაჭობებული ადგილების ამოშრობა, სანიაღვრე არხების გაყვანა, ქალაქის დადაბლებული ადგილების ხრეშითა და გრუნტით ამოვსება, ახალი ქუჩების გაყვანა და მათი სავალი ნაწილის მოასფალტება, ელექტროსადგურის მოწყო-

57. ი. ახუაშვილი, „ქართული გვარ-სახელები“, თბ. 2003, ტ. III, გვ. 142.

58. ი. ახუაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 773.

ბა, რამაც განაპირობა ნავსადგურისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ელექტროგანათება. ლ. ასათიანის მმართველობისას გაიხსნა, ასევე, ბათუმის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, ბიბლიოთეკა, ოთხი სახელმწიფო სკოლა, აშენდა თვითმმართველობის ახალი შენობა, დაიწყო 120 საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა და სხვა.⁵⁹

ხუსეინ ბეჟანიძე მოწინავე პიროვნებად რომ ითვლებოდა და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იმდროინდელი ბათუმის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იქიდანაც ჩანს, რომ იგი 1881 წელს, ნავსადგურთან შეგროვებული წარჩინებულ პირთა სახელით, ჩვენს ქალაქთან დასამშვიდობებლად ჩამოსულ კავკასიის მეფისნაცვალს, დიდ მთავარს მიხეილ რომანოვს მიესალმა, რომლის ტექსტი გაზეთ „დროებას“ იმავე წლის 6 ივნისის 115-ე ნომერში გამოუქვეყნებია.⁶⁰

აქვე უნდა აღინიშნოს ხ. ბეჟანიძის დამოკიდებულების შესახებ ჩვენი ისტორიის ტკივილიანი პროცესის მუჰაჯირობის (ადგილობრივთა ოსმალეთში იძულებითი გადახვეწის) მიმართ, რასაც ხელს ოსმალთა ემისრების გარდა რუსი მოხელეებიც უწყობდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ოფიციალურად სამწლიანი (1879-1882 წ) მუჰაჯირობის ვადაც კი იქნა დაწესებული.

ხუსეინი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც უშიშრად აღუდგა წინ დამპყრობთა მზაკვრული აგიტაციით გონებააბნეულ

59. გაზ. „აჭარა“, „ლუკა ასათიანის ქუჩა“, 16/III, 2004 წ.

60. თ. კომახიძე „დუდი-ხანუმ ბეჟანიძე და ძე მისი შერიფ ხიმშიაშვილი“, ბათუმი, 2002, გვ. 516.

ხალხს და მათი სამშობლოსკენ შემობრუნება სცადა... ერის გულმხურვალე პატრიოტის სიტყვას (...ხალხური სიმართლითა და სიბრძნით შეზავებულს... მუდამ ხმალივით მჭრელს...) მაშინ უდიდესი ზემოქმედების ძალას მისი მართალი გული და უზადო მამულიშვილობა ანიჭებდა...⁶¹

ხ. ბეჟანიძე ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისთვის, რომ ჩაეგონებინა ადგილობრივ მცხოვრებთათვის, თუ რა საგალალო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ სამშობლოს მიტოვებით. ეს, მისი რწმენით, სიკვდილთან მიახლოებას უდრიდა.

ხალხი ხედავდა, რომ მისი ბატონი არსად წასვლას არ აპირებდა და თვითონაც არ იცლიდა ფეხს ადგილიდან. პირადი მაგალითის გარდა, ბეგს მრავალი გზასაცდენილი დაურწმუნებია და შეუჩერებია კიდევ ოსმალეთში წასვლისგან.

ხუსეინი ყველა სხვა ღირსებასთან ერთად ხალხური ლექსის მოამაგე იყო და სამუჰაჯიროდ აყრილი და სინამდვილისგან გულგატეხილი თანამემამულეების დაშოშმინება-გამაგრებას წარსულის საგმირო ფაქტების გამოხმობითაც ცდილობდა.⁶²

საუბარში მარგალიტებით აბნევედა ქართულ ანდაზებსა და შეგონებებს. ერის სულის თანაზიარი „ვეფხისტყაოსანი“ და აქედან დასწავლილი ფრთიანი აფორიზმები ხომ მისი სიტყვის მადლი და ჯაგარი იყო. „ვეფხისტყაოსნით“ ამაგრებდა იგი დამპყრობთა დამცირებისგან სასოწარკვეთილობამ-

61. ა. ახვლედიანი, ე. დავითაძე, დასახ. ნაშრომი, იქვე.

62. ა. ახვლედიანი, „აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, ბათუმი, 1970, გვ. 39.

დე მისულ და ცხოვრებაზე გულაყრილ აჭარელ სოფლის კაცს. სხვისი რომ შემოაკლდებოდა, შიგა და შიგ თავისასაც გაურევდა, ლექსად ჩამოქნილ სტრიქონებს და მისი მოსაუბრე და მოკამათეც უმაღლესი დამყოლი ხდებოდა.⁶³

ხ. ბეჟანიძემ გადაურჩინა ქართული ხალხური პოეზიის საგანძურს თამარ მეფისადმი მიძღვნილი ლექსი „ათასი კაბა ყმა მყავდა“, რომელიც შეტანილია ქართული ხალხური საისტორიო ზეპირსიტყვიერების ყველა მნიშვნელოვან გამოცემაში.

ეს ლექსი 1879 წელს ხ. ბეჟანიძისგან ჩაუწერია პ. უმიკაშვილს და გაზეთ „დროებაში“ გამოუქვეყნებია. აი, ისიც:

*ათასი კაბა ყმა მყავდა
ყველანი — ოქროს დილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,
ვასმევდი ბროლის ჭიქითა.
ვინც რომ შემება, შევები,
ალაღითა და ჯიქითა!
აწი თქვენ იცით მეფენო,
ვინც დარჩით ამის იქითა!*

აღსანიშნავია, რომ ხალხური საუნჯის შემსწავლელნი ერთხანს ეყრდნობოდნენ პ. უმიკაშვილის და გაზეთ „დროების“ აზრს და მიიჩნევდნენ, რომ ხ. ბეჟანიძე იყო ამ ლექსის მთხრობელი და არა შემთხვეველი. „დროების“ შენიშვნაში ვკითხულობთ „სხვათა შორის აქ მოვიხსენიებთ ერთ ლექსს თამარ დედოფალზე, რომელიც განსვენებულს ძველ-

63. ა. ახვლედიანი, ე. დავითაძე, „ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო“, იქვე.

თავან გაგონილი და ნასწავლი ჰქონდა...“, თუმცა იქვე აღნიშნულია „... და რომელიც არსად არც წაგვიკითხავს და არც გაგვიგონია-ო“.⁶⁴

როგორც ა. ახვლედიანი და ე. დავითაძე მიიჩნევენ, მას შემდეგ გავიდა დიდი დრო ქართული ხალხური ფოლკლორისა და მხოლოდ ერთი გამონაკლისის გარდა (ქს. სიხარულში), ვიდრე დღევანდლამდე თითქმის ერთხელაც აღარ არის ფიქსირებული ხუსეინისგან ჩაწერილი ეს ლექსი. ეს ფაქტი დღის წესრიგში აყენებს, რომ ლექსის ავტორად თვით ხუსეინის გამოცხადების საკითხიც დადგეს... ქს. სიხარულში მის მიერ რაჭაში ფიქსირებული ვარიანტი არასრულია... და გადასულია აჭარიდან...

მას შემდეგ ჩვენს კუთხეში, არც აჭარის ზეპირსიტყვიერების შემკრებთა მიერ არის ფიქსირებული ეს ლექსი. მხოლოდ ორჯერ ვხვდებით და ისიც ადრე გ. წერეთელთან და თ. სახოკიასთან. გ წერეთელთან მთქმელი საერთოდ არ არის დასახელებული. აღნიშნულია მხოლოდ, რომ ლექსი ჩაწერილია ქობულეთში. თ. სახოკიას კი ლექსი ქობულეთში ყურშუმ-ალა ჭყონიასგან მოუსმენია. ხ. ბეჟანიძის თანამედროვე და მასაგით დიდგვაროვანი ყურშუმ-ალა ხუსეინთან დაახლოებული პირი იყო და ლექსიც მისგან ექნებოდა გაგონილ-დასწავლილი.

ამასთან, არც ისაა შემთხვევითი, რომ ყველა ჩამწერს ლექსი სწორედ ქობულეთში მოუპოვებია და არა სადმე სხვაგან.

64. გაზ. „დროება“, №60, 1883 წ. 20/III.

ამგვარად, ლექსი „ათასი კაბა ყმა მყავდა“ პატრიოტი წინაპრის ხუსეინ ბეჟანიძის გამოთქმული უნდა იყოს — ასკენიან მკვლევრები.⁶⁵ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ლექსის ავტორად ხ. ბეჟანიძეს (ან მისი ოჯახის უფროსი თაობის რომელიმე წარმომადგენელს) ასახელებს ზ. ჭიჭინაძე.*

ყველაზე დიდი დაფასება ხუსეინისთვის ხალხის სიყვარული და პატივისცემა იყო, რაც გაზეთმა „დროება“ საქვეყნოდ აღიარა, როცა წერდა: „...არც სახელი, არც რომელიმე გარეშე პატივი, არც საჩუქარი, ჯილდო ან სასყიდელი იყო მისი შრომის წამქეზებელი. მისმა და მისთანა მსგავსთა შრომამ ნაყოფი მოუტანა ჩვენს ქვეყანასა და ბათუმის მაზრის ხალხი გადაარჩინა გადასვლას, განადგურებას, ამოწყვეტას უცხოობაში გადასახლებით.“⁶⁶

მის მსგავსთა გარჯაში ხუსეინის დისშვილის შერიფ ხიმშიაშვილის, ხუსეინ აბაშიძისა და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეთა ამაგი მოიაზრება, რომლებიც ხალხს სისტემატურად ეხმარებოდნენ სურსათით, ფულით, ტანსაცმლით და სხვა საშუალებებით. აქტიურად ეწეოდნენ მუჰაჯირობის საწინააღმდეგო პროპაგანდას, რამაც ალაგმა ჩვენს მიწა-წყალზე უცხოტომელთა დამკვიდრების მცდელობა.

ხ. ბეჟანიძე საზოგადოებრივი მოღვაწეობის გარდა, კარგად ერკვეოდა აჭარის სახალხო მეურნეობის (მეაბრეშუმეობის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის და ა.შ.) და მოსახლ-

65 ა. ახვლედიანი, ე. დაუითაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22, 23.

66. გაზ. „დროება“, იქვე.

* იხილეთ მისი „ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება“, ტფ. 1916, გვ. 16.

ეობის სოციალურ საკითხებში, გააჩნდა მოსაზრებები რეგიონის ამა თუ იმ დარგის განვითარების პერსპექტივებზე.

ცნობილი მკვლევარი ალ. ფრენკელი ხუსეინ ბეჟანიძის ჩაქვის მამულში ყოფნისას გაუოცებია სიმინდის ღეროს სიმადლეს, რომელიც სამ-ნახევარ მეტრამდე აღწევდა თურმე.⁶⁷ როგორც ჩანს, იმ დროისთვის მხარეში მესიმინდეობა კარგად იყო განვითარებული, რასაც ბეგის მეურნეობაშიც ექცეოდა სათანადო ყურადღება.

გარდა ამისა, ზღვასა და მთებს შორის მოქცეულ ფართო, ნოყიერ მინდვრებზე მოჰყავდათ ღომი და ბრინჯი. ხუსეინ ბეჟანიძის სახლთან ახლოს იყო მდიდარი და ვრცელი ჩელტიკის ანუ ბრინჯის ყანა, რომელიც წლიურად 3000 ქისა (3 ათასი მანეთის — ც. ბ.) შემოსავალს იძლეოდა.⁶⁸

ბეგი საუკეთესო სახნავ-სათესი მიწების გარდა, ფლობდა ტყეებსა და სათიბებს. მოშენებული ჰქონდა ხეხილი და ვაზის კულტურა. იმდროისთვის ჩაქვეური ღვინო მთელ ე. წ. ოსმალის საქართველოში განთქმული ყოფილა. გადმოცემით, გააჩნდა ციტრუსის პლანტაციაც.

ხუსეინი XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გაგებით შეხვედრია ცნობილი ბოტანიკოსების ნ. ზეიდლიცისა და ა. სოლოვცევის ინიციატივას აჭარაში ჩაის კულტურის დანერგვის თაობაზე. გადაწყვიტეს ჩაის პირველი პლანტაცია ჩაქვში გაეშენებინათ, რაც ხ. ბეჟანიძის სამფლობელოში განხორციელებულა.⁶⁹

67. თ. კომახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 503.

68. დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

69. ი. ბეჭირიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53, 54.

ხუსეინ ბეჟანიძემ განსაკუთრებული დაინტერესება გამოავლინა ფოთი-ბათუმის რკინიგზის მშენებლობის მიმართ. შეადგინა ლიანდაგების გაყვანის მისეული გეგმაც, რაც გონიერი და რაციონალური მიდგომით გამოირჩეოდა.

მიუხედავად დანაკარგისა, იგი დათანხმდა სარკინიგზო ხაზი ბეჟანიძეთა მამულებზეც გაეტარებინათ. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მხოლოდ ხუსეინის გარდაცვალების შემდეგ, მოგვიანებით, გადასცა რუსეთის მთავრობამ მიწის დიდი ნაკვეთების უსასყიდლოდ გადაცემის სანაცვლოდ ძმებს ფულადი ჯილდო.




სერგეი მესხი

ხ. ბეჟანიძე სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა. მასთან ბინად ჩაქვსა და ბათუმში თავადი გრიგოლ გურიელი, ალექსანდრე ფრენკელი, სერგეი მესხი, დიმიტრი ბაქრაძე, პეტრე უმიკაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, დავით კლდიაშვილი და სხვა ცნობილი პიროვნებები ჩერდებოდნენ.

იმდროისთვის ბათუმი 3-ათასიან დიდ სოფელს უფრო წააგავდა, სადაც კაპიტალური შენობა თითზე ჩამოსათვლელი იყო.⁷⁰

70. თ. კომახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 504, 515.



შალვა შუბლაძე

სტუმრად ჩამოსულებისთვის ბინად გაჩერების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ გულთბილ გარემოში მოხვედრა, რაც უპირველესად ხუსეინ-ბეგის ჭერქვეშ იყო შესაძლებელი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აჭარის გათავისუფლებისთვის მებრძოლ ერისკაცებს ხუსეინი და მისი გვარიშვილობა თავიანთ საიმედო ბანაკად ეგულებოდათ.



პეტრე უშიაკოვილი

ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, ხ. ბეჟანიძეს ახასიათებდა სხვა ერებისადმი სოლიდარობაც. შეუფარებია ოსმალთა შევიწროების გამო აჭარაში გადმოსული ბერძნები. ისინი „...კეთილსინდისიერები არიან, თურქეთში მეციტრუსეობას და ხელოსნობას მისდევდნენ, თავის შენახვასთან ერთად აქაც განავითარებენ ამ დარგებს“-ო — ყოველივე ეს აღნიშნულია 1908 წელს ქ. ათენში გამოქვეყნებულ წიგნში „ბერძნები კავკასიაში.“⁷¹

ხუსეინი ამაცობდა, რომ თვით ოსმალთა ბატონობის დროსაც ეროვნული ტრადიციები ჩვენში შემონახული იქნა. ამის გამოხატულება გახლდათ საქორწინო წეს-ჩვეულებაც

71. ი. ბეჟირიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

— მზითევით, დაწინდვის ცერემონიალით, მოლხენის რიტუ-
ალებით და ა. შ, რომლის ერთ-ერთ ელემენტზე 1873 წელს
ქედის სიახლოვეს სტუმრად ყოფნისას ყურადღება გაუმახ-
ვილებია დ. ბაქრაძესაც — ზენდიდელი ბეგის ბეჟანიძის შავ-
შეთელი ბეგის ხიმშიაშვილის ასულზე ქორწინების ცერემო-
ნიალს ქართული „მაყრულის“ სიმღერით მოზრდილი მაყრი-
ონი მიაცილებდა თურმე.

გადმოცემით, ხ. ბეჟანიძე გარდაიცვალა 1883 წელს, პეტ-
ერბურგიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც რუსეთის იმპერა-
ტორის (ალექსანდრე III-ის) მიწვევით, დისშვილთან, შერიფ-
ბეგ ხიმშიაშვილთან და ხუსეინ-ბეგ აბაშიძესთან ერთად იმ-
ყოფებოდა.⁷² შ. ფუტყარაძე თვლის, რომ მათთან ერთად ყო-
ფილა თეოლოგიის პროფესორი ოლადაურელი ლომან ქარც-
ივაძეც.

პ. უმიკაშვილის თქმით — წლოვანებით სამოც წელს გა-
დაცილებული ხუსეინი გზაში გაცივდა და ავად შეიქმნა, რაც
მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა. დიდი პატივით ბეჟანი-
ძეთა საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს ჩაქვში. სამ-
გლოვიარო პროცესიას ბათუმის ინტელიგენცია და ოლქის
ხელისუფლების მაღალჩინოსნები დასწრებიან.⁷³

აღნიშნულ ფაქტს მწუხარებით გამოეხმაურა ქართული
საზოგადოებრიობა, რისი დასტურია გაზეთ „დროებაში“ გა-
მოქვეყნებული ნეკროლოგის* ეს ფრაგმენტიც: „ვერც არავ-

72. თ. კომახიძე, „აჭარის მოამაგენი“, ბათუმი, 1995, გვ. 67.

73. თ. კომახიძე „დუდი-ხანუმ ბეჟანიძე და ძე მისი შერიფ ხიმშიაშვილი“,
ბათუმი, 2002, გვ. 484, 517.

* იგი ხუსეინის მეგობარს, პეტრე უმიკაშვილს დაუწერია.

ითარი ცრემლი, ვერც არავითარი მეტყველი ენა და კალამი ვერ გამოსახავს შენს და შენ მსგავსთა ღვაწლს, კეთილო კაცო ხუსეინ-ბეგ, რაც საშვილიშვილოდ საქმე მოიმოქმედე: ასიათასი შვილი გადაურჩინე ქვეყანასა.

იყავ უკვდავად, მაგალითად ჩვენის შთამომავლობისათვის, იყავ საუკუნოდ ხსენებული შენ პატიოსანო, ერთგულო შვილო შენის ქვეყნისა“.⁷⁴

ხუსეინ ბეჟანიძეს სამი ვაჟი ჰყავდა: ნური, სეფერი და ოსმანი, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ 1912 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. ოსმანი (დაიბადა 1868 წ.) ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლისთვის 1923 წელს დააპატიმრეს. ძმებიდან ოჯახი მხოლოდ მან შექმნა. პირველი და მეორე ცოლისგან შეეძინა 7 შვილი: ხუსეინი, ასლანი, ულფეთი, ჰურმიზი, ნაზიფე, შოპრეთი და ნარგიზი. შემდგომში ასლანმა ცოლად შეირთო შერიფ ხიმშიაშვილის შვილიშვილი ჰედიე, რითაც კიდევ უფრო გამყარდა ამ ორ გვარს შორის კავშირი.

ტრადიციულად ასეთი დანათესალება ქვეყნის ინტერესებს ემსახურებოდა. სამშობლო შეკავშირებული და გაუტეხელი რომ ყოფილიყო (შ. ფუტკარაძე). საქართველოს მასშტაბით (მათ შორის მის კუთხეებში) დიდებულთა შორის დამოყვრება ოდითგან მამულის მთლიანობის ერთ-ერთ ატრიბუტადაც აღიქმებოდა.

74. გაზეთი „დროება“, იქვე.

* * *

რაკი ბეჟანიძეთა და ხიმშიაშვილთა მოყვრობაზე კიდევ ერთხელ ჩამოვარდა საუბარი, აქვე, ორიოდ სიტყვით, ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილისა და საადეთ ბეჟანიძის შვილისა და შვილიშვილის ფიქრიე და ენვერ ხიმშიაშვილების შესახებ გვინდა მოუთხროთ მკითხველს.

ფიქრიე შესანიშნავი მექართულე, უგანათლებულესი პიროვნება იყო. საუკეთესოდ იცოდა ხუთი უცხო ენა (თურქული, აზერბაიჯანული, ფრანგული, არაბული და რუსული). გახლდათ შესანიშნავი ოქრომკედით დამგვირისტებელი



მქარგავი, რაშიც დედას — საადეთს დაუოსტატებია. მისი უნიკალური ნაქარგობანი, როგორც ძვირფასი სამუზეუმო ექსპონატები, დღესაც კერძო ოჯახებში ბაქოში ინახება.

იყო მქსოველ-დეკორატორი, მუსიკისა და მხატვრობის მოყვარული მანდილოსანი. გასული საუკუნის 20-იან წლებში ბევრი ქართველი ვაჟკაცის ტოფობის საგანი გამხდარა.

პირველი ქორწინება ხანმოკლე და უიღბლო

საადეთ ბეჟანიძე და ფიქრიე ხიმშიაშვილი

გამოდგა, მეუღლე პოლიტიკურ ამბებს შეეწირა. მეორედ აზერბაიჯანელ თავადიშვილზე, ყარაბაღელ ბეგზე, ილიუმა ახუნდოვზე იქორწინა. დარჩათ ორი შვილი — საადეთი და ორჰანი.

თითქმის არაფერი აკლდა, მაგრამ მაინც არ იყო ბედნიერი. მშობელი მიწა ეძახდა და თავისკენ ეწეოდა. სულ დედის — საადეთ ბეჟანიძის ხატება ესიზმრებოდა.

მისი ვაჟი ორჰანი ბათუმში ნათესაუების — თამაზ და თემურ უსტიაშვილების, თენგიზ და ჟუჟუნა ბეჟანიძეების ოჯახებს ხშირად სტუმრობდა. დედისთვის მშობლიური ამბები და ქართული ჟურნალ-გაზეთები მიჰქონდა,⁷⁵ რაც ერთგვარი ნუგეში იყო მოხუცისთვის, რომლის ცხოვრებას საადეთის შვილების ნიგულიასა და დილარას გაჩენამ ახალი ელფერი შესძინა.

რაც შეეხება ენვერ ხიმშიაშვილს, მისი მშობლები იყვნენ ჯელილ-ბეგ ხიმშიაშვილი და შოჰრეთ ბეჟანიძე, ცნობილი პიროვნების — ოსმან-ბეგ ბეჟანიძის ქალიშვილი.

ენვერი 1909 წელს ბათუმში დაიბადა. ბოლშევიკური გადატრიალებისა და რეპრესიების დროს ოჯახი ფოცხოვსა და არტაანში ბიძაშვილებთან გაიხიზნა, საიდანაც სამშობლოში დაბრუნება აღარ ღირსებია.

სახლში კერძო მასწავლებლები ყურანის ფილოსოფიის გარდა ასწავლიდნენ: ფრანგულ, რუსულ, არაბულ, თურქულ ენებს, მუსიკასა და ცეკვას... დაწყებითი განათლება რუსულ

75. შ. ფუტკარაძე, „შენი კალმის წვერს ვენაცვალე შვილო“, „საოჯახო გაზეთი“, ბათუმი, 1998 წ. სპეც. გამოშვება, გვ. 2.

ენაზე ბათუმში მიიღო. ემზადებოდა პეტერბურგის კადეტთა სკოლაში სამხედრო განათლების მისაღებად. დანიშნული იყო მემედ-ბეგ აბაშიძის ქალიშვილზე — იფეთ-ხანუმზე, მაგრამ ხიმშიაშვილთა თურქეთში გადასახლების გამო ვეღარ იქორწინეს.

ენვერმა ყარსში დაამთავრა საბაჟო სასწავლებელი. უმაღლესი განათლებაც ამ განხრით მიიღო. 11 წელი იმუშავა ანკარაში თურქეთის ტრანსპორტის სამინისტროში. სტამბულში დიდხანს ეკავა საბაჟოების დირექტორის თანამდებობა. 1978 წლიდან პენსიაში გავიდა.

აინტერესებდა საქართველოს ისტორია, განსაკუთრებით მშობლიური აჭარის წარსული. აგროვებდა ძველი თაობების ქართველთა ფოტოებს, ძველ ქართულ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, სახლი მუზეუმს მიუგავდა. ძვირფას ჩარჩოებში ჩასმული სურათებიდან იმზირებოდნენ აბაშიძეების, ხიმშიაშვილების, ბეჟანიძეების... ულამაზესი ქალ-ვაჟები, ცნობილი პიროვნებები.⁷⁶

ე. ხიმშიაშვილთან სტუმრად იმყოფებოდა ჩემი ბიძაშვილი ექიმი თენგიზ ბეჟანიძე. მისთვის ჩვენს საგვარეულოზე მიწოდებულმა მასალების ნაწილმა, ასევე, პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ მოპოვებულმა ფოტოებმა და ჩვენებურებზე გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს წინამდებარე წიგნის შევსებაში.

სწორედ ქალბატონი შუშანას მეშვეობით შევიტყვეთ, რომ თავის დროზე ბათუმის მკვიდრი (სავარაუდოდ, წარმოშობით

76. შ. ფუტკარაძე, „მენატრები, ჩემო ხულო...“, იქვე.



ელისაბედ (ანა) ბეჟანიძე

ზენდიდელი) ელისაბედ (ანა) ბეჟანიძე სტამბულის დედათა მონასტრის წინამძღვარი და აქვე არსებული ქართულ-ფრანგული ქალთა სკოლის დირექტორი ყოფილა. კათოლიკური სარწმუნოება ახალციხეში მიუღია. იყო სტამბულის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ერთ-ერთი მეურვის სიმონ ზაზაძის დედის მარიამ ჩილინგარიშვილის დეიდა და გამზრდელი. განზრახული ჰქონია ახალციხეშიც

გაეხსნა ქალთა სასწავლებელი, მაგრამ ამისთვის ხელი საქართველოში მომხდარ ბოლშევიკურ გადატრიალებას შეუშლია.⁷⁷

* * *

ჩაქვის მეპატონის სეფერ-ბეგის შვილებიდან მეძედს ორი ვაჟი ჰყავდა — შვექეთი და თევფიყი. გადმოცემით, მამა-შვილები ადგილობრივი მოსახლეობის წინამძღოლებად ითვლებოდნენ. შვექეთი აჭარაში რუსთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ხელმძღვანელად ითვლებოდა თურმე. კუთხეში მათი დამკვიდრების შემდეგ კი, მამულების გასხვისებისთანავე, მშობელთან ერთად საცხოვრებლად თურქეთში, ქ. ტრაპიზონში გადავიდა. მას და თევფიყს ჩაქვის მამულების გარდა ბათუმში გააჩნდათ დუქნები. ფლობდნენ მიწის ნაკვეთებსაც. მ. კასაპის ზემოხსე-

77. შ. ფუტყარაძე, „სტამბოლის ქალთა სავანე“, თბ. 2012, გვ. 15-38.

ნებული წიგნის მიხედვით, შვექეთი შეეწირა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ არეულობებს ბათუმში, როცა იგი აქ შემოსულ ოსმალებს შეუპყრიათ.⁷⁸ პირველი და მეორე ცოლისგან სამი შვილი გაუჩნდა — საბრიე, აბდული და ფიქრიე.



ფიქრიე ბეკუნბიე

ფიქრიემ ოჯახი ქობულეთის რაიონის ს. ხალას მკვიდრ მემედ გვარიშვილთან ერთად შექმნა. გამოირჩეოდა ვაჟკაცური შემართებით. 1937 წელს მეუღლესთან ერთად დააპატიმრეს, თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ ოჯახს დაუბრუნდა. ქმრის რეპრესირების გამო ოთხი შვილის აღზრდა დედას დაეკისრა, რასაც ღირსეულად გართვა თავი. იყო აჭარის ქალთა კომიტეტის წევრი, რა დროსაც თავისი წვლილი შეიტანა ადგილობრივი ქალების ცხოვრების ასპარეზზე გამოყვანაში.

შვილებიდან ასლანი, როგორც ე.წ. მავნებლის შთამომავალი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტიდან გარიცხეს, რის შემდგომაც მალე გარდაიცვალა, 1939 წელს. ნანა გვარიშვილი იყო აჭარის მკვიდრი პირველი პროფესიონალი პოეტი ქალი, რომელიც მუშაობდა სხვადასხვა ჟანრში. გარდაიცვალა 2000 წელს. ოსიკო გვარიშვილი გახლდათ მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 2010 წელს. დედამამიშვილებიდან ცოცხალი მხოლოდ ზაირაა, რომელიც ამჟამად პენსიონერია. იყო ცნობილი ეკონომისტი.

78. მ. კასაბი, დასახ. ნაშრომი, გვ. 414.

* * *

მემედ-ბეგის მეორე ვაჟი, თევფიყი, მამას უცხოეთში არ გაჰყვა. არც ქონება გაუსხვისებია. იქორწინა ხალვაშის ქალზე. გადმოცემით, გამოდიოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. იყო მენშევიკთა იდეების მიმდევარი. ეწეოდა საჯარო და საქველმოქმედო საქმიანობას.

ზ. ჭიჭინაძის თქმით, ბათუმის ვაჭარ ქართველ მაჰმადიანებთან ერთად მას 200 მანეთი შეუწირავს ქობულეთში სკოლის დასაარსებლად. გადაწყვეტილი ჰქონიათ, მის მიმართ ზრუნვა არც შემდგომში მოეკლოთ.⁷⁹

ზოგიერთი წყარო მიიჩნევს, რომ თევფიყი მაღაზიების გარდა ბათუმში ქუთაისის, გიორგის, პეტერბურგის და ფრანგების (ფარნავაზ მეფის) ქუჩებზე სახლებსაც ფლობდა (ნაწილი დაქირავებული ჰქონია „ჰაკიეს და კომპ“-ის სანაოსნოს, რუსულ სადაზღვევო საზოგადოებასა და გემების გაქირავების ბიუროს, ერთ-ერთში ფუნქციონირებდა სასტუმრო „გერმანია“. აღნიშნული ქონება საბჭოთა პერიოდში ნაციონალიზაციას დაქვემდებარებია.⁸⁰

თევფიყი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა. ისე აღესრულა, მემკვიდრეობა არ დარჩენია. მ. კასაპის წიგნის მიხედვით, მას კიდევ ერთი ძმა ჰყოლია, სახელად ჯემალი, არტილერიის ქვედანაყოფის მეთაური, რომელიც 1934 წელს ანკარაში გარდაიცვალა.⁸¹

79. ზ. ჭიჭინაძე, „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, ტფ. 1913, გვ. 26-28

80. ი. ბეჟირიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56.

81. მ. კასაპი, დასახ. ნაშრომი, იქვე.

* * *

სეფერ-ბეგის მომდევნო შვილს ფერათ-ბეგ ბეჟანიძეს ცოლად ჰყავდა ქურთი დიდებულის ისმაილ ბაში ზადეს შთამომავალი ფატო-ხანუმი. შეეძინათ რვა შვილი: შერიფი, რიზა, ჰაიდარი, ჯელილი, სერი (სულეიმან-ბეგ ბეჟანიძის მეუღლე), ჰურმიზი, საიმე და ნაზიფე, რომელთაგან მრავალრიცხოვანი ნამრავლი დარჩა.

გადმოცემით, ფერათ-ბეგს მინიჭებული ჰქონია IV ხარისხის „მეჯიდის“ ჩინი. 1840-იან წლებში იგი ყოფილა რუსეთის არმიის პრაპორშჩიკი ოსმალთაგან ახალგათავისუფლებულ მესხეთში, რის შემდგომაც მონაწილეობდა 1853-1856 წლების ყირიმის ომში.



შერიფ და ჯელილ ბეჟანიძეები



ჰაიდარ-ბეგ ბეჟანიძე

საგვარეულოს ამ შტოდან უნდა აღინიშნოს ჰაიდარ-ბეგ ბეჟანიძის (1892-1920 წ.წ.) ერთადერთი ასულის შაესტერის შესახებ, რომელიც დუდი ხანუმსა და ხუსეინ ბეჟანიძეს შეილიშვილად ერგებოდა.

მამა 28 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაეცვალა. ისე, რომ მისი ხილვაც ვერ მოასწრო. ძირითადად იზრდებოდა სოფელ ხალაში, ბაბუის — მემედ გვარიშვილის ოჯახში, თუმცა მამისეულ კერასთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. გათხოვდა 1937 წელს ცნობილი ეროვნული მოღვაწის, მემედ აბაშიძის უფროს ვაჟზე იბრაიმიზე. მამამთილის უსაფუძვლოდ დაპატიმრებისა და დახვრეტის შემდეგ, ქმარი დასთან — იფეთთან ერთად შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს, რის შემდეგაც შაესტერი დედამთილთან — სეფურე ათაბაგთან ერთად უბინაოდ დატოვეს.



შაესტერ ბეჟანიძე

მიუხედავად ამისა, სულიერად არ დაცემულა, მის ცხოვრებას

სტიმული მისცა ვაჟის — ასლანის დაბადებამ. დღენიადაგ მუხლჩაუხრელად შრომობდა. იყო წინდახედული, სხვისი გასაჭირის გულთან ახლოს მიმტანი, სალ კლდესავით შეუვალი მანდილოსანი. რამდენიმე წლის შემდეგ იბრაიმი გადასახლებიდან დაბრუნდა, თუმცა ბათუმში ცხოვრება და საქმიანობა აკრძალული ჰქონდა; ოჯახთან ერთად ერთხანს საცხოვრებლად ხულოში გადავიდა. საქმიანობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე განათლებისა და კულტურის სფეროში. ასე გრძელდებოდა 1957 წლამდე, მ. აბაშიძის რეაბილიტაციამდე, რის შემდგომაც მეუღლესთან ერთად ცხოვრება და მოღვაწეობა ბათუმში განაგრძო. შაესტერი გარდაიცვალა 1992 წელს.

შვილებიდან — ასლანი 1991-2004 წლებში იყო აჭარის ა.რ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. ნარგიზი — სრულიად საქართველოს საზოგადოება „მამულიშვილის“ ვიცეპრეზიდენტი, ფრიტიოფ ნანსენისა და აბუსერისძე ტბელის სახელობის პრემიების ლაურეატია.

* * *

სეფერ ბეჟანიძის მეოთხე ვაჟს ხემიდ (ჰამიდ)-ბეგს (1815-1854 წ.წ.) განსწავლულობით გამორჩეული სამი შვილი ჰყავდა: ხასანი, მურადი და ჰაიდარი, რომლებიც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ საცხოვრებლად თურქეთში გადავიდნენ. მ. კასაპის წიგნის მიხედვით, მათ კიდევ ერთი დედმამისშვილი — ესმიჰანი ჰყოლიათ.⁸²

82. მ. კასაპი, დასახ. ნაშრ. გვ. 335.

ხემიდი რუსთა წინააღმდეგ ათასი მეომრით მონაწილეობდა 1853-1856 წლების ყირიმის ომში. ხასან-ბეგ თავდგირიძესთან ერთად მიაღწიეს სოფელ ნიგოეთამდე, სადაც დაიღუპნენ. ხასან ბეგს თავი მოკვეთეს, ხემიდი კი მძარცველსა და დამნაშავეს ვინმე არკვეტოლლის მოუკლავს, რისთვისაც ძმებმა ფერათმა და მემედმა შური იძიეს.⁸³

როგორც ცნობილია, ამ ომის დროს ქართველთაგან ზოგი რუსთა, ზოგიც ოსმალთა დროშის ქვეშ იბრძოდნენ. ხდებოდა ისე, რომ ქობულეთელთა და ლაზთა რაზმები საომრად მეზობელ გურიაში გადადიოდნენ.

ადგილი ჰქონია უკუპროცესსაც, როცა თანამომე: „...ჩვენი რაზმელები მტერს... რომ გარეკდნენ, თვითონ გადაიჭრებოდნენ ხოლმე ქობულეთში და რაც შეეძლებოდათ უფრო მეტ ზიანს ატეხდნენ თავს... იმ დროს ეს ღვაწლი ფასობდა რუს ხელმწიფისგან... მერმე მზაკვარმა ჩინის მძებნელებმა ქართველებს რუსეთის ორგულობა შესწამეს“ — წერდა ნ. ნიკოლაძე.⁸⁴

ასეთი უმძიმესი ხვედრის თანაზიარიც ყოფილა საქართველო, როცა იმპერიების დიდებისთვის იღვრებოდა ქართველთა სისხლი.

ხემიდის შვილებიდან ცნობილნი იყვნენ ხასან და მურად ბეჟანიძეები.

ხასან-ბეგი სავარაუდოდ, 1847 წელს დაიბადა. ს. მესხის დახასიათებით, იგი იყო დაბალი, „ჩასკვნილი“ ტანისა და

83. თ. კომახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 460, 461, 521.

84. რ. სურმანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.



ხასან-ბეგ ბეჟანიძე

სიმპათიური შესახედაობის მქონე, გონიერი პიროვნება, რომელსაც ბათუმში დიდი მამულები გააჩნდა. სწავლობდა ბათუმის სახელმწიფო სკოლაში, სტამბულში სამხედრო სამსახურში ყოფილა. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დროს სათავეში ედგა ასეულს. ტანთ ვეროპულ სამოსს ატარებდა თურმე. იმდროინდელ ყველა საჭირბოროტო საკითხზე გააჩნდა გამოკვეთილი პოზიცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხ.

ბეჟანიძე შედიოდა 1878 წლის ნოემბერში თბილისს მივლინებულ აჭარის დელეგაციაში და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აღსანიშნავ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა.

ხასან-ბეგის მტკიცებით, დედასაქართველოს შემოერთებული ადგილობრივები, დანარჩენ თანამომხეთა ცხოვრების წესის შემხედვარე, თავისთავად გადმოიღებდნენ მათგან „...გარეგან შემკულობას... ზნეს, ხასიათსა და სარწმუნოებას...“ ყველაფრის თავისთავად გადმოღება გენის იდენტურობისა და შინაგანი მოთხოვნილების გარეშე წარმოუდგენელია. მშობლიურ წიაღში დაბრუნებული აჭარელი, ხომ ყოფაში ყოველივე იმის გამტარებელი გახდა, რაც, სამშობლოსგან სამსახურკუნოვანი განშორების მიუხედავად, ოდითგან სისხლითა და

ხორციით მოსდგამდა. ვფიქრობთ, ხ. ბეჟანიძის ამ ნათქვამში ეს ფაქტორიც უნდა ვიგულისხმოთ. მით უმეტეს, მას მშვენივრად ესმოდა, თამარ დედოფლის დროს ერთად რომ ვყოფილვართ და ერთად გვიცხოვრია“ (ს. მესხი). ისევე, როგორც შემდგომაც.

გადმოცემით, ხასან-ბეგი მეტად განათლებული ადამიანი ყოფილა, კარგად იცნობდა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს. ურთიერთობა ჰქონდა ქართულ პროგრესულ საზოგადოებასთან. მისი თურქეთში გადახვეწის მიზეზი რუსულ კოლონიურ მმართველობასთან შეურიგებლობა უნდა ყოფილიყო.

მ. კასაპის მონათხრობზე დაყრდნობით, იქ ხასან-ბეგს გენერლის წოდებამდე მიუღწევია. მუშაობდა ქ. ბურსას გუბერნატორად, რა დროსაც დიდი წვლილი შეიტანა ქართველ მუჰაჯირთა ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. შემდგომ მაჰმადიან ქართველთა ადმინისტრაციის დირექტორი ყოფილა. გარდაიცვალა 60 წელს მიღწეული.

ხასანის მომდევნო ძმამ მურადმა (სავარაუდოდ დაიბადა 1849 წელს) დაასრულა ბათუმის სასულიერო სასწავლებელი. ოსმალთა ბატონობისას, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მათ შორის ბათუმის მთავრობაში და ქვემო აჭარის ნაჰიეს მმართველად. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში მონაწილეობისთვის ოფიცრის ჩინი მიიღო. როგორც ზემოთაც ითქვა, შემდეგ საცხოვრებლად თურქეთში გადავიდა, სადაც კვლავ საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა. იყო ერბას, სივამის, ნიქ-



მურად-ბეგ ბეკასიძე

სარის, მილასის, ატრანუსის (ორჰან-გაზის) და ინეგოლის (ძირითადად მაჰმადიანი ქართველებით (მუჰაჯირებით) დასახლებული უბნების) კაიმაკამი. მინიჭებული ჰქონდა მეოთხე ხარისხის ღირსების ორდენი.

გამორჩეოდა საზოგადოებრივი საქმიანობით. ერთხანს ერბაში ხელმძღვანელობდა სახალხო მოძრაობას, ჩამოაყალიბა საბაჟო სამსახური.

დიდი წვლილი შეიტანა ბათუმის მიდამოებში აფხაზ მუჰაჯირთა დამკვიდრებაში. თურქეთში განხორციელებული აღმშენებლობის გარდა, ბათუმში ააშენა — სასამართლოს, ფოსტის, შუქურას, სასულიერო სასწავლებლის ნაგებობები და სხვა.

გასული საუკუნის დასაწყისიდან (1907 წ.) თურქეთის მთავრობას მურადი ბათუმში გადაუსახლება, სადაც ლიმანის რაიონში სახლობდა. ამის მიზეზი, ეტყობა, მისი აქტიური მოღვაწეობა გახდა. 1915 წელს ასაკოვანი მურადი ჩართული ყოფილა ერთ-ერთ ბრძოლაში (ალბათ, პირველი მსოფლიო ომი იგულისხმება, რამაც აჭარა ერთობ დააზარალა — ც. ბ.), რის შემდეგაც ბათუმიდან წასულა და ზოგიერთ აქაურ მაჰმადიან ქართველთან ერთად ინეგოლთან დასახლებულა. გარდაცვალების თარიღი უცნობია.⁸⁵

85. მ. კასაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162, 390, 391.

* * *

ქედის მფლობელი მუთი-ბეგ თულუმა ბეჟანიძის შთამომავლობიდან ჩვენ მხოლოდ ჰაჯიასან-ბეგის შესახებ გვქონდა საუბარი. ამჯერად მუთის დანარჩენი ვაჟების — აბდულის, უსუფისა და მემედის შესახებ მოუთხრობთ მკითხველს.

ა. ბეჟანიძე დაიბადა ს. ზენდიდში. დაამთავრა ქედის სასულიერო და სტამბულის სულთან მეჰმედის სასწავლებლები. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1853-1856 წლების ყირიმის ომში, სადაც მწერლად მსახურობდა. ოსმალთა დროს მშობლიურ კუთხეში სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავა: იყო მაჭახლის კაზის ხელმძღვანელი, ქვემო აჭარის კაზის სამმართველოს უფროსის მოადგილე, სატყეო სამმართველოს და მომარაგების განყოფილების უფროსი, ლაზეთის სანჯაყის მეჯლისის წევრი და მურღულის კაიმაკამის მოადგილე.⁸⁶ როგორც უფროსი ოფიცერი, დაჯილდოებული იყო მეხუთე ხარისხის მეჯიდიეს ორდენით.

აჭარიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ აბდულ ბეჟანიძემ მოღვაწეობა ბათუმში განაგრძო. 1880 წელს დაინიშნა ქალაქის მილიციის ფეხოსანთა ასეულის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. 1881 წელს გახდა პრაპორშჩიკი და ასეულის უფროსი. 1891 წელს მიენიჭა პოდპორუჩიკის წოდება.⁸⁷

აბდულს საცხოვრებელი სახლი ბათუმს გარდა გააჩნდა მამისეულ ზენდიდშიც, ასევე, სახნავ-სათესები აქვე და ქვემო აჭარის სხვა სოფლებში. ფლობდა ორსართულიან ქვით-

86. მ. კასაპი, დასახ. ნაშრომი, გვ. 382.

87. თ. კომახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 448, 449.



აბდულ ბეჟანიძის საცხოვრებელი სახლი ქედაში

კირის სახლს დაბა ქედაშიც, რომელიც 1890 წელს აუგია. გამოირჩეოდა ეროვნული საქმეების მხარდაჭერით, კულტურით და განსწავლულობით. დაინტერესებული იყო ხალხში ქართული წერა-კითხვის გავრცელებით. როგორც პროგრესულ პიროვნებას, თავისი შვილებისთვის და სოფლის ყმაწვილებისთვის მასწავლებელი მოუწვევია და თბილისიდან მათთვის ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ გამოუთხოვია, რაზედაც იუწყებოდა ადგილობრივი პატრიოტის, გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტის, საღორეთელი ხასან ციციანის (წინაპრებით ციციშვილის — ც. ბ.) ამავე გაზეთში გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილი.⁸⁸

88. რ. სურმანიძე, „აბდულ მიქელაძე“, ბათუმი, 2007, გვ. 37-38.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ხასან-ეფენდი ციციშვილი, 25 წლის ყმაწვილი კაცი, ტრაპიზონში გაზრდილა. იქაურ სკოლაში სწავლობდა. ქართული წერა-კითხვა კი დევრიმ-ბეგ ბეჟანიძის დედისგან (გულხანუმ ნიჟარაძისგან — ც. ბ.) უსწავლია... მუჰაჯირად წასული, ოსმალეთიდან აჭარაში აბდულ-ბეგ ბეჟანიძემ გადმოიყვანა. საცხოვრებლად ზენდიდში დაასახლა და დააოჯახა. შემდეგ მშობლიურ საღორეთში გადასულა, სადაც „...მოხდენილი, საკვირველი თვალ-ტანადი, სიცოცხლით სავსე კაცი“ სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილა.⁸⁹

მ. კასაპის ნაშრომის მიხედვით, გასული საუკუნის დასაწყისიდან (1906 წ.) აბდულ-ბეგი თურქეთის ტრაპიზონის ვილაიეთში ნაპიეს მმართველად მუშაობდა. იქვე ააშენა სამხედრო ობიექტი და სალოცავი. გარდაიცვალა ხანდაზმულობის ასაკში, როცა ბათუმიდან თურქეთში მიემგზავრებოდა.⁹⁰

აბდულ ბეჟანიძეს პირველი და მეორე ცოლებისგან დარჩა ორი ვაჟიშვილი — ქაზიმი და ხუსეინი. ქაზიმზე (დაიბადა 1876 წელს), ისე, როგორც მის ნამრავლზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. როგორც ტექნიკური დარგის სპეციალისტი, ერთხანს აზერბაიჯანის (ბაქოს) წყალგაყვანილობის სისტემებზე მუშაობდა, იქიდან დაბრუნებისას მოულოდნელად გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში, კუკიის სასაფლაოზე.

დარჩა ერთადერთი ვაჟი, რომელიც დედამ, ინჯე ხალვაშიმა, საცხოვრებლად მშობლიურ მარადიდში გადაიყვანა. თურ-

89. რ. სურმანიძე, დასახ. ნაშრომი, იქვე (გაზ. „ივერია“, 1893 წ. 11/III, №51).

90. მ. კასაპი, დასახ. ნაშრ. გვ. 382.

ქეთთან საზღვრის გავლების შემდეგ მეორე მხარეს აღმოჩნდნენ, საიდანაც შთამომავლობამ ჯერ სტამბოლში, იქიდან კი გერმანიაში და ავსტრიაში დაიდო ბინა.

ხუსეინ ბეჟანიძე დაიბადა ს. ზენდიდში 1881 წელს. ითვლებოდა ერთობ განსწავლულ პიროვნებად. ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. გადმოცემით, იყო წევრი 1916 წლის მარტში აჭარიდან თბილისს წარგზავნილი დეპუტაციისა, რომელიც მეფისნაცვალს ეახლა მაჰმადიან ქართველთა მუჰაჯირობიდან დაბრუნებისა და კავკასიის სამხედრო ხელისუფლების მიერ ცრუ ბრალდებით დალატში დადანაშაულებული ადგილობრივებისთვის შედაგათის გაწვევის მოთხოვნით.



ხუსეინ აბდულის ძე ბეჟანიძე

ოჯახი ხუსეინმა გული ჭყონიასთან ერთად შექმნა. 1912 წელს ქედაში დაიდეს ბინა, საიდანაც 1923

წელს საცხოვრებლად გადავიდნენ გულის მამის — ხასან-ალისგან მემკვიდრეობით მიღებულ საცხოვრებელ სახლში (ბათუმში), რადგანაც ბოლშევიკებმა ხუსეინს ბათუმის მამისეული ქონება და ქედის საცხოვრებლის ნაწილი ჩამოართვეს. მალე დაბაში დანარჩენი ფართის გარეშეც დატოვეს. ნაციონალიზაციას დაუქვემდებარეს, ასევე, დიდძალი მიწები ზენდიდში, იმ



ხუსეინ ბეჟანიძე (დვას მარჯვნიდან მესამე)
აჭარის დეპუტაციის შემაღგენლობაში, 1916 წელი

მოტივით, რომ ქალაქში ცხოვრობდა და სოფელთან არანაირი შეხება არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, ხუსეინის შთამომავლობა ქედაშიც ქონების გარეშე დარჩა. ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით, ისინი სახლის მემკვიდრეებად აღიარეს, მაგრამ დაბაში საცხოვრებლად აღარ გადასულან. ხუსეინსა და გულის შეეძინათ ექვსი შვილი: სკენდერი, თემური, გუგული, ნაიმე (ნადეჟდა), შუშანა და შორეთი (შორენა).

გუგული ბეჟანიძე (1918-1995 წ.წ.) დაიბადა ს. ზენდიდში. ბათუმის პედინსტიტუტის დასრულების შემდეგ მუშაობდა პედაგოგად ქალაქის №1 საშუალო სკოლაში, რომელსაც 1949-1976 წლებში სათავეში ედგა მისი მეუღლე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, აჭარის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი დავით მახარაძე. დარჩათ ორი ვაჟი — ჯუმბერი და ჯემალი.



დვანან: ნაიმე და შორეთ ბეჟანიძეები,
სხედან: გული ჭყონია და
ნელი შერვაშიძე, 1963 წ.

ნაიმე (ნადეჟდა) ბეჟანიძე (1919-1982 წ.წ.) დაიბადა ს. ზენდიდში. შრომითი საქმიანობა ბათუმის №4 საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე დაიწყო. 1960 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. გააჩნდა უმაღლესი იურიდიული განათლება.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა ბათუმის რაიონის ჯანდაცვის განყოფილების ბუხ-ჰალტრად, აჭარის უმაღლესი სასამართლოს წევრად და

თავმჯდომარის მოადგილედ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროს რევიზორად და მთავარ კონტროლიორ-რევიზორად აჭარაში.

1969 წლიდან გარდაცვალებამდე იღვწოდა ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგედ. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო აღმასკომის, საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის წევრი და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, ბათუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

მინიჭებული ჰქონდა აჭარის დამსახურებული ეკონომისტის წოდება. დაჯილდოებული იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელითა და მედლებით.

შუშანა ბეჟანიძე (1921-2004 წ.წ.) ბათუმის პედინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. წლების განმავლობაში ითვლებოდა გამორჩეულ პედაგოგად.

მისი მეუღლე იუსუფ ბოლქვაძე ერთხანს ბათუმის №5 საამშენებლო ტრესტის პირველ სამმართველოს ხელმძღვანელობდა. დარჩათ სამი შვილი: დოდო, დეა და ავთანდილი.

შორეთ (შორენა) ბეჟანიძე (1927-1999 წ.წ.) დების, გუგულისა და შუშანას მსგავსად, პროფესიით პედაგოგი იყო,



შორეთ ბეჟანიძე მეუღლესთან
ამირან შერვაშიძესთან ერთად

თუმცა სპეციალობით არ უმუშავია. 1964 წლიდან პენსიაზე გავლამდე იღვწოდა ბათუმის თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკად და აჭარის

რესპუბლიკური სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის ბიოლოგ-ბაქტერიოლოგად. მისი მეუღლე ამირან შერვაშიძე წლების განმავლობაში იყო აჭარის უმაღლესი საბჭ-

ოს პრეზიდენტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ბათუმის საქალაქო საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი.

დარჩათ შვილი ნელი, პროფესიით ექიმი, რომელმაც ოჯახი რევან მიქელაძესთან ერთად შექმნა. ჰყავთ ორი ვაჟი: დავითი და ჯემალი.

თემურ (თეიმურაზ) ბეჟანიძე დაიბადა 1916 წელს. დაასრულა ბათუმის (მწვანე კონცხის) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რის შემდეგაც ჩაირიცხა სოხუმის სუბტროპი-



კული მეურნეობის ინსტიტუტში. სწავლობდა ჩვენი რეგიონის ყოფილ ხელმძღვანელთან ალექსანდრე თხილაიშვილთან ერთად.

სოხუმიდან ინსტიტუტის თბილისში გადატანის შემდეგ თ. ბეჟანიძემ სწავლა მოსკოვში გააგრძელა, სადაც 1940 წელს დაამთავრა ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია მეხილეობა-მებაღეობის აგრონომის განხრით. როგორც ნიჭიერი და პერსპექტიული სპეციალისტი, აკადემიაში მეცნიერ

თემურ (თეიმურაზ) ბეჟანიძე
მუშაკად დატოვეს.

მოსკოვში გადასვლის შემდეგ პარალელურად მუშაობდა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონში. იყო ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მიღწევათა მრავალი გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მუდამ

მხიარული და სიცოცხლისუნარიანი გატაცებული იყო სპორტითაც. ითვლებოდა კარგ ტანმოვარჯიშედ.

1940 წლის შემოდგომიდან, სამხედრო სამსახურში გაწვევის შემდგომ, მსახურობდა საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში ლენინგრადში (კრონშტადტში); იმავე წლის დეკემბრიდან ჩაირიცხა ლატვიის რესპუბლიკის ქ. ლიეპაიას სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურთა მოსამზადებელ სასწავლებელში, რაც უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებით დაკომპლექტებული ერთადერთი ამ პროფილის სასწავლო დაწესებულება იყო მთელი საბჭოეთის მასშტაბით.

მალე თეიმურაზი საუკეთესო კურსანტი ხდება. უშუალოდ ით, გამბედაობითა და სამართლიანობით ჭეშმარიტი რაინდის განსახიერებას წარმოადგენდა.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანიის ავიაციამ საზღვრისპირა ქალაქებიდან ლიეპაიაც დაბომბა, რის შემდეგაც თეიმურაზი, როგორც მეტყვეიმფრეკვეე, ქალაქისთვის გააფთრებულ ბრძოლებში ჩაება. ძირითადად იცავდნენ რკინიგზას, ცენტრალურ გზატკეცილებს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზებს, რა დროსაც მძიმედ დაიჭრა მუცლის მარცხენა არეში. 25 ივნისს იგი ფლოტის ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

საყვარელი კურსანტის გადასარჩენად სამედიცინო პერსონალი ფეხზე დადგა. სხვა დაჭრილებთან, ქალაქში მყოფ ქალებთან, მოხუცებთან და ბავშვებთან ერთად იგი ლენინგრადში საევაკუაციოდ აიყვანეს სანიტარიულ გემზე „ვიენიბა“, რომელსაც წითელი ჯვრის ამოსაცნობი ნიშნები ჰქონდა.

სამწუხაროდ, 27 ივნისს დილის 4 საათზე ფაშისტებმა გე-
მი დაბომბეს, რის შედეგადაც იგი ჩაიძირა. 700 კაციდან გა-
დარჩა მხოლოდ 18. დაღუპულთა შორის იყო შეუდრეკელი
და მამაცი, 25 წლის ვაჟკაცი თეიმურაზ ბეჟანიძეც, რომე-
ლიც ბალტიის ზღვაში სამარადისოდ განისვენებს ლიეპაიას
გმირ დამცველებთან ერთად.

1985 წელს მათ შესახებ გამოიცა ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორის ვ. საჭენკოს მონოგრაფია „ლიეპაიას შვიდი ცეც-
ხლოვანი დღე — 23-29 ივნისი, 1941 წელი“, რომელშიც მოთ-
ხრობილია თ. ბეჟანიძის თავსგადახდენილ ბრძოლებზე. აქვე
განთავსებულია მისი ფოტოსურათი და ფრაგმენტი ოჯახში
გამოგზავნილი წერილიდან. თეიმურაზ ბეჟანიძის საბრძოლო
ეპიზოდების ამსახველ დოკუმენტებსა და ფოტოებს ინახავ-
დნენ ქ. ლიეპაიას ისტორიულ-მხატვრულ, საზღვაო ფლოტის
ოფიცერთა სახლთან არსებულ საბრძოლო დიდების და მოს-
კოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკად-
ემიის მუზეუმებში, რომელთა ასლები ხ. ახვლედიანის სახე-
ლობის აჭარის სახელმწიფო მუზეუმშიცაა დაცული. მასზე
მოთხრობილია, ასევე, „II მსოფლიო ომის ისტორიის“ მეოთ-
ხე ტომში (გვ. 36).⁹¹ აღსანიშნავია, რომ თეიმურაზის დარად
ფრონტიდან შინ არ დაბრუნებულა გვარის ზენდიდისა და ჩაქ-
ვის შტოს კიდევ რამდენიმე წარმომადგენელი.

თეიმურაზს ჰყავდა მეუღლე — ეკატერინე ზავიალოვა. შე-
ეძინათ ქალიშვილი ლარისა და ვაჟი ვადიმი (1938-1989),
რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქ. გროზნოში. წლე-

91. ნ. ცეცხლაძე, „ტრაგედია ბალტიის ზღვაზე“, ვაზ. „აჭარა“, 3/V, 1995 წ.

ბის განმეაღობაში იყო ქალაქის სავაჭრო სამმართველოს უფროსის მოადგილე. გამოირჩეოდა გულისხმიერებითა და განსწავლულობით. ყოველწლიურად შვებულებას ბათუმში ბებიისა და მამიდების გარემოცვაში ატარებდა. ბუნებითა და ხასიათით ქართული გენის მატარებელი გახლდათ. ცოლა-დაც ქართველი, გონიოელი მეან-გინეკოლოგი ლიანა ჩიქოვანი შეირთო. სამწუხაროდ, ისე წავიდა წუთისოფლიდან შთამომავლობა არ დარჩენია.

* * *

მუთიდას მომდევნო ვაჟს უსუფს ჰყავდა ექვსი შვილი: ნური, ფერუხე, ჯემალი, მელექი, ფანთუში და შვექეთი. ნურის დარჩა ქალ-ვაჟი — თახსიმი და გულნარა (გულესერი). ობლად დარჩენილების მიმართ მზრუნველობას ბებიანჩემი — ფადიმე ჯაბნიძე იჩენდა.

გულნარამ დაასრულა ხულოს პედსასწავლებელი. მუშაობდა ზენდიდის დაწყებითი სკოლის გამგედ. ჰყავს შვილი — დალი იმედაშვილი.



თახსიმ ბეჟანიძე

თახსიმს, რომელიც მეღვინეობით იყო განთქმული, დარჩა 7 შვილი: მუშანა, ნოდარი, ამირანი, უსუფი, ილია, ციური და მარინა. ციური ამჟამად თბილისში ცხოვრობს. ნოდარის შვილმა — იამ დაასრულა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი კარდიოლოგიის განხრით. ამჟამად ცხოვრობს აშშ-ში.

* * *

მუთის მეოთხე შვილის მემედ-ბეგის შთამომავლობიდან გამომდინარე ახმედ და სულეიმან ბეგნიძეები. მათი დედა გახლდათ მახუნცეთელ ბეგ თავდგირიძეთა შთამომავალი. ჰყავდათ კიდევ ერთი ძმა, ბერი, რომელიც ახმედთან ერთად დახვრიტეს 1937 წელს. ახმედსა და ბერს დამთავრებული ჰქონდათ ლიცეუმი სტამბულში. ახმედი მეფის რუსეთის მმართველობისას მსახურობდა ქუთაისის ჟანდარმერიის უფროსის მოადგილედ.⁹²

გადმოცემით, ემხრობოდა მენშევიკებს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დროს იყო ეროვნული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის ადიუტანტი, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ წევრი.



სულეიმან ბეგნიძე

სულეიმან ბეგნიძე დაიბადა 1850 წელს ს. ზენდიდში. ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, მას რუსობის შემდეგ ქართული და რუსული წერა-კითხვა შეუსწავლია. გრიგოლ გურიელს ნათესავად ერგებოდა. გული ეთანადრებოდა, ქართველი მაჰმადიანები სწავლა-განათლების მხრივ ჩამორჩენილნი რომ იყვნენ. მზად იყო აქაურებში წიგნების გავრცელებისთვის დახმარების აღმოჩენაში. „...წიგნი გვასწავლეთ, გაგვიცანით და მერე სხვაფრივ იქნება საქმეო“.

92. თ. კომახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 452.

კარგად იცნობდა ქართულ ხალხურ ლექსებს. ყოფილა მოწადინე აჭარაში საბაღოსნო სკოლის დაარსებისა. სულე-იმანმა იცოდა თურქული კითხვაც. სტამბულიდან გაზეთებიც კი მოსდიოდა...⁹³

გაზეთ „ივერიის“ 1888 წლის №88-ში გამოქვეყნებული აბ-დულ მიქელაძის ერთ-ერთი წერილით ირკვევა, რომ სულე-იმან-ბეგ თულუმბაზადეს (ბეჟანიძეს) ოსმან-ეფენდი გეგიძე-სთან ერთად საკულტო ნაგებობის სასარგებლოდ გაუციათ შემოწირულობა — მათი მეცადინეობით მოგროვილი 150 მან და 95 კაპ., რისთვისაც ზენდიდის მცხოვრებლები მათ მი-მართ მადლიერებას გამოხატავენ.⁹⁴

ს. ბეჟანიძე ხასიათდებოდა პატრიოტიზმით. მჭიდრო კავ-შირი ჰქონდა მოწინავე ქართულ საზოგადოებასთან. ეწეოდა პოლიტიკურ მოღვაწეობასაც. 1918 წლიდან, ძმის, ახმედის მსგავსად, გახდა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავის-უფლებელი კომიტეტის“ წევრი, რომელსაც სათავეში ედგა ჩვენი კუთხის დიდი მოამაგე მემედ-ბეგ აბაშიძე.

სულეიმანის სამოქმედო უბანი იყო ქედა, სადაც ბეჟანი-ძეები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. როგორც ცნო-ბილია, კომიტეტი აქტიურად გამოდიოდა „სედაი მილეეთე-ების“, „დენიკინელების“, პანთურქული და სხვა რეაქციული ძალების, ოსმალთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რისთვის-საც, როგორც შთამომავლებისგან ვიცით, მ. აბაშიძესთან და

93. ზ. ჭიჭინაძე, „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართვე-ლოში“, ტფ. 1913, გვ. 26.

94. რ. სურმანიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 85.

აჭარის სხვა პატრიოტებთან ერთად, 1918 წლის გაზაფხულზე ტრაპიზონის ციხეში სასჯელს სულეიმანიც იხდიდა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულმა კომიტეტმა აჭარის თურქთა ბატონობიდან გათავისუფლების (1878 წ.) 40 წლის შემდეგ, ოსმალეთის მიერ ბათუმის ოლქის ხელახალი ოკუპაციისას დიდი წვლილი შეიტანა კუთხის დედასამშობლოსთვის შენარჩუნებაში. ამ მიზნის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბათუმში 1919 წლის აგვისტოში, კომიტეტის მიერ ოლქის წარმომადგენელთა ყრილობის ორგანიზებამ, რომელშიც სულეიმანიც ღებულობდა მონაწილეობას. ყრილობამ, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ავტონომიის ფორმით საქართველოსთან განუყრელობის მტკიცე სურვილი დაადასტურა.

ს. ბეჟანიძის მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატების ნაწილი ფოტოებთან ერთად ამჟამად აჭარის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

სულეიმანი ჩართული იყო ცარიზმის ადმინისტრაციის შეთითხნილი ბრალდებით, ზემოხსენებულ, „სახელმწიფო დალატში“ დადანაშაულებული აჭარლების დაცვის პროცესშიც. აღნიშნული ფარსის ინიციატორი იყო რუსული გენერალიტეტი, რომელიც ცდილობდა უმაღლესი მთავარსარდლობის წინაშე ამით გაემართლებინა პირველი მსოფლიო ომის საწყისი ეტაპის წარუმატებლობები.

ერთ-ერთი ბრალდებული ახმედ ბეჟანიძეც ყოფილა, რომელიც პროგრესული ქართული საზოგადოების აქტიური ჩარევით, 1915 წლის სექტემბერში ბათუმში გამართული სასამ-



ფუად ბეჟანიძე



აკიფორ ბეჟანიძე

ართლო პროცესიდან სხვა 8 აჭარელთან ერთად გაუთავისუფლებიათ.⁹⁵

სულეიმან ბეჟანიძეს დარჩა ოთხი შვილი — შუქრიე, ნეზირე, აქიფერი და ვაჟიშვილი ფუადი. სამივე ქალიშვილი ბაქოში გათხოვდა. შუქრიეს მეუღლე — ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი, აზერბაიჯანის რეს-



ახმედ ჯაფად
ახუნდ-ზადე

პუბლიკის ჰიმნის ავტორი, პროფესორი ახმედ ჯაფად ახუნდ-ზადე, 1937 წელს ცრუ ბრალდებით დახვრიტეს. რეპრესიების სუსხი თავის თავზე იწვნია

შუქრიემაც, რომელიც რვა წლის განმავლობაში გადასახლებაში იმყოფებოდა. ჰყავდათ 5 შვილი, რომელთაგან უმცროსი, იილმაზი, იყო აზერბაიჯანის მილი მეჯლისის (პარლამენტის) დეპუტატი.

ნეზირე ცოლად გაჰყვა ცნობილ მეცნიერს, პროფესორ ყულიევს. მათი ქალიშვილი ზარა იყო ბაქოს სამედიცინო

95. გაზ. „საქართველო“, 1915 წ. №102.

ინსტიტუტის რექტორი, აზერბაიჯანის მილი მეჯლისის ქალთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე. გარდაიცვალა 2010 წელს.

აქიფერიც ცნობილი გვარის — აზუნდოების რძალი იყო. მისი შვილიშვილი იდრისი გახლდათ აზერბაიჯანის პრეზიდენტის აპარატთან არსებული საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე.



ზია ბეჟანიძე მეუღლესთან ერთად

ფუადს ჰყავდა ერთი შვილი ზია, რომელსაც დარჩა ქალ-ვაჟი: თემური და ნაზი. თემურს ჰყავს სამი შვილი — გულნარა, ზია და ჯემალი.



თემურ ბეჟანიძე მეუღლესთან ერთად

* * *



დევრიშ-ბეგ ბეჟანიძე

ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლით ცნობილი ჰაჯიასან-ბეგ ბეჟანიძის ზემოხსენებული ხუთი შვილიდან დევრიშ-ბეგმა დაასრულა სტამბულის უნივერსიტეტი. აჭარაში რუსთა დამკვიდრების შემდეგ დიდ თანამდებობებს ფლობდა თურმე. ერთხანს ქედის მაზრის უფროსიც ყოფილა. აქტიურად იღვწოდა მუჰაჯირობისას ადგილობრივთა სამშობლოში დასამკვიდრებლად. როგორც დიდგვაროვანი,

ქართულ დელეგაციასთან ერთად, მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის სათავეში რომანოვების სამეფო დინასტიის ყოფნის 300 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, რომელიც 1913 წელს პეტერბურგში გაიმართა.

მომდევნო წელს მუჰაჯირად წასული ქართველების სამშობლოში დაბრუნების განსაკუთრებული მისიით მიავლინეს თურქეთში, სადაც ერთ-ერთი თანმხლებების დასმენის გამო დააპატიმრეს და, სავარაუდოდ, 1916 წელს უცხოობაში გარდაიცვალა. მას გააჩნდა რუსეთის არმიის პოლკოვნიკის ჩინი.⁹⁶ იცოდა ძველი გადმოცემების, რომელთა ნაწილი ზ. ჭიჭინაძეს ჩაუწერია.

დევრიშ-ბეგს მეუღლისგან — სალიე-ხანუმ შერვაშიძისგან (იყო დედით ბეჟანიძის, ქედის მაზრის უფროსის, თუფან-

96. თ. კომახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 456.

ბგის ასული) შეეძინა რვა შვილი: ხასანი, ღალიბი, ნადიე, ავნი, მუსტაფი, ენვერი, სეფურე და ფითნეთი.



ხასან დევრიშის ძე ბეჟანიძე
შვილებთან ერთად

ხასან ბეჟანიძე დაიბადა 1900 წელს. დაასრულა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დროს მუშაობდა ბათუმის უბნის მომრიგებელი მოსამართლის თარჯიმნად (ფლობდა რუსულ და თურქულ ენებს). 1920-იან წლებში ბოლშევიკთა წინააღმდეგ გამოსვლის გამო დააპატიმრეს. შემდგომში სწავლა ქ. ლენინგრადში გააგრძელა, სადაც დაამთავრა სა-

ფინანსო ინსტიტუტი. წლების განმავლობაში საქმიანობდა აჭარის ფინანსთა სახელმწიფო კომიტეტის უფროს ინსპექტორად.

გარდაიცვალა 1949 წელს. დარჩა სამი შვილი: ჟუჟუნა, ქამილი და მურმანი. დღეისთვის მხოლოდ მათი შთამომავლობაა შემორჩენილი.

ნადიე ბეჟანიძე დაიბადა 1903 წელს. იყო ახალდაფუძნებული აჭარის ქალთა კომიტეტის და ქალთა კლუბის წევრი. აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივ ქალთაგან ჩადრის ახდის კამპანიაში. როგორც აჭარის პედსასწავლებლის (ტექ-



ნადიე ბეჟანიძე

ნიკუმის) კურსდამთავრებული იყო, ერთ-ერთი პირველი პედაგოგი აჭარელი ქალი (ასწავლიდა რუსულ ენას); ზრუნავდა ქალთა განსწავლულობისთვის. მომავალი თაობის აღზრდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის 1957 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება. გარდაიცვალა 1986 წელს.



ავნი ბეჟანიძე

მისი ძმა ავნიც ერთ-ერთი პირველი აჭარელი პედაგოგი გახლდათ. დაიბადა 1908 წელს. დაამთავრა ქედის ორკლასიანი სასწავლებელი და სწავლა ბათუმში განაგრძო. ბათუმის პედსასწავლებლის დასრულების შემდეგ სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქედის განათლების განყოფილების, აჭარის განათლების სახელმწიფო

კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს, ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოს განათლებისა და კულტურის სფეროების ინსპექტორად, ბათუმის ბავშვთა ბიბლიოთეკის დირექტორად. 1946 წელს დაჯილდოვდა აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება. გარდაიცვალა 1989 წელს.




დალიბ ბეჟანიძე

დალიბ ბეჟანიძე დაიბადა 1906 წელს. დაამთავრა ბათუმის პედსასწავლებელი, თუმცა მალე პროფილი შეიცვალა და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძო. 1936 წლიდან ერთხანს რუსეთში იღვწოდა, შემდგომ — ქედის რაიონში უბნის ექიმად განაგრძო საქმიანობა. მუშაობდა ბათუმის სხვადასხვა სამე-

დიცინო დაწესებულებაშიც.

II მსოფლიო ომის პერიოდში, როგორც სამხედრო ექიმი, მონაწილეობდა ევროპის რიგი ქვეყნების გათავისუფლებისთვის ბრძოლებში. ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ჩაერთო იაპონელებთან ომშიც, შემდგომში სამხედრო სამსახური სახალინზე და ზღვისპირეთის მხარეში განაგრძო. 1953 წელს თავის შენაერთთან ერთად ბათუმში დაბრუნდა, შემდეგ ქუთაისში და ახალქალაქში აგრძელებდა საქმიანობას. ავადმყოფობის მიზეზით დემობილიზაციის შემდგომ, 1957 წლის გაზაფხულიდან, კვლავ ბათუმს დაუბრუნდა, თუმცა იმავე წლის მიწურულს დაუოჯახებლად გარდაიცვალა. დაკრძალულია ს. ზენდიდში. მიღებული ჰქონდა წითელი ვარსკვლავის ორდენი და სხვა ჯილდოები.

მუსტაფ ბეჟანიძე დაიბადა 1912 წელს. საშუალო სკოლისა და ბათუმის ინდუსტრიული სასწავლებლის დასრულების შემდეგ ერთხანს მუშაობდა ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში.



მუსტაფ ბეჟანიშვილი

შემდგომ სწავლა მოსკოვის სამთო აკადემიაში განაგრძო, თუმცა აქ დარჩენა დიდხანს ვერ მოახერხა და ბიძაშვილების — შუქრიეს, ნეზირესა და აქიფერის ბაქოში ცხოვრების გათვალისწინებით, საბუთები აზერბაიჯანის დედაქალაქის ნავთობის ინსტიტუტში გადაიტანა. 1938 წელს ინსტიტუტის წარჩინებით დასრულებისთანავე სამუშაოდ ისევ ბნქ-ში დაბრუნდა,

საიდანაც 1941 წელს ქ. ორსკის ნავთობგადამამუშავებელ კომბინატში მიაგლინეს. ომის დაწყებისთანავე ერთხანს ფრონტზე იბრძოდა, შემდეგ კი მუსტაფი კვლავ ბათუმს და ბნქ-ს დაუბრუნდა და აქ 1988 წლამდე იღვაწა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო ქარხნის მთავარი ინჟინერი. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება. გარდაიცვალა 1997 წელს.

ოჯახი ანტონინა გრებენკინასთან ერთად შექმნა. სამივე შვილმა — ასიამ, ზაირამ და ტატიანამ მოსკოვის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი დაამთავრეს. ზაირა და ტატიანა დღემდე ბათუმში ცხოვრობენ. პროფესიით ქიმიკოსი ასია კი მოსკოვშია.



დედე-ბეგ ბეჟანიძე

დედრიშ ბეჟანიძის ძმა დედე-ბეგი, გადმოცემით, იყო რუსეთის არმიის პორუჩიკი. ეროვნული სულისკვეთების გამო, 1920-იან წლებში, ბოლშევიკებმა დააპატიმრეს. ჩამოართვეს ქონება დაბა ქედაში. ისე გარდაიცვალა, ოჯახი არ შეუქმნია.

ხემიდ-ბეგიც ბოლშევიკური რეჟიმის მსხვერპლი გახდა. 1923 წელს გადასახლება მიუსაჯეს. ამიტომაც თურქეთში გაიქცა და იქიდან აღარ დაბრუნებულა.

საბჭოურ რეპრესიებს შეეწირა მათი მომდევნო ძმა იბრაიმ-ბეგიც. ჰქონდა მამულები ზენდიდსა და ქედაში, რომლებიც სხვა ქონებასთან ერთად ჩამოართვეს. მის სახლში ქედაში ჯერ ქოხ-სამკითხველო, შემდგომ პიონერთა სასახლე მოაწყეს და ეს საკუთრება ოჯახისთვის აღარც დაუბრუნებიათ.

იბრაიმს ცოლად ჰყავდა თავდგირიძის ქალი ემინე-ხანუმი. შეეძინათ ვაჟი — უსუფი (1915-1965), რომელმაც დაასრულა ბათუმის საბუხჰალტრო-ეკონომიკური სასწავლებელი. მუშაობდა სპეციალობით ქედის რაიონში. 1960-იანი წლებიდან იყო აჭარკოპკავშირის მთავარი ბუხჰალტერი.



იბრაიმ ბეჟანიძე სამხედრო სამსახურში. ქ. კალინინგრადი, 1965 წ.

უსუფ ბეჟანიძე და
ნიგარ ცინცქილაძე

ოჯახი ნიგარ ცინცქილაძესთან ერთად შექმნა. დარჩათ ოთხი შვილი: იბრაიმი, შოთა (ხასანი), გულიკო და ემინე (ემა).

იბრაიმ ბეჟანიძე დაიბადა 1945 წელს ზენდიდში. დაასრულა მოსკოვის გორიაჩკინის სახელობის კიბერნეტიკისა და ავტომატიზაციის საკავშირო ინსტიტუტი, რის შემდეგაც პროფილით საქმიანობდა ერთ-ერთ ადგილობრივ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. ამჟამადაც რუსეთის დედაქალაქში ცხოვრობს. ჰყავს შვილები — იოსები და გალინა.

გულიკო ბეჟანიძე დაიბადა 1950 წელს. დაამთავრა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი



გულიკო ბეჟანიძე

ფორტეპიანოს განხრით. დღემდე ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დასახლების სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგია. ჰყავს მეუღლე ნ. ბრუნჯაძე, სამი შვილი: ნანა, ნუნუ და მაია და ორი შვილიშვილი.

ემინე (ემა) ბეჟანიძე დაიბადა 1954 წელს. დაასრულა ბათუმის პედინსტიტუტი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. სზვადასზვა წლებში საქმიანობდა ქალაქის №76 პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგად. ჰყავს მეუღლე ნ. ნიჭარაძე, ორი ვაჟი თემური და თენგიზი



ემინე (ემა) ბეჟანიძე



შოთა ბეჟანიძე და ნანა სურმანიძე

და სამი შვილიშვილი.

შოთა (ხასან) ბეჟანიძე დაიბადა 1951 წელს. დაამთავრა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია ზოოტექნიკოსის განხრით. მუშაობდა სპეციალობით ხელვაჩაურის რაიონის ს. ორთაბათუმის მეცხოველეობის საწარმოში. ბოლო პერიოდში იყო რაიონის მთავარი ზოოტექნიკო-



იოსებ (სოსო) ბეჟანიძე
შეუღლესთან და შვილთან ერთად

ირაკლი ბეჟანიძე და-
იბადა 1987 წელს. დაამ-
თავრა ბათუმის სახელმწ-
იფო საზღვაო აკადემია
გემთწამყვანის სპეციალ-
ობით, კაპიტნის მესამე
თანაშემწეა. დღეისთვის
მუშაობს აჭარის ტელევი-
ზიაში კომპიუტერული გა-
ნყოფილების მთავარ სპეციალისტად. ჰყავს მეუღლე ნ. მახა-
ჭაძე და შვილი თამთა.

სი. ჰყავს მეუღლე ნანა სურმა-
ნიძე (პროფესიით ფარმაცევტი)
და ორი შვილი — იოსები და
ირაკლი.

იოსებ (სოსო) ბეჟანიძე და-
იბადა 1978 წელს. დაასრულა
ბათუმის ხელოვნების ინსტიტუ-
ტი. ამჟამად აჭარის ტელევიზი-
ის მოძრავი სატელევიზიო
სადგურის ტელეოპერატორია.
ჰყავს მეუღლე ქ. სანადირაძე
და შვილი ნანა.



ირაკლი ბეჟანიძე ოჯახით

* * *

ჰაჯიასან ბეჟანიძის უმცროსმა ვაჟმა ასლან-ბეგმა განათლება სტამბულში მიიღო. უცხოურიდან კარგად ფლობდა თურქულ და რუსულ ენებს. ერთხანს იყო წვერი 1914 წლის დამლევს ტრაპიზონში დაარსებული, უმთავრესად მაჰმადიანი ქართველი სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტებული, ანტირუსული ლეგიონისა. მუშაობდა ქედის მაზრის მილიციის უფროსადაც. ბათუმში (ამჟამინდელ ქუთაისის ქუჩაზე) გააჩნდა სავაჭრო დუქნები. ფლობდა საცხოვრებელ სახლსაც.

ოჯახი 40 წლის ასაკში შექმნა. იქორწინა 17 წლის, ზემოსხენებულ, ზვარულ ფადიმე ჯაბნიძეზე, რომელიც შეძლებული ოჯახიდან იყო. ჰყავდათ ხუთი შვილი: ნიაზი, შუქრი, რამიზი, სონა და სურული.

ასლან ბეჟანიძე ხალხში ავტორიტეტით სარგებლობდა, თანაც დიდგვაროვანი იყო, იმ წრის ადამიანი, რომლის მოდგმას საბჭოთა ეპოქამდე დიდი ქონება და სახელმწიფო პოსტები ებარა, რაც ბოლშევიკებს აღიზიანებდათ. 1923 წელს ანტისახელმწიფოებრივი გამოვლინების გამო დააპატიმრეს, თუმცა არ გადაუსახლებიათ, მაგრამ ავადსახსენებელ 1937 წელს სამეულის შეთითხნილი ბრალდებით ციმბირის გზას მაინც გაუყენეს, საიდანაც ცოცხალი აღარ დაბრუნებულა.

იგივე ზვედრი ერგო წილად მის სიძეს, სონას მეუღლეს, რიფეთ შერვაშიძეს, რომელიც იმჟამად ქედის ფოსტის უფროსად მუშაობდა.



ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის შენობა (დღევანდელი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი) აგებული 1903 წელს არქიტექტორ ი. შიმკევიჩის მიერ



ნიაზ ბეჟანიძე (მეორე მწკრივში მარჯვნიდან მეორე), შუქრი ბეჟანიძე (მესამე მწკრივში პირველი) ქ. ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლისას

ოჯახში დიდხანს ინახებოდა რვეულის ყდის ნაგლეჯზე დაწერილი, ასლან ბეჟანიძის გადასახლებიდან გამოგზავნილი წერილი, რომელშიც იგი იუწყებოდა, რომ რიფეთი ციმბირში ჩასვლამდე ჯალათებმა წამებით მოკლეს. ამის შემდგომ მის შესახებ არაერთი ცნობა არ მოგვეპოვება.

ა. ბეჟანიძე განსაკუთრებით ზრუნავდა შვილების განსწავლულობაზე. მამაჩემი — ნიაზი იხსენებდა ხოლმე პერიოდს, როცა ძმასთან — შუქრისთან ერთად ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლობდა. ერთხელ მათი მონახულებისას მამას სოფლიდან სასწავლებელში ურუმზე დატვირთული ხილი ჩაუტანია და დირექციისთვის გადაუცია. უთხოვია, ისე გააკეთეთ, რომ ხილი ყოველ მოსწავლეს და პედაგოგს შეხვდესო. ასე ირჯებოდა იგი შემდგომშიც, მიუხედავად იმისა, რომ მის



ვაჟებს პროტექცია არ სჭირდებოდათ.

ერთ რამეში იყო უკომპრომისო — უსწავლელობას ვერ ეგუებოდა. განათლების მიღების გარეშე ადამიანი სრულყოფილ პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდებაო — სწამდა გულწრფელად. ახა-

პირველ მსკრივში მარცხნიდან მეორე ფადიშე ჯაბნიძე ოჯახურ გარემოში

რებდა, შვილებმა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პრესტიჟული სასწავლებლები წარმატებით რომ დაასრულეს და დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე იწყეს სვლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლომდე არ დასცალდა მათი ხილვით ტკობა.

შვილების წიგნიერებისადმი მზრუნველობას ბებიაჩემიც იჩენდა. უკმაყოფილებას გამოხატავდა, რომ მამაჩემმა და ბიძია შუქრიმ პირველადი განათლების მიღების შემდეგ სწავლა ბათუმში გააგრძელეს.

— ჩვენი მაღაზიების ზედამხედველის შვილები უმაღლეს განათლებას პარიზში ღებულობენ. მე წერა-კითხვა და ანგარიში რომ მცოდნოდა, მოურავი ვერ მოგვატყუებდა და ეს პირიქით იქნებოდაო, — სწამდა რატომღაც მას. მართალია, შემდგომში წერა-კითხვა და ანგარიში ოჯახურ გარემოში ისწავლა, მაგრამ წიგნის გარეშე ფუჭად განვლილ დროზე გული მაინც წყდებოდა.

* * *

ასლან ბეჟანიძის შვილებიდან, ბიძაჩემი, შუქრი დაიბადა 1917 წელს ს. ზენდიდში. ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის დასრულებისა და ინდუსტრიულ სასწავლებელში ეკონომისტის პროფესიის დაუფლების შემდეგ მუშაობდა ქედისა და ხულოს რაიონულ და ბათუმის საქალაქო განათლების განყოფილებებში ეკონომისტად და მთავარ ბუხჰალტრად. ხულოში საქმიანობისას ცოლად შეირთო ზაბით-ბეგ ხიმშიაშვილის ასული სემიე, რომელიც რაიონულ სამშობიარო სახლში მედდად მუშაობდა.



შუქრი ბეჟანიძე



სემიე ხიმშიაშვილი შვილთან, თენგიზთან ერთად

1950 წელს შეთავსებით მუშაობისა და უკანონო შემოსავლების მოძიებებით შუქრი 17 წლით სამშობლოდან გადაასახლეს, თუმცა სტალინის გარდაცვალების შემდგომი პოლიტიკური პროცესების წყალობით იქ მხოლოდ 7 წელი დაჰყო. ბათუმში დაბრუნებისთანავე აჭარაკოპკავშირის ეკონომისტად დაიწყო მუშაობა. იყო უაღრესად ზრდილობიანი და თავაზიანი ადამიანი. თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი. საუცხოო მამა და მეუღლე.

რეპრესიების გადატანა ქ-ნ სემიე ხიმშიაშვილსაც მოუხდა. თავდაპირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა, საიდანაც

თავადური წარმომავლობის გამო ორჯერ გარიცხეს. იძულებული გახდა სწავლა სამედიცინო სასწავლებელში გაეგრძელებინა. ზეწოლას შემდგომშიც განიცდიდა. სასწავლებლის დასრულების შემდეგ, მშობლიურ საზღვრისპირა კუთხეს მოაცილეს და ერთხანს სამუშაოდ როსტოვში გაანაწილეს.

შუქრის და სემიეს დარჩათ ვაჟი თენგიზი, რომელიც დაიბადა 1945 წელს. სწავლობდა ხულოს სკოლა-ინტერნატში. ერთხანს აჭარისა და საქართველოს ფეხბურთელთა ახალგაზრდულ ნაკრებებში თამაშობდა. დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. სპეციალობით ქირურგი და უროლოგია. მუშაობს შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში“. არის მაღალკვალიფიციური ექიმი და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს სამედიცინო წრეებში.



თენგიზ ბეჟანიძე (მარჯვნიდან) ოჯახით

ღირსეულად აგრძელებს ბეჟანიძეებისა და ხიმშიაშვილების საუკეთესო საგვარეულო ტრადიციებს.

მისი მეუღლე ჟუჟუნა სურმანიძე სპეციალობით კვების ინჟინერ-ტექნოლოგია. საქმიანობდა ბათუმის ღვინის ქარხნის ლაბორანტად. ჰყავთ ორი შვილი — ნესტანი და ლემანი და ორი შვილიშვილი ნინო და ლაშა.

ნესტანმა დაამთავრა ბათუმის პედინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად შპს „რესპუბლიკური ენდოკრინოლოგიური ცენტრის“ ექიმ-ლაბორანტია. მისი მეუღლე დ. ბერიძე, ბათუმის სამშობიარო სააგადმყოფოს ანესთეზიოლოგია.

ლემანმა დაასრულა ყუბანის (ქ. კრასნოდარის) სამედიცინო აკადემია გინეკოლოგიის სპეციალობით. დღეისთვის მუშაობს ბათუმის სამშობიარო სახლის ექიმ-გინეკოლოგად.

შუქრი ბეჟანიძე გამორჩეულ დამოკიდებულებას ავლენდა ნათესავთა მიმართ. ერთხელ, საზაფხულო არდადეგების წინ, მე და ჩემი და ნარგიზი კლასიდან კლასში გადასასვლელ გამოცდებს რომ ვამზადებდით, შინ გვეწვია, დაღლილები ჩანხართ, განტვირთვისთვის ბულვარში სასეირნოდ წაგიყვანთო, — შემოგვთავაზა.

რალა თქმა უნდა, გავყევით. მთელი დღე ჩვენთან ერთად გაატარა. კარუსელების ჩათვლით არაფერი მოგვაკლო. ვახშამზე რესტორან „ტალღაში“ დაგვპატიჟა. ბლომად ნაყინი შეუკვეთა. შთაბეჭდილებებით დახუნძლულები სახლში რომ დავბრუნდით, გვითხრა: — ყველაფერს თავისი ადგილი აქვს.

სხვა დღეები ასეთი შინაარსიანი რომ იყოს, გამოცდები ფრიადებზე უნდა ჩააბაროთო.

ჩვენ ჩვენი პირობა შევასრულეთ, არც ბიძია შუქრი დაგვრჩენია ვალში. სამწუხაროა, რომ 53 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა, თუმცა, ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, ამქვეყნიურ მისიას თავი პირნათლად გაართვა.

* * *



რამიზ ბეჟანიძე

მამაჩემის უმცროსი ძმა, რამიზ ბეჟანიძე დაიბადა 1926 წელს ს. ზენდიდში. ქედის საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ დაამთავრა ბათუმის საფინანსო ეკონომიკური სასწავლებელი. მუშაობდა ქედის რაიონის განათლების განყოფილების მთავარ ბუხპალტრად. 1950-იანი წლების დასაწყისში თითქოსდა სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის გამო, ხანგრძლივი გადასახლება მიუსაჯეს. იმყოფებოდა ურალში — ეკატერინბურგში, საიდანაც ამნისტით 9 წლის შემდეგ დაბრუნდა. ბოლო პერიოდში იყო ბათუმის „მთავარბაკალეის“ სამმართველოს ეკონომისტი. დაკისრებულ მოვალეობას ყოველთვის პროფესიონალიზმითა და დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, რითაც თანამშრომელთა საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.



ლუბა კრავჩენკო

იყო საუცხოო მამულიშვილი, ბუნებით კეთილშობილი ადამიანი. ფიზიკური აღნაგობით ძმებს შორის ბაბუას ყველაზე მეტად მას ამსგავსებდნენ. პირველად დარეჯან მურვანიძეზე იქორწინა, მეორედ ლუბა კრავჩენკოზე. გარდაიცვალა 66 წლის ასაკში. დარჩა სამი შვილი: იზოლდა, მარინა და ასლანი.

მარინამ სანკტ-პეტერბურგში დაასრულა სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულტეტი. ერთხანს პროფილით ადგილზე საქმიანობდა. ბათუმში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ფასიან პოლიკლინიკაში.

იზოლდამ ოჯახი როინ მეფარიშვილთან ერთად შექმნა. ჰყავთ სამი ვაჟი: ირაკლი, შუქრი და რამაზი.

ბიძია რამიზი ჩვენთან თითქმის ყოველდღე დადიოდა. ოჯახის ყველა სატკივარი თუ პრობლემა გულთან ახლოს მიჰქონდა. იგი ყოველთვის მიხვედრილობითა და მოყვასთა მიმართ ყურადღებით გამოირჩეოდა. ამასთან დაკავშირებით ორიოდ ეპიზოდს გავიხსენებ.

ერთხელ რამიზი ბინაში გვეწვია და ჩემს მეუღლესთან ჯემალ ბერიძესთან დაახლოებული, დედაქალაქიდან სტუმრად ჩამობრძანებული, პროფესორი გიგა მირიანაშვილი ბათუმის დასავალიერებლად მიიპატიჟა, — კოლეგა მეცნიერთან საჭირობოროტო საკითხების განხილვისთვის სხვა დროსაც გამონახვით.

ჩვენც გაეყვეით. ქალაქის ხედების ხილვის შემდეგ აეროპორტისკენ ავიღეთ გეზი. გზად რამიზმა განაცხადა: — აქ მოსულები გონიოს გავლით, ბარემ, სარფშიც გადავიდეთ, დაკარგულ, საზღვარს იქითა, ძირძველ ქართულ სანახებსაც შევავლოთ თვალიო.

ბატონმა გიგამ ეს სერიოზულად მიიღო და შეწუხდა: — პასპორტი თან არ მაქვს, სასტუმროში დაუტოვეო.

— ეჰ, ბატონო გიგა, კიდევ კარგი, თბილისის მატარებლის გასვლამდე ცოტა დრო რჩება და უკან მისაბრუნებლები ვართ, თორემ სპეციალური საშვის გარეშე საგუშაგოს რომ მივუახლოვდეთ, რუსი სამხედროები საკანში ამოგვაყოფინებენ თავს, — უთხრა რამიზმა.

რალა თქმა უნდა, ეს მწარე ხუმრობა იყო. ჩვენი თავი ჩვენ რომ არ გვეყუნოდა, იმის საძრახისი. ბატონი გიგა კმაყოფილი დარჩა ბიძაჩემის მოსწრებული სიტყვა-პასუხით. როცა სტუმრად გვეწვეოდა, ერთმანეთს მონინახულებდნენ ხოლმე.

მეორე შემთხვევა 1986 წელს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში ჯემალის სადოქტორო დისერტაციის დაცვას უკავშირდება. დაცვის წინ მან ახლობლები გააფრთხილა, — ჩამოსვლა არ არის საჭირო, არ შეწუხდეთო. ჩემი დის მეუღლე რეზო დიასამიძე მაინც ჩამობრძანდა. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მოულოდნელად დარბაზში ჩემს ვაჟთან, ენრიკოსთან ერთად, რამიზიც შემოვიდა. როგორც კი შემნიშნა გაღიმებული, ჩემკენ გამოემართა და მითხრა: — სამსახურის საქმეზე მივლინებით ჩამოვედი და აქ გამოუვლელს როგორ ვიზამდიო. რა თქმა

უნდა, იხუმრა. ცოტა ხნის შემდეგ გადმოძილაპარაკა: — გა-
იხედ-გამოიხედე, პროფესორს თუ არ ვგავარ, თანაც ცოტათი
ფიზიკისაც გამეგებო.

* * *



ჩემი მამიდებიდან ყვე-
ლაზე მძიმე ხვედრი გან-
გებამ სონას არგუნა, რო-
მელსაც ბატონობით მივ-
მართავდით. ბეჟანიძეთა
საგვარეულოში ქალებს,
თვით ოსმალთა დროსაც,
ამ ფორმით მოიხსენიებ-
დნენ. ჩვენს ოჯახში ერ-
თხანს ცხოვრობდა სულე-
იმან-ბეგ ბეჟანიძის და,
რომელსაც ხეირებატონს
ეძახდნენ.

1930-იან წლებში სო-
სონა ბეჟანიძე (შუაში) შვილებთან ერთად
ნას ქმრის — რიფეთ შერ-
ვაშიძის დაპატიმრებასა და წამებაზე ჩვენ ზემოთაც ვაუწყეთ
მკითხველს. აქ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ მამიდაჩემი
19 წლის ასაკში დაქვრივდა და ბოლომდე ოჯახს უერთგუ-
ლა. გაზარდა ორი შვილი — დარეჯანი და გუგული, რომ-
ლებმაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწი-
ფო პედინსტიტუტის ბიოლოგიისა და ფილოლოგიის ფაკუ-



სურულ ბეჟანიძე

ლტეტები დაასრულეს და სპეციალობით ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ, დღეს და-მსახურებულ პენსიაზე იმყოფებიან.

დარეჯანს ჰყავს სამი შვილი: შორენა, ლუიზა და ჯამბული. გუგული-საც ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი — ედუარდი, მზიური და ნაირა.

ასლან ბეჟანიძის მეორე ქალიშვილის სურულის მეუღლე ანტონ (ახმედ) გვარიშვილი პროფესიით პედაგოგი იყო. მსახურობდა შავი ზღვის ფლოტში. მონაწილეობდა II მსოფლიო ომში, რისთვისაც მიღებული ჰქონდა არაერთი ჯილდო.

დარჩათ სამი ვაჟი: გურამი, ნუგზარი და არჩილი. გურამმა ბაქოს სამხედრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ ოფიცრის ჩინი მიიღო. მუშაობდა სხვადასხვა დისლოკაციის ადგილზე. კარიერა პოლკოვნიკის წოდებით დაასრულა.

აწვარდაცვლილმა არჩილმა დაამთავრა ოდესის საზღვაო აკადემია. საქმიანობდა შორეული ნაოსნობის გემებზე. ბოლო პერიოდში იღვწოდა ბათუმის პორტში.

ნუგზარმა ბათუმის პედინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტი დაასრულა, თუმცა პროფესიით არ უმუშავია. წლების განმავლობაში სასტუმრო „ინტურისტის“ ადმინისტრატორი იყო.

გურამს ჰყავს ქალ-ვაჟი — ნაბრი და ლეილა; ნუგზარს — ორი შვილი: რუსლანი და სოსლანი, არჩილს ორი ვაჟი დარჩა — შერგილი და ბესიკი.

* * *

მამაჩემი, ნიაზ ბეჟანიძე დაიბადა 1914 წელს ს. ზენდიდში. დაამთავრა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია, 1935 წელს — ქალაქის ინდუსტრიული სასწავლებელი ინჟინერ-მშენებლის სპეცია-



ნიაზ ბეჟანიძე (შუაში)

ლობით. წლების განმავლობაში იყო სასწავლებლის ადგილობრივი თვითმოქმედი ანსამბლის სოლისტი, სადაც მასთან ერთად გამოდიოდა შემდგომში ცნობილი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ვ. ნინუა. ყველაზე კარგად ცერებზე ცეკვავდა. იყო არაერთი ფესტივალისა თუ კონკურსის გამარჯვებული. მინიჭებული ჰქონდა ჯილდოები. მშობლიურ ქედაში

ერთ-ერთ გასვლით კონცერტზე აჭარული საცეკვაოების ჩინებულად შესრულებისთვის ადგილობრივებს თეთრი ჩოხა უსახსოვრებიათ.

სამუშაო კარიერა ხულოს კომუნალური მეურნეობის განყოფილების უფროსად დაიწყო. ბაბუაჩემის დაპატიმრების შემდგომ, როგორც ე. წ. მავნებლის შვილს, ხელმძღვანელ პოსტს აღარ ანდობდნენ, თუმცა ვერც მის ნიჭსა და უნარში

შექქონდათ ეჭვი და როგორც კარგ სპეციალისტს სხვადასხვა სამუშაოს სთავაზობდნენ.

სისპეტაკემ და საქმეში თავდაუზოგაობამ საბოლოოდ მაინც თავისი გაიტანა. 1945 წელს ქედის საგზაო უბნის მთავარ ინჟინრად დანიშნეს, ორი წლის შემდეგ კი — რაიონული კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგედ.

1950 წლიდან საცხოვრებლად ბათუმში გადავიდა. ეწეოდა ინტენსიურ სამშენებლო საქმიანობას. 1970 წლიდან კვლავ მშობლიურ რაიონში დაბრუნდა საგზაო საწარმოს მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე, საიდანაც დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში ერთობ შრომატევადი და სასარგებლო საქმიანობა გასწია. დიდი ამაგი დასდო რა-



ნიაზ ბეჟანიძე (მარცხნიდან მეორე) თანამშრომლებთან

იონის აღმშენებლობას. პრაქტიკულად ქედაში არ მოიძებნება სოფელი, სადაც არ გაეყვანოს სამანქანო გზა, არ აემენებინოს ხიდი; დაბაში არაერთ ქუჩას მისი აგებული საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები ამშვენებს. მისი ხელმძღვანელობით აშენდა, ასევე, მახუნცეთის სკოლა-ინტერნატი და მისი საერთო საცხოვრებელი, აწვევის საშუალო სკოლა და ა. შ.

აქტიური მონაწილეობა მიიღო ვაიოს ხიდის პროექტის შეცვლაში, რაშიც მეგობარი, იმჟამად აჭარის მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ნიკოლოზ (კოკი) აბაშიძე დაეხმარა. თავდაპირველი გეგმით აღნიშნული ხიდის მარჯვენა ბურჯი ზვარეს ისტორიულ ციხეს უნდა დაყრდნობოდა. საბოლოოდ, მამის ძალისხმევით, ხიდი ამ ძეგლიდან დაახლოებით 50 მეტრის მოშორებით აშენდა.

ცალკე აღსანიშნავია მისი საქმიანობა ბათუმში, სადაც ააშენა ინერტულ მასალათა კომბინატი, არაერთი საცხოვრებელი სახლი, ბათუმის ჰედინსტიტუტის (უნივერსიტეტის) მთავარ კორპუსს დაამატა მესამე სართული.

მამა გამჭრიახი პიროვნება და ღრმად მოაზროვნე ადამიანი იყო. მას საქართველოს განვითარების შემაბრკოლებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მეზობლად ოსმალთა იმპერიის არსებობა მიაჩნდა, რომელმაც ძირძველი ქართული ტერიტორიების მიტაცებასთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში ევროპული კულტურის შემოდწევას შეუშალა ხელი. რუსთა ბატონობის შემდეგ კი ევროპული ცივილიზაცია ჩვენამდე გაუკულმართებული ფორმით მოდიოდა, — იტყოდა ხოლმე. სამშ-

ობლოს ბედზე დაფიქრებული კაცის პოზიციას იგი სხვა საკითხებშიც გამოხატავდა.

ნიაზი საუბრით, ქცევის მანერით და კოლორიტულობით გარშემომყოფებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. ყველასთვის სასურველ სტუმრად ითვლებოდა. მარტოც რომ ყოფილიყო, სუფრას დიდ მაგიდასთან გაუწყობდნენ.

განსაკუთრებით ამაყობდა წარმომავლობით, ელოლიავებოდა წინაპართა ხსონას, რომლებსაც თავიანთი წვლილი შექმნდათ ქვეყნის ერთიანობისთვის ბრძოლაში. ეთაყვანებოდა საყოველთაოდ ცნობილ „მოდი მნახეს“ საგვარეულო ციხეს. სოფლად მოსულ სტუმრებს დეტალურად აცნობდა მის ისტორიას. მახსოვს, როგორი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა მონათხრობმა ჩემი მეუღლის, ჯემალ ბერიძის, მოსკოველ მეგობრებზე, პროფესორებზე — შახპარონოვზე და როზენბერგზე. მათი მოწონება დაიმსახურა ჩვენმა სასტუმრო ოთახმაც, რომლის კედლები მამამ ბათუმის საზაფხულო თეატრის ინტერიერის გამფორმებელ ხელოსანს მოახატვინა.

სულ სხვა პიროვნება იყო მამაჩემი მშობლის ამპლუაში. შვილებს ყოველთვის მოყვასის სიყვარულსა და პატივისცემას შთაგვაგონებდა, შრომისმოყვარეობისა და სწავლაში თავგამოდებისკენ მოგვიწოდებდა. სოფლად ჩვენს ვრცელ და ლამაზ ეზოში, დიდი კაკლის ქვეშ მოწყობილ მრგვალ მაგიდასთან, ვიკრიბებოდით ხოლმე, საიდანაც აჭარისწყლის ხეობა საუცხოოდ მოჩანს. აქედანვე გვინერგავდა იგი მოწიწებას წარსულისადმი, გვიყვებოდა რა რწმენისთვის როგორ იფერებოდა აქაურთა სისხლით აჭარისწყალი.



ნიაზ და ყუდრეთ ბეჟანიძეები
შვილებთან — ციალასთან და
ნარგიზთან ერთად. 1948 წ.

ბებია სულ გვანებივრებდა, რის გამოც მამა უწყრებოდა ხოლმე. სასკოლო არდადეგების ყველაზე დიდ დროს საგვარეულო ციხის ტერიტორიაზე ვატარებდით. აგვისტოს წვიმიანი ამინდების შემდეგ მამაჩემს კოსოლიასა და გვარამკალოს შორის მდებარე ფიჭვნარში მარქვალა (ნიყვი) სოკოს დასაკრეფად დავეყავით. მამა მას სოკოების მეფედ მიიჩნევდა. მწვანედ აბიბინებულ ველებზე ოქროსფერად მოელვარე მიწის პატარა

ქოლგებს დიდი ხალისით ვაგროვებდით. მამაჩემი სოკოს ვარგისიანობას ამოწმებდა. მათ იგი ერთმანეთისგან, როგორც იტყვიან, თვალდახუჭულიც კი არჩევდა. დროთა განმავლობაში ამ საქმეში ჩვენც დაგვაოსტატა.

მამა თავისუფალ დროს პრაქტიკულად წიგნების კითხვას ანდომებდა. დღე არ გავიდოდა, საღამოს შინ ახალი წიგნით არ დაბრუნებულიყო. კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რისი წყალობითაც კლასიკოსთა შემოქმედებას ვეზიარეთ.

მამას პერიოდულად კინოშიც დავეყავით, განსაკუთრებით, ფრანგული ფილმების სანახავად. ჩაცმის სტილსაც თვითონ გვასწავლიდა. გვეუბნებოდა — მოდას არც უნდა ჩამორჩეთ და არც წინ უნდა გაუსწროთო.

ყველაფერი გააკეთა, შვილებისთვის უმაღლესი განათლება რომ მიეცა. მისმა რჩევა-დარიგებებმა დიდი სამსახური გაგვიწია ცხოვრების შემდგომ გზაზეც. მამა თავისი სიღინჯითა და გაწონასწორებულობით ჩვენთვის სტიმულის მომცემი იყო მუდამ.

მამაჩემს და დედაჩემ ყუდრეთს ჩემ გარდა სამი შვილი გაუჩნდათ: ზემოხსენებული ნარგიზი, შხვეინარი და ავთანდილი.



მარცხნიდან — ყუდრეთ ბეჟანიძე, 1953 წ.

ყუდრეთ ბეჟანიძე* დაიბადა 1920 წელს. მიიღო დაწვებითი განათლება. კარგად სწავლობდა, მაგრამ მამის დაკარგვის შემდგომ, როგორც დედისერთა, მამიდებმა სკოლაში აღარ გაუშვეს. გაცდენილი დრო იმით აანაზღაურა, რომ თვითგანათლებას დაეწაფა. იყო შრომისმოყვარე და გულისხმიერი ადამიანი. საუცხოო კერვა და ქარგვა იცოდა.

შვილები ისე გაგვზარდა, ყველაფერს თვითონ გვიკერავდა. მათ შორის კოსტიუმებსა და პალტოებსაც. ამ მხრივ უანგაროდ

სხვებსაც ედგა მხარში, როგორც სოფლად, ისე ბათუმში, სადაც ჩემს მშობლებს საცხოვრებელი სახლი გააჩნდათ. დედა იმდენად კარგი თერძი და მქარგველი იყო, რომ მისმა მოქარ-

* იგი ზენდილელი ბეჟანიძეების პირფარეშისძეთა შტოს წარმომადგენელი იყო.


გულმა მაგიდის საფარმა აჭარის სასოფლო ნამუშევრების გამოფენაზე პირველი ადგილი დაიკავა. იყო საუცხოო კულინარიც. მახსოვს, გულუხვი დახვედრით როგორ დაამახსოვრა თავი ჭირისუფლებს და ზენდიდში ამოსულ სტუმრებს ზემოხსენებული ექიმის — ღალიბ-ბეგ ბეჟანიძის დაკრძალვაზე. მეზობელი ქალები დაიხმარა და სახლიკაცის ხსოვნის პატივსაცემად სახელდახელოდ საუცხოო სუფრა გააწყო. ოჯახის მიმართ ვალმოხდილი გარდაიცვალა 2004 წელს.

აქვე უნდა ითქვას, რომ 1951 წლის მოსახლეობის რეპრესირებისას, ჩვენს ოჯახს ბოლშევიკური რეჟიმის ტალღა გარკვეულწილად კიდევ ერთხელ შეეხო. ჩვენამდე მოაღწია ინფორმაციამ, რომ შინსახკომელებს გასასახლებელთა შავ სიაში ვყავდით შეტანილი და როგორც ე. წ. „ამუნებლის შთამომავლები“ შუა აზიაში წასასვლელად ვემზადებოდით. დედა ქვითინებდა, ბებია, რომელიც ასეთ ამბავში გამობრძმედილი იყო (მეუღლის რეპრესირების შემდეგ ხელისუფლების დევნისგან ერთხანს შვილები ოჯახიდანაც კი გახიზნა) ამშვიდებდა მას, ეუბნებოდა — ახლა ტირილის დრო არაა, ბავშვებს ჩემოდნებში თბილი ტანსაცმელი ჩაულაგე, წინ დიდი გზა გველოდებო.

ახლაც თვალწინ მიდგას დიდი ოთხკუთხა ჩემოდნები, რომლებიც მისაღებ ოთახში გველაგა. მამა გვერდით ოთახში რალაცას წერდა. როგორც შემდგომში გაირკვა, იმ შინაარსის წერილს: — ნუთუ მონსტრი, მშობელივით სამშობლოს მემკვიდრეებსაც დაგვანატრებსო.

ბებია საგზალს ამზადებდა და დედას სთხოვდა, ჩვენთვის ტანთ ჩაცევა. — მომზადებული დავხვედეთ ჩეკისტებს, თორემ არავინ დაგველოდებო. ის იყო, გამთენიისას, მე და ნარგიზს ჩაგვეძინა, რომ კარზე კაკუნის ხმამ გამოგვალვია.

კარი მამაჩემმა გააღო. ზღურბლს იქით მისი ბიძაშვილი თახსიძი იდგა, რომელმაც გვაუწყა — გადასახლება დასრულდა, როგორც ჩანს, ინფორმატორი სცდებოდა, გადავრჩი-



ბუქანიძეთა მფლობელობაში არსებულ მალაზიათა დამადასტურებელი სააქტო ფურცელი

თო. აღტაცებულმა დედამ თახსიძე ბიძიას მოსწრებულად უთხრა, — თქვენი შემოსვლით ჩვენი სახლის ჭერი განათდაო.

— ჩვენი კი განათდა, მაგრამ ვინ იცის რამდენის ჩაბნელდა, უდანაშაულო ხალხი რა დღეშია, — გამოელაპარაკა მამა.

როგორც ცნობილია, იმ დროს ადამიანებს მორალურ ზიანთან ერთად, საკუთრების ხელყოფით, მატერიალურ ზარალსაც აყენებდნენ, რამაც ჩვენი საგვარეულოს ქონების დიდი ნაწილიც შეიწირა. ასე დავკარგეთ მამულები:

ზენდიდში, ქედაში, წონიარისში, ცხემნაში, სალორეთსა და აგარაში, ასევე, უძრავი ქონება დაბა ქედაში, საცხოვრებელი სახლები და მაღაზიები ბათუმში, ქუთაისისა და მ. აბაშიძის ქუჩებზე.

საბჭოური რეპრესიებით შეძრწუნებული ბებია ბავშვობაში სულ მაფრთხილებდა: თუ ვინმემ გკითხოს წარმომავლობის შესახებ, უპასუხე გლეხის ან მუშის შვილი ვარო, თუძცა, სტალინის ეპოქაში მძვინვარე საყოველთაო შიშის მიუხედავად, ვინც გაიგებდა ვისი შთამომავალიც ვიყავი, პატივისცემით მეპყრობოდა. ჩვენი ფესვებით სიამაყე კი ყველაზე მეტად სტუდენტობისას გამოვცადე.

მახსოვს, ბათუმის პედინსტიტუტის პირველ კურსზე სწავლისას, სტუდენტთა დასწრების შესამოწმებლად რექტორთან, ვლადიმერ ქემხაძესთან, ერთად აუდიტორიაში მაღალი აღნაგობის კაცი შემოვიდა. სიის ამოკითხვის შემდგომ უცნობი ლექტორი, რომელიც მწერალი იუსუფ ფაღავა აღმოჩნდა, ჩემი ვინაობით დაინტერესდა. როცა გაიგო სადაური ვიყავი და ზენდიდის ციხესთან რა მაკავშირებდა, თანაკურსელებს მიუბრუნდა და უთხრა: — იცოდეთ, თქვენს გვერდით ზის საქართველოს უძველესი და უერთგულესი გვარის წარმომადგენელიო. ამან ცოტა არ იყოს, უხერხულობაში ჩამაგდო.

თუ რა კონტექსტშია წარმოდგენილი ი. ფაღავას ერთ-ერთ რომანში ქედის მმართველი ბეჟანისძე, ამის შესახებ წიგნის წინასიტყვაობაში უკვე ვაუწყეთ მკითხველს და აქ ამაზე აღარ შევჩერდებით.

* * *



ავთანდილ (ავთო) ბეკვანიძე

სამწუხაროდ, ჩვენი დედამამიშვილებიდან ყველაზე ადრე წუთისოფლიდან ავთანდილი წავიდა. იგი 1953 წელს ზენდიდში დაიბადა. ბათუმის №16 საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

1974 წლიდან მუშაობდა ბათუმის №44 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების პედაგოგად, 1980 წლიდან — ბათუმის ჩაის გადამწონი ფაბრიკის საქონელმცოდნედ.

ოჯახი მზია ჯაყელთან ერთად შექმნა, რომელიც პროფესიით პედაგოგია, ბათუმის პედინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული. სხვადასხვა წლებში მუშაობდა №44 პროფტექნიკური სასწავლებლისა და ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული სკოლის „თაობა XXI“-ის ფიზიკის პედაგოგად. 1999 წლიდან დღემდე ბათუმის №2 საჯარო სკოლის მასწავლებელია.

ავთანდილსა და მზიას შეეძინათ ორი შვილი — ბექა და შორენა, რომელთა დაოჯახებას ჩემი ძმა ველარ მოესწრო, 2001 წელს მოულოდნელად გულის შეტევით გარდაიცვალა. გამოირჩეოდა სამართლიანობით, ვაჟკაცური შემართებითა და შრომისმოყვარეობით. შვილებს და დისშვილებს ეროვნუ-



ავთანდილ ბეჟანიძე ოჯახთან ერთად, 1983 წელი

ლი ტრადიციებით ზრდიდა. იყო საოცრად სტუმართმოყვარე ადამიანი, მეგობრობის უნარით დაჯილდოებული, ჭირვარამიანი და უღალატო პიროვნება.

ბექა ბეჟანიძე დაიბადა 1982 წელს. დაამთავრა ბათუმის №2 საშუალო სკოლა, რის შემდგომაც დაასრულა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. პროფესიით ექიმი ფარმაცევტია. ამჟამად ცხოვრობს თბილისში, სადაც ფარმაცევტული კომპანიის „აპექს მარკეტინგის“ დირექტორია.

იქორწინა ანი ბოჭორიშვილზე, რომელმაც დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტები. ამჟამად მუშაობს კომპანია „ABC ფარმაცის“ იურისტად. ჰყავთ ორი შვილი: ნია და დემეტრე.



ბექა ბეჟანიძე მუუღლესთან და შვილებთან ერთად



შორენა ბეჟანიძე

შორენა ბეჟანიძე დაიბადა 1984 წელს. დაასრულა ბათუმის №2 საჯარო სკოლა და შ. რუსთაველის უნივერსიტეტის ფარმაცევტული და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტები. პროფესიით ჰიდრობიოლოგი და ფარმაცევტია. აქვს მაგისტრის ხარისხი. ერთხანს მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონალური ცენტრის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლად.

ამჟამად სააფთიაქო ქსელის „ფარმადეპოს“ ფარმაცევტია.

* * *

ნარგიზ ბეჟანიძე დაიბადა 1947 წელს ს. ზენდიდში. ოქროს მედალზე დაასრულა საშუალო სკოლა, რის შემდეგაც დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის სპეციალობით. მუშაობდა ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგად.

ოჯახი რევაზ დიასამიძესთან ერთად შექმნა, რომელიც აღმოსავლეთ ციმბირის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მუშაობდა ბათუმის ხორცკომბინატისა და პურის მიმღები საწარმოს დირექტორად.

ხორცკომბინატში საქმიანობისას, ზემდგომი ორგანოების დაგალების მიუხედავად, სავაჭრო ქსელში არ გასცა ჯანმრთე-



ნარგიზ ბეჟანიძე და რევაზ დიასამიძე



ნ. ბეჟანიძე და რ. დიასამიძე ოჯახურ ვარემოში

ლობისთვის საშიში, ჩერნობილიდან შემოტანილი რადიაციული ხორცის დიდი პარტია (საბოლოოდ ქვეყნის გარეთ იქნა გატანილი). ამჟამად მეფრინველეობის ფირმა „დიადემას“ პრეზიდენტია. ჰყავთ ორი შვილი: როინი და ივლითი.

როინი პროფესიით ეკონომისტია. 1999-2011 წლებში მუშაობდა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწედ; საქართველოს რკინიგზის ბათუმის ტერიტორიული სამმართველოს მთავარ ეკონომისტად; შპს „ბათუმის წყლის“ შესყიდვებისა და აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად. ამჟამად აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგროსერვის ცენტრის დირექტორია.

ჰყავს მეუღლე — თამარ დოლიძე (აჭარის მთავრობის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ასისტენტ-პროფესორი) და ორი შვილი: რეზი და ალექსი.

ოვდითი ფილოლოგიის დოქტორია ინგლისური ენის სპეციალობით. მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრის დირექტორად. პარალელურად კითხულობს ლექციების კურსს ინგლისურ ენაში.

ჰყავს მეუღლე — სულხან ჯორთმენაძე (აჭარის კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე, „ტაო-ბანკის“ ყოფილი მმართველი, ამჟამად აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე) და ორი შვილი: მარიამი და სოფიო.

* * *

მზევინარ ბეჟანიძე დაიბადა 1949 წელს ს. ზენდიდში. დაასრულა ბათუმის №1 საშუალო (ამჟამად №2 საჯარო) სკოლა და ბათუმის ჰედინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტი, რის შემდგომაც სხვადასხვა წლებში მუშაობდა მასწავლებლად ჩაქვის, სტურვისა და აჭყვის საშუალო სკოლებში, ბათუმის №44 პროფტექნიკურ სასწავლებელში.

ოჯახი ნოდარ ვარშანიძესთან ერთად შექმნა, რომელიც ნოვოროსიისკის საზღვაო აკადემიის დასრულების შემდეგ წლების განმავლობაში მთავარ ინჟინერ-მექანიკოსად მუშაობდა შორეული ნაოსნობის გემებზე. იმდენად დიდი ღვაწ-



მზევინარ ბეჟანიძე და ნოდარ ვარშანიძე
შვილიშვილთან ერთად. 2008 წ.



სულხან ვარშანიძე ოჯახით

ლით გამოირჩეოდა, რომ გარდაცვალების შემდეგ უკანასკნელ გზაზე გემუბის საყვირების თანხლებით გააცილეს.

მზევინარმა და ნოდარმა აღზარდეს ორი შვილი: სულხანი და სოფიო.

სულხანმა ბათუმის №2 საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ წარჩინებით დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, რის შემდეგაც სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში განაგრძო მენეჯმენტისა და მარკეტინგის ფაკულტეტზე.

2004-2009 წლებში მუშაობდა შპს „საგზაო საწარმოს“ და შპს „ჭოროხის არამადნეული მასალების ქარხნის“ შესყიდვებისა და ტექნიკურ მენეჯ-

ერად და დირექტორად, შპს „წყალგაყვანილობის და თბომუერნეობის ტრესტში“, 2010 წლიდან დღემდე ა.(ა)ი.პ. „ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის“ ფინანსური მენეჯერია.

ჰყავს მეუღლე სოფიო ცეცხლაძე (ინგლისური ენის რეფერენტი; მუშაობს აჭარის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კომისიაში) და შვილი — ნიკოლოზი.

სოფიომ ბათუმის №2 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაასრულა შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი ინგლისური ენის რეფერენტის სპეციალობით და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა. ერთხანს მუშაობდა ბათუმის უნივერსიტეტში ინგლისური ენის პედაგოგად. ამჟამად „ქართუ ბანკის“ თანამშრომელია.

ჰყავს მეუღლე თენგიზ ნაკაშიძე (პროფესიით ინჟინერ მექანიკოსი, ამჟამად საზღვაო სააგენტო „ინფლოტის“ თანამშრომელი) და ვაჟი — ალექსანდრე.



სოფიო ვარშანიძე მეუღლესთან და შვილთან ერთად

* * *

პირადად მე ოჯახი ჯემალ ბერიძესთან ერთად გასული საუკუნის 60-იან წლებში შევექმენი. ამ დროის განმავლობაში ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიხდა, მაგრამ, ღვთის წყალობით, უმთავრესად შინაარსიანი ცხოვრების გზა განვვლეთ. როგორც შემეძლო მეუღლეს ყოველთვის გვერდში ვედექი.



ციალა ბერიძე და ჯემალ ბერიძე. 1976 წ.

ერთმანეთი რომ გავიცანით, ჯემალს უკვე მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკანდიდატო დისერტაცია დაცული ჰქონდა და როგორც ბათუმის ჰედინსტიტუტის ფიზიკის კათედრის დოცენტი, დამამთავრებელი კურსის პრაქტიკანტს მეთოდისტობას მიწევდა.

შემდგომში იგი სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებლად ოთხი წლის განმავლობაში მოსკოვში მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა, სადაც მნიშვნელოვან ლაბორატორიულ სამუშაოებს აწარმოებდა. გააჩნდა უახლესი ხელსაწყო-მოწყობილობები. სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით. უნივერსიტეტში დარჩენას სთავაზობდნენ.

ქორწინების შემდგომ, ბუნებრივია, მოსკოვში პერიოდულად ყოფნა მეც მიხდებოდა, სადაც ძირითადად სასტუმრო „უნივერსიტეტსკაიაში“ ვჩერდებოდით. დრო უქმად რომ არ დამეკარგა, ერთხანს არბატზე ინგლისური ენის კურსებზე ვსწავლობდი.

ჯემალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სადოქტორო დისერტაცია (დროულად წარდგენაში დაბრკოლებების მიუხედავად) მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა.

ამ დროს ის უკვე ბათუმის პედინსტიტუტის პრორექტორის მოვალეობას ასრულებდა სასწავლო-სამეცნიერო დარგში.

ჯემალის სადოქტოროს კონსულტანტი გახლდათ ზემოხსენებული პროფესორი გიორგი როზენბერგი, რომლის ოჯახში ზაფხულობით ვრჩებოდით ხოლმე. ბატონი გიორგი იყო გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფერული ოპტიკის განყოფილების გამგე. მისი ცოლისდა ირინა მუსკოდიევა, რომელსაც პარიზში უცხო ენათა ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, იყო მეუღლე რსფსრ ცნობილი ხელოვნების მოღვაწე იაკობ სმოლენსკის, რომელიც საკავშირო თეატრალურ ინსტიტუტში კათედრის გამგედ მუშაობდა.

არასდროს დამავიწყდება ინსტიტუტში ჩატარებული გამოსაშვები სპექტაკლი „ვეგენი ონეგინი“, რაზედაც საპატიო სტუმრის სტატუსით ვიყავით მიწვეულნი. ვიჯექით პირველ რიგში, რექტორ ეტუშის გვერდით.

სმოლენსკიმ, რომელიც მხატვრული სიტყვის ჩინებული ოსტატი იყო და ამ დადგმაში არ მონაწილეობდა, სპექტაკ-

ლის ერთი ნაწილი სიმბოლურად ჩვენს პატივსაცემად შეასრულა, რასაც, მისგან ამის გამოცხადების შემდგომ, მაყურებელთა ოვაციები მოჰყვა. ეს დღე მქვსიერებას შთაბეჭდვად მოგონებად შემორჩა.

ახლო ურთიერთობა მქონდა გ. როზენბერგის მეუღლე გალინა მუსკოდიევასთანაც, რომელიც ცნობილი ჟურნალისტი იყო („გრინიოვას“ ფსევდონიმით). ქალბატონი გალინე მეგობრობდა ცნობილ მხატვრებთან და მწერლებთან. მათ შორის, ბელა ახმადულინასთან, ბულატ ოკუჯავასთან და სხვებთან.



ციალა ბეჟანიძე, 1979 წ.

გალინასთან ერთად პატარა გემით მდინარე მოსკოვზე სშირად დაესეირნობდით. რა დროსაც იგი ერთგვარ გიდობას მიწევდა. მიყვებოდა სხვადასხვა, მათ შორის იმდროისთვის ტაბუდადებულ თემებზე. ერთხელაც, საკავშირო შინსახკომის რუხი ფერის შენობა მაჩვენა. ბევრ ადამიანს მის ჯურღმულებში დაუბნელებს დღის სინათლეო, — მითხრა სინანულით. თანაგრძნობით აღივსო ჩემს მიმართ, როცა 1937 წელს რეპრესირებული ბაბუის უკვალოდ დაკარგვა გავიხსენე.

გაღინა მეუღლესთან ერთად ზაფხულობით ბათუმში ჩამოდიოდა. ზენდიდსა და ჯემალის მამისეულ ზესოფელში გვსტუმრობდნენ ხოლმე. ყველაზე მეტ დროს „მოდი მნახეს“ ციხის დათვალიერებას ანდომებდნენ.

გ. როზენბერგი მეგობრობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იმჟამინდელ პრეზიდენტთან ვეგენი ხარაძესთან, რომლებთან ერთადაც პერიოდულად აბასთუმანში ვისვენებდით. ბატონი ვეგენი ნამდვილი რაინდობისა და კეთილშობილების განსახიერება იყო. მეუღლეს ყოველთვის ულამაზეს ყვავილებს სჩუქნიდა.

ჯემალის საკანდიდატოს ხელმძღვანელის პროფ. მიხეილ შახპარონოვის ოჯახში ტრადიციულად ახალ წელს აღვნიშნავდით. ერთხელაც ისე მოხდა, რომ საზეიმო თავყრილობა დილის 6 საათამდე გაგრძელდა. ქუჩაში რომ გამოვედით, ირგვლივ ისეთი იდეალური სიწყნარე სუფევდა, თითქოს მოსკოვში მხოლოდ ჩვენ მივაბიჯებდით. სწორედ მაშინ შევიგრძენი სრულად ახალი წლის ხიბლი — თოვლის ფანტელებისა და ნამდვილი ზამთრის თანხლებით, რაც ჩვენში იშვიათობაა.

შახპარონოვის მეუღლე ნინა ვსალოვა საუცხოო დიასახლისი გახლდათ. მისი ძმა იყო რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის ყოფილი თავმჯდომარე (სამწუხაროდ, სახელი ვერ დავადგინე). ნინა ისეთი უშუალობით გამოირჩეოდა, რომ ძალე დავმეგობრდით. მუშაობდა ექიმ-გინეკოლოგად კრემლის საავადმყოფოში და თავისი დარგის გამორჩეულ მედიკოსად ითვლებოდა. გაგვაჩნდა ხშირი მიწერ-მოწერა.

თავის დროზე თბილისის უნივერსიტეტში სწავლისას ჯემალის ახლობლები იყვნენ თანაკურსელები (შემდგომში პროფესორები): ალეკო თავხელიძე (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი), ნოდარ ამალლობელი (თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი), თენგიზ სალუქვაძე, რაფიელ ჩიქოვანი, ვალიკო ახალაძე, გივი ჯობაგა და გივი ჯინჭარაძე.

ჯემალი მეგობრობდა აკადემიკოს მ. მირიანაშვილთან, პროფესორებთან: ლ. შათაშვილთან, ნ. ქაჩლიშვილთან, გ. ხუციშვილთან, ა. იშხნელთან, მ. ჯიბლაძესთან და სხვებთან, ასევე, უზბეკ — კარშიბაევთან, ხაბიბულაევთან (შემდგომში უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი), აზერბაიჯანელ პროფესორ ახადოვთან, გროზნოელ მ. ანისიმოვთან (ამჟამად აშშ მერილენდის უნივერსიტეტის პროფესორი), უნგრელ დიულა ბეკესთან და ა. შ., რომლებიც მოსკოვსა და ბათუმში ხშირად გვსტუმრობდნენ.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ჯემალმა საკავშირო მასშტაბით გამორჩეული ლაბორატორია დააარსა ბათუმის პედინსტიტუტში. ფიზიკის კათედრის ბაზაზე თანამშრომლებთან ერთად ძირითადი საქმიანობისგან მოუწყვეტლივ ასრულებდა დაკვეთებს თვით მოსკოვისა და კიევის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისთვის.

ჯემალის ინიციატივით ბათუმში შედგდა საქართველოს და საკავშირო ფიზიკოსთა ორი კონფერენცია 1974 და 1983 წლებში. პირველი კონფერენცია მისი პედინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგედ მუშაობისას გაიმართა, სამეცნიერ-

რო-მეთოდური ღონისძიების სახით და ბანკეტი ჩვენს ბინაში გადავიხადეთ.

მეორე — გამბნევ გარემოთა სპექტროსკოპიაში III საკავშირო კონფერენციის ეგიდით ჩატარდა ჯემალის პრორექტორობისას. ესწრებოდა სსრკ მასშტაბით 80 ცნობილი ფიზიკოსი.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ფიზიკის სპეციალისტობის გარდა, ჯემალი თვითგანათლებით კარგად ერკვევა ისტორიის საკითხებშიც, რამაც განაპირობა მისი მხრიდან



ც. ბეჟანიძე და ჯ. ბერიძე ვაჟებთან ერთად

წინამდებარე წიგნისთვის კომპეტენტური კონსულტაციების გაწევა.

მანვე დიდი წვლილი შეიტანა ჩვენთვის თურქეთიდან მოწოდებული მურათ კასაპის ნაშრომში „ქართველები ოსმალეთში“ წარმოდგენილი ბეჟანიძეების თარგმანში.

* * *

ჩვენი უფროსი ვაჟი ენრიკო დაიბადა 1968 წელს. დაამთავრა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის ფაკულტეტი, რის შემდგომაც 1990-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო, ხუთი წლით საცხოვრებლად აშშ-ში, ქ. ატლანტაში გადავიდა.

აქვე იქორწინა მარია ლანგესკიზე, რომელიც ხელოვანთა ოჯახიდანაა. ამჟამად ცხოვრობენ თბილისში, სადაც ენრიკომ ფარმაცევტული კომპანია „ABC“ დააფუძნა (დაასაქმა 400-ზე მეტი ადამიანი), მარია კი ფესტივალ „არტგენის“ ერთ-ერთი დამაარსებელია.

ჰყავთ სამი შვილი: 15 წლის ტყუპი ვაჟები — გიორგი და ნიკო და 2 წლის ელიზაბეტა. გიორგი და ნიკო ერთხანს ატლანტაში სწავლობდნენ; დღეისთვის თბილისის გ. ზალდასტანიშვილის ამერიკული აკადემიის მეცხრეკლასელები არიან. გამოირჩევიან მხატვრობის ნიჭით. ნიკო 10 წლის ასაკში გადაიღეს ი. თუთბერიძის მრავალსერიან ფილმში „ფურცლის ტყვია“, სადაც მისივე სეხნიის როლს ასრულებდა. ამჟამად სამივე საქართველოს და აშშ-ს მოქალაქეები არიან.



ენრიკო ბერიძე მეუღლესთან და შვილებთან ერთად


აღსანიშნავია, რომ ატლანტაში ყოფნისას ენრიკოს და იქ მცხოვრებ ქართველებს სულიერად გვერდში ედგათ წარმოშობით კოლანდიელი მართლმადიდებელი მოძღვარი — მამა იოანე, რომელთანაც კონტაქტი ენრიკოს სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც არ გაუწყვეტია. იგი ყოველწლიურად ჩამოდის საქართველოში და ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარია. სწორედ მან მოგვანათლა მე და ნათესაების ნაწილი. პერიოდულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს ეწვევა ხოლმე.

* * *

ჩვენი მეორე ვაჟი — თამაზი საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე, საიდანაც, 1991 წლიდან სწავლა თბილისის უნივერსიტეტში იგივე სპეციალობაზე გააგრძელა. ამჟამად მუშაობს ბათუმის უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრაზე ასისტენტ პროფესორად.

მისმა მეუღლემ ლუიზა ბეჟანიძემ დაასრულა ქ. კრასნოდარის სამედიცინო აკადემიის გინეკოლოგიის ფაკულტეტი. დღეისთვის თავისი პროფესიით ბათუმის ონკოლოგიურ ცენტრშია დასაქმებული.

ჰყავთ ორი შვილი: 11 წლის სესილი, ბათუმის №2 საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლე და 4 წლის ანამარია. სე-



თამაზ ბერიძე ოჯახთან ერთად

სილი პოეზიითაა გატაცებული. მისი შთაგონების წყარო საგვარეულო ციხეცაა, რის მიმართ მიძღვნილ ლექსს აქვე გთავაზობთ. ვფიქრობთ, დამწყები მელექსის კვალობაზე იგი ურიგო არ უნდა იყოს, თუმცა, რომ არ მოგეჩვენოთ, ბებიამ შვილიშვილს აქებსო, ამ ლექსის განსჯა თქვენთვის მოგვიინდია, ძვირფასო მკითხველო.

მუდამ დაამშვენებს ქედას

ჩვენი ციხის ნანგრევებში
გაუტეხელ სულსა ვხედავ,
მან დაიცვა აჭარა და
მისი კვალი ახლაც ელავს.
საქართველოს დიდი გული
აჭარაში ისევ ფეთქავს;
რა მწარე დროც არ დაგვიდგეს
არ იქცევა ციხე ფერფლად...
მჯერა, ის დრო დაგვიდგება,
რომ აღვადგენთ ყველა ერთად.
ციხეს, რომლის ნანგრევებში
ყველა სიძლიერეს ვხედავ,
მუდამ დაამშვენებს ქედას.

* * *

პირმსახურისძეთა (პირფარეშისძეთა) შტოს ბეჟანიძეებიდან საზოგადოებრივი ღვაწლით გამოირჩეოდნენ ალი ადას შთამომავლები — ქიბარი, სულეიმანი და სეფერი. ქიბარ-ადას დარჩა ოთხი შვილი: ემინე, ყარაღა, ისა და ესმა. ემინე სოფელ მილისში გვარიშვილების ოჯახში გათხოვდა. თავის მხრივ ყარაღაც გვარიშვილების საგვარეულოს დაუმოყვრდა. ჰყავდა ხუთი შვილი: ჯეგადი, ისაკი, ნაზი, სულიკო და ნუგზარი, რომელთაგან ზენდიდში მხოლოდ ნაზი და ნუგზარი ცხოვრობენ. ნუგზარს ჰყავს სამი შვილი — თამაზი, რამაზი და რუსუდანი. ნაზის — მხოლოდ ერთი ქალიშვილი, თამთა.

ისამ, როგორც რუსული ენის მცოდნემ, სამსახურებრივი კარიერა ბათუმის პორტში თარჯიმნად მუშაობით დაიწყო.



მარცხნიდან — ისა ბეჟანიძე

ფლობდა არაბულ ენასაც. შემდგომში საქმიანობდა ჩრდილოეთ კავკასიის ქ. მაიკოპის ცენტრალური სალაროს დაცვაში. სამხედრო განათლების მიღებისთანავე კისლოვოდსკში მსახურობდა. იყო კვალიფიციური, ავტორიტეტის მქონე ოფიცერი. ცოლად ჰყავდა შერვაშიძის ქალი. დარჩათ ერთადერთი ქალიშვილი ყუდრეთი. ისა 32 წლის ასაკში მოულოდნელად გარდა-

იცვალა. სიცოცხლის ბოლომდე მტკიცე ნებისყოფიან, შეუდრეკელ პიროვნებად იცხოვრა.

ქიბარ-აღას უმცროს შვილს ესმას ოჯახი არ შეუქმნია.

ალი-აღას მომდევნო ვაჟს სულეიმანს დარჩა ორი შვილი — ახმედი და რიზმანი. ახმედს ჰყავდა 5 ვაჟი და ერთი ქალიშვილი: მამუდი, სულეიმანი, შევქეთი, სელიმი, ჯემალი და მეხფულე. ზენდიდში ძირითად ფუძეზე ახლა ჯემალის ძმისშვილის, დურსუნის ვაჟები — ბონდო და ზაზა ცხოვრობენ.

ალი-აღას მესამე შვილს, სეფერს, დარჩა ქალ-ვაჟი: ხატიჯე და მურთაზი. მურთაზ-აღა, საგარაუდოდ, დაიბადა 1887 წელს. იყო მდიდარი და შეძლებული პიროვნება. დაასრულა უმაღლესი საფინანსო სასწავლებელი სანკტ-პეტერბურგში. მუშაობდა ფინანსისტად აწჷქესის მშენებლობაზე. ემსხვერპლა 1937 წლის ბოლშევიკურ რეპრესიებს. დატოვა ცხრა შვილი: ხუსეინი, სეფერი, ოსმანი, მემედი, აიშე, ფადიმე, ნიგარი, გუგული და ზექიე. ხუსეინი ადრე გარდაიცვალა.

მამის მსგავსად პროფესიით ფინანსისტმა სეფერმა, რომელიც ერთხანს ბოლშევიკთა მიერ დაპატიმრებული იყო, სამი შვილი აღზარდა — ამირანი, ავთანდილი და მზია. ამირანს ჰყავს ქალ-ვაჟი — რუსლანი და ირინა. ავთანდილის შვილებიდან ლუიზა ბეჟანიძის შესახებ ჩვენ ზემოთაც ვისაუბრეთ, რაც შეეხება მის ძმებს ელგუჯასა და ირაკლის — ამჟამად ისინი ბათუმში ცხოვრობენ და სხვადასხვა სფეროში იღვწიან.

პირფარეშისძეთა შტოს ბეჟანიძეებიდან ახლობლობა გაგვაჩნდა დედაჩემის ბიძაშვილის ასან-აღასა და მამის დედის ქმრის უსუფ-აღას ოჯახებთან. ასან-აღას მეუღლე ქ-ნი ფადი-

მე გოგიტიძე ჩვენს მიმართ ყოველთვის გულისხმიერებით გამოირჩეოდა. ბავშვობაში გულუხვად გვიმასპინძლდებოდა. ხელცარიელს არასდროს გამოგვიშვებდა. ხან რას გამოგვატანდა შინ, ხან რას. გარეგნულად მშვენიერი შესახედაობისა, ფაქიზი სულიერებითაც გამოირჩეოდა. სამწუხაროდ, ახალგაზრდა დაქვრივდა და შვიდი შვილის ობლობაში გამოზრდა მოუხდა.

ვაჟებიდან რამიზსა და უსუფს უძაღლესი განათლება მიაღებინა. ისინი საზოგადოებაში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. რამიზი ერთხანს ქედის რაიონის ს. პირველი მაისის საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა. უსუფის გარდა ჰყავდა კიდევ ერთი ძმა — ჯემალი და ოთხი და: ასიმე, სურიე, ემინე და სეერი.

უსუფ-აღას მემკვიდრეობა დღემდე წყავრათთან ახლოს, გვარამკალოს ფერდობთან ცხოვრობს. უსუფის მეუღლე, ქალბატონი ემინე, ნაადრევად გარდაიცვალა. ხუთი შვილის აღზრდაში ოჯახს მეტწილად ბებიაჩემი ეხმარებოდა, რომელსაც დის ოჯახში თან დავეყავით ხოლმე. მამაჩემის დედაშვილებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას ჩვენდამი ქალბატონები ფუმფუელი და მინერი იჩენდნენ. ეზოში უზარმაზარი ბლის ხეები ედგათ. ბავშვებს ხელში აგვიყვანდნენ და დაბალ ტოტებზე ბალს ჩვენი ხელით გვაკრეფინებდნენ, რაც უზომო სიხარულს გვანიჭებდა. არანაკლებ სითბოს ამჟღავნებდნენ ჩვენს მიმართ მათი ძმები — ზია, ხუსეინი და თამაზი.

დაბა ქელიდან ზენდიდისკენ ამაველი გზის დასაწყისში სახლობენ ჰელიმ-აღას ნამრავლი ბეჟანიძეები, რომლებიც ოდითგან გამოირჩეოდნენ ვაჟკაცობით და მებრძოლი ბუნებით.



ასლან-ბეგ ბეჟანიძე



ასლან-ბეგ ბეუანიძე ახლობლებთან ერთად



მარჯვნიდან: რ. ხალვაში, თ. ბეჟანიძე, რ. დიასამიძე თურქეთიდან
სტუმრებთან ერთად დუდი-ხანუმ ბეჟანიძის საფლავთან ქონაში



თურქეთიდან წვეული ნათესავები ბეჟანიძეების ოჯახში



ნიაზ ბეჟანიძე (შუაში) მუშაობისას



მეორე მწკრივში მარცხნიდან: ნიაზ და რამიზ ბეჟანიძეები



მარჯვნიდან: ციალა, მზევეინარ, ნარგის ბეჟანიძეები და მზია ჯაყელი
ბეჟანიძეთა ამჟამინდელ საცხოვრებელთან ზენდიდში



რესტავრირებული ბეჟანიძეთა ყოფილი საცხოვრებელი დაბა ქედამში



თენგიზ ბეუანიძე
წყნდიდის
საგვარეულო ციხეში



ბექა ბეუანიძე სამუშაო გარემოში




ლევა კრაფჩენკო, ციალა და ნარგის ბეჟანიძეები ს. ზენდიდის საცხოვრებელ სახლში



ბეჟანიძეთა თავყრილობა საგვარეულო ფუძესზე


ზენიდის ციხესიმაგრის შიგნით მცხოვრები თავადი ბეჟანიძეების
(თულუმბაზადეების) გენეალოგია

ციხის გენგემის ავტორი პროფესორი ი. მოსულიშვილი
მ = 1 : 200




შენიშვნა: სახლები №1, №2, №3 არსებობს ამჟამადაც, სადაც ცხოვრობს თავად ბეჟანიძეთა შთამომავლობა.


თავად ბეკანიძეთა გენეალოგია



თავად ბეჯანიძეთა გენეალოგია



თავად ბეჯანიძეთა გენეალოგია



ბოლოთქმა

წიგნზე მუშაობა უკვე დასრულებული გვექონდა, როცა დაიბეჭდა ბატონ რ. სურმანიძის ნაშრომი „ბეჟანიძეები“. ამ მიზეზის გამო, მისი გათვალისწინება ვერ შევძელით, მაგრამ საჭიროდ ვცანით, ჩვენი აზრი გამოგვეთქვა აღნიშნულ წიგნში წარმოდგენილ რამდენიმე დასკვნასთან დაკავშირებით:

1. ვერ გავიზიარებთ ბატონი რ. სურმანიძის დასკვნას იმის თაობაზე, რომ თითქოს ზენდიდის ციხის მფლობელი ბეჟანიძეები პირმსახურისძეების (პირფარეშისძეების) შთამომავლები არიან. ამ მოსაზრებას წინამდებარე წიგნშიც ვეხებით და ისევ გავიმეორებთ, რომ „მოდი მნახეს“ მფლობელი ბეჟანიძეები ყოველთვის სახლობდნენ და სახლობენ ისტორიულ ციხესიმაგრეში, გალაგნის შიდა ტერიტორიაზე. ოსმალთა ბატონობის დროიდან საგვარეულოს ეს შტო თულუმბაზადეებად იწოდებოდა. რაც შეეხება პირმსახურისძე (პირმსახუროლლი) ბეჟანიძეებს, ისინი, ისევე როგორც ზენდიდის სხვა გვარები — პაპუნძეები (პაპუნოლლები) და ბერიძეთა ორი შტო: ყოფილი ხაზინადაროლლების, ანუ ხაზინადარებისა და ყოფილი ქოროლლების, ანუ ქორიძეების — ცხოვრობენ ციხესიმაგრის გარეთ. თულუმბაზადე-ბეჟანიძეებსა და ამ გვარებს (პირველ რიგში კი, პირმსახურისძე-ბეჟანიძეებს) შორის ყოველთვის იყო მჭიდრო ურთიერთკავშირი, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ოსმალთა ბატონობის შემ-

დევ, როცა ქართული გვარების ოფიციალურად აღდგენა დაიწყო, პირმსახურისძეებმა სწორედ თულუმბაზადეების თანხმობით დაიწერეს ბეჟანიძის გვარი.

2. თულუმბაზადე-ბეჟანიძეები ვერ ჩაითვლებიან დიასამიძეთა შთამომავლებადაც. მე-16 საუკუნის დასაწყისის დოკუმენტში, რომლის მცდარ (დ. ბაქრაძისეულ) ამოკითხვასაც ემყარება ბატონი რ. სურმანიძე, მცხეთის საპატრიარქოს „სამწყსოთა სამცხის თაგადთა“ შორის აჭარის დიდგვაროვანთაგან მხოლოდ და მხოლოდ ხიხათა (აჭარის) ერისთავთ-ერისთავი აბუსერიძეები იხსენიებიან. აქედან ნათლად ჩანს, რომ ისინი მე-16 საუკუნის დასაწყისში ისევ ინარჩუნებენ ძალაუფლებას, დიასამიძეები კი, ამავე დოკუმენტის აკადემიური გამოცემების მიხედვით, სამცხის თაგადები არიან და ფლობენ ღობიერთა მამულებს. აღნიშნულ დოკუმენტში ბეჟანიძეები არ ფიგურირებენ, რადგან აბუსერიძეთა საგვარეულოს ეს განშტოება ცოტათი გვიან გაჩნდა და წარმომავლობით უკავშირდება აჭარის მფლობელი ბეჟანის სახელს, რომელიც მე-16 საუკუნის მეორე ნახევრის ოსმალურ წყაროში „დაუმორჩილებელ მთავრად“ იხსენიება. პროფ. რ. ხალვაშის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება სრულ თანხმობაშია ბეჟანიძეების (თულუმბაზადე-ბეჟანიძეების) საგვარეულო გადმოცემასთან. გარდა ამისა, ანგარიში უნდა გაუწიოთ ქედაში მცხოვრებ დიასამიძეთა საგვარეულო გადმოცემასაც, რომლებმაც იციან, რომ მათი წინაპრები აქ სამცხიდან გადმოსახლდნენ, ხოლო „მოდო მნახეს“ პატრონი ბეჟანიძეები ძველთაგანვე აჭარაში ცხოვრობდნენ და ზენდიდისა და „მოდო მნახეს“ ციხის მკვიდრები იყვნენ.

SUMMARY

Bezhanidze belongs to one of the ancient surnames in Ajara. On the basis of legends and recently published scientific researches the ancestors of the Bezhanidzes presumably are represented by Eristavt Eristavi Abuserisdzes of Southern-Western Georgia of XI-IV c.c., having been highlighted at the historical arena since the kingdom of Bagrat IV (1027-1072). Primarily, their ancestral property included ArtanujiSaeristavo, Samtskhe (Tsikhisjvari, Atskuri) and Ajara, later only Khikhata (Ajara) Saeristavo. The family was famous for building fortresses and churches. A living herald of their cultural traditions – Skhalta Cathedral dating back to XIII medieval centuries is still erected in the Abuserisdze Lands, being magnificent monument of Georgian architecture. Tkhilvana and Vernebi Churches built by the generation were also functioning. According to the legend, King Tamar and David Soslan got interested with the state of the Abuseridzes' Khikhata Fortress, having granted the land to EristavtEristavi Family with a special diploma. The Abuserisdzes were distinguished with their struggle for country's strength and integrity. EristavtEristaviIvaneAbuseridze died in Basiani Historical War during the ruling of King Tamar (1203), being finished with the victory over Turkish army. The sons of Eristavt Eristavi Abuseri, Vardan, Tbel and Vanen greatly contributed to promotion of Feudal House of the Abuserisdzes.

Tbel Abuserisdze (1190-1240) was a junior contemporary of Rustaveli, writer and astronomer, being an author of various chants, re-

ligious-historical compositions and chronological-astronomic treaty (Calendar Reference Book), directing the scientists 350 years earlier towards astronomical errors in chronology system functioning for that period and forcing even the Pope of Rome Grigol to propose changes in the Roman Calendar by imitating a Georgian finding in 1582.

The surname Bezhanidze itself was generated from the proper name “Bezhan”, being verified in the Diplomas of Chakvi of 1664 and Khvaniauri (Kapreshumi) of the same period with the form of Bezhitā-Bezhitai (I. Bekirishvili). According to researchers, the founder of the surname was the last Christian ruler of Ajara (Ajarist-skali) George Bezhan, being deprived of the afore-mentioned territory due to disobedience, being an initiator of the riot with the reference to Turkish documents dating back to 1561 (A.D. 968)... According to the materials of 1563 (A.D. 971) the latter retrieved back his lands after claiming obedience to the Sultan and adopting Islam religion. According to Professor R. Khalvashi, he is also met among the Sanjakbeg of Ajara in Ottoman sources of 1566 (Z. Shashikadze), the afore-mentioned Bezhan identified with BezhanAbuserisdze was recorded in Funeral Feasts (Agapebi) of XVI „Klarjeti Svinaksari“, claiming the obedience to the Sultan to cheat the enemy with the purpose of preserving the governance. Bezhan renovated and expanded a historical fortress of Bezhanidzes’ ancient settlement – „Modi Mnakhe“ (Visit Me) in the village Zendidi, to become the main axis during the war against the Ottomans. The existence of the afore-mentioned fortress faor that period is verified through functioning of hall-type church located at the distance of 150-200 m, being constructed in IX-X centuries according to researchers, which evidently could

not have appeared without the perish settlement (fortress) struggling against the enemy. Professor I. Mosulishvi goes even far, making a parallel between rectangular stones of the fortress „ModiMnakhe“ (Visit Me) and Ujarma (VI c.) and Rustavi (VIII c.) ancient fortresses as well as other monuments of that period. According to the researcher Zendidi Church was also constructed in the same period, hence it must be discussed within an integral complex of the fortress. As it is known, old fortresses included the chapels inside as well as outside the territory. The existence of an ancient church in the ruins of Zendidi Fortress is verified through existence of one of the stone arches preserved there. Presumably, a chapel (church) must have also existed in the environs of toponym Betlemi Lake.

One can think that „Modi Mnakhe“ (Visit Me) Fortress (though in comparatively small scales) was primarily constructed by the afore-mentioned Abuseridze, the beginning of whose public life chronologically coincides with a presumable period of constructing a Zendidi Church. Whereas a Zendidi Fortress existing at the background of weakening impact of the afore-mentioned ancestry became the property of their own family branch of Bazhanidze from the second half of XVI century after its renovation and expansion. Naturally, the Fortress with military functions had to overcome „number of disasters. According to the location, Ajaristskali Gorge is blocked by the fortress, having a rather favourable location during a struggle with the enemy. The fortress initially had a strategic function within an integral system of Begoshvilebi, Tsivasula, Mtisubani, Chkhutuneti and other fortification buildings – overlooking the ancient trade roads and Ortsva-Merisi slopes with the entries to Turkey, at the mercy of which the fortress had the ability to protect Keda Settlement and its envi-

rons. Hence, the Bezhanidzes together with prominent patriots of Ajara firmly opposed the enemy, finally leading to the destruction of the fortress, being proved by historical examples as well as several legends having been preserved down to the present day.

According to the statement of Z. Chichinadze, the biggest patriot of the region a number of Ajarian heroes sacrificed their lives during the struggle against Persians (Kizilbash), after the Atabags fled from Shah – Tamaz (Dedisimedi with their children) found the shelter in Zendidi. Secondly, the Fortress was ruined during the ruling of Akhaltsikhe Pasha Seper-Beg (Muslim Beka) from 20s of XVII century, when a decision upon converting Ajara into Muslim region was taken. Thirdly, under the leadership of Zendideli Hajji Hasan Beg in 1845 the Ottomans were honourably met by the local residents. A particular attention is drawn by the title of the fortress „Modi Mnakhe“ (Visit Me), possibly to be named for the strength and diligence of its guardians.

The afore-mentioned monument has preserved down to the present in a rather damaged form, a military function of which once again being verified through guard rails, gun-holders, and secret tunnels, struggle platforms of the gates, struggle paths and holes, being joined with the ravine located to the north of the fortress. During a certain period the primary face of the fortress was changed, where economic structures and several residential houses were located, in which the owners of the fortress were settled. Their descendants are even currently living there, being a rare exception in Georgia.

Favourable conditions of Ajaristskali Gorge could not have affected mastering of Bezhanidze domain – Lower Ajara in earlier period. In VIII-IX c.c. a main juncture of Batumi-Artanuji Economic

links were located there, being proved by the preserved arch bridges. Primary data upon the ancient dwelling of the ancestry – Zendidi are met in „Tbeti Spirits Chronicle“ of XIII-XIV c.c., where the grandfather GorgasdzeZendideli is named. The name of the village is supposed to be linked with the Sun Cult or Glory to God. Up to 140 toponyms are fixed there in total, being of Georgian origin, which creates a vivid impression about the life of the locals. The remnants of old period pitchers, jugs, uni-colour glass bowls, tobacco pipes with rich ornaments, indicates on the fact that in parallel with leading rural agriculture ceramic production was highly-developed there, which is proved by the existence of place name „Satsera“ (Jiketa) in the village. According to the legend, earlier there was a tile-producing plant in Zendidi, where the tile-manufacturing soil was sifted. Technology for stone procession was also well developed there, being verified by the abundance of stone-grinders (Chamuri), in which mostly bread and millet was ground with the cudgel, i.e. the bread was cultivated from ancient times on the site, being illustrated through a relevant toponym „Napurala“ („Puri“ denoting „Bread“). It is noteworthy that the expression of the stone-man fixed in the vicinity of the fortress once again verifies the oldness of the site in view of analogous samples discovered in Ajara.

The Bezhanidzes living in Zendidi are represented as the branches of princes (being a relevant Ottoman nickname for Tulumbazadeebi, Thulumba – meaning of giant construction, Zade-child, Aristocratic generation) and noblemen (Pirmsakhurisdzeebi, Pirispareshisdzeebi). From ancient times Tulum generations were settled on the territory of the fortress, as for the lands located outside the fortress „Modi Mnakhe“ (Visit Me) belonged to Pirmsakhurisdzeebi, being also set-

tled at the fortress gates, at the slope of the nearby mountain (Kosolia), always distinguished as the most devoted defenders of the fortress. In view of the above-mentioned, one can't exclude the narration by Z. Chichinadze based on folk legends according to which Pirpareshidze of King Tamar's period being considered as Fortress owners and ancient ancestors of the Bezhanidze was based on the narrations told by the representative of the above-mentioned ancestral branch.

ZendideliTulumbazadeBezhanidze owned the lands in Chakvi apart from the lands in Lower Ajara, where of the eldest representatives of the family – the son of Akhmed Beg Bezhanidze was settled at the end of XVIII century. Lately, Chakvi Domain Bezhanidzes owned the lands in Batumi, Hill of Fortress-Palace owner Tamar at the tributary of Korolistakli and Black Sea and 40 decimal territories in its environs. According to the legend, this hill was artificially constructed by King Tamar when returning from Trabzon accompanied by the huge army (D. Bakradze). According to some sources the domains of Chakvi Bezhanidzes are marked with the following lands beginning from Korolistskali: Makhinjauri, Green Cape, Sakhalvasho, as well as Chakvi with its environs until Tsikhisdziri (I. Bekirishvili).

РЕЗЮМЕ

Род Бежанидзе в Аджарии один из самых древних. По преданиям и на основе изданных научных исследований последнего времени, предками Бежанидзе, вероятно, являются представители XXI-XV вв. юго-западной Грузии эриставтэристави Абусеридзе, которые на исторической арене появились со времен царствования Баграта IV (1027-1072 гг.). Вначале владения охватывали Артануджское саэриставо, Самцхе (Цихисджвари, Ацкури) и Аджарию. В дальнейшем только – Хихатское саэриставо (Аджария). Они были известны как строители крепостей и церквей. В имении Абусеридзе по сей день стоит храм Схалты – вестник культурной традиции, датированный XII веком, являющийся великолепным памятником грузинского зодчества – архитектуры Грузии. Здесь же функционировали церкви Тхилвани и Вернеби, построенные самими членами род Абусеридзе. Царица Тамара и Давид Сослан, заинтересованные вопросом крепости Хихата, узаконили его грамотой Эриставтэристам – великим князам. Представители рода Абусеридзе были отличными защитниками могущества и единства Грузии. Эриставтэристави Иване Абусеридзе во время царствования Тамары погиб в исторической битве при Басиани (1203г.), которая окончилась победой над турками. В продвижении феодального дома рода Абусеридзе, большая заслуга принадлежит детям великого князю Иване: Абусеру, Вардану, Тбелу и Ванену.

Тбел Абусерисдзе (1190-240) – писатель и астроном был младшим современником великого Шота Руставели. Он автор песнопений, религиозно-исторического сочинения и хронологическо-астрономического трактата (календарного справочника). Именно этот трактат явился указателем астрологические заблуждения действующих в то время систем летоисчисления. И в 1582 году заставил самого папу Римского Григория XII на основе хронологическо-астрономического трактата, внести изменения в Римский календарь.

Родовое происхождение рода Бежанидзе в основе имеет имя собственное „Бежан“, что изначально подтверждается в Чакинских и Хваниаурских (Капрешумских) грамотах формой Бежита-Бежитай, датированных 1664 годом (И. Бекиришвили). По мнению исследователей, основоположником рода был Бежан, последний правитель христиан Аджарского (Ачарисцкальского) ущелья. На основе турецкого документа, датированного 1561 годом, эта территория (968) из-за непокорности и смуты была конфискована у Бежана. По материалам 1563 года (971) Бежан, принявший ислам и присягнувший на верность султану, сумел вернуть свое владение. В османских источнике за 1566 год он встречается как санджанбек Аджарии (З.Шашикадзе). По мнению Р.Халваши, вышеупомянутый Бежан Абусерисдзе, в агапах кларджетского свинаксы XVI века, зафиксирован как Бежан Абусерисдзе, который присягнул на верность султану, в целях сохранить свою власть. В период непокорности он реконструировал и расширил древний очаг Зендидской исторической крепости «Моди мнахе», который и должен был стать одним из главных основ в борьбе против османцев. Существование вы-

шеупомянутой крепости подтверждает и зальный тип храма, находившийся в 150-200 метрах от неё, которая по мнению исследователей была построена в IX-XII веках. По всей вероятности, она имела и своих прихожан и защитников крепости. Профессор Мосулишвили сопоставляет и проводит параллель между крепостями Уджарма (VI в) и Рустави (VIII в), а также с другими памятниками этой эпохи. Исследователь утверждает, что Зендидская церковь также была построена в этом периоде, что по всей вероятности позволяет рассматривать её в едином комплексе с крепостью. Как известно, древние крепости имели часовни, как на внешней, так и на внутренней территории. В развалинах Зендидской крепости, найденная каменная арка является ярким свидетельством того, что на этой территории когда-то стояла церковь. По всей вероятности, часовня (храм) должна была стоять и в окрестностях топонима озера Бетлем.

Следует задуматься и над тем, что „Моди мнахе“ (сравнительно в малых масштабах) была ли она изначально воздвигнута вышеупомянутыми представителями рода Абусерисдзе, начало деятельности которых хронологически совпадает со строительством Зендидской церкви. После ослабления влияния рода, находившаяся около церкви Зендидская крепость, после ее обновления-расширения, со второй половины XVI века превратилась в частную собственность рода Бежанидзе, являющейся ветвью данного рода. Очевидно, что крепость, предназначенная для битв, подвергалась множеству нашествий. Своему месторасположением, она закрывала Ачарисцкальское ущелье и имела весьма выгодные боевые позиции. Такое же стратегическое значение имела единая система фортификационных сооружений

Бегошвили, Цивасула, Мтисубани, Чхутунети и др. Сверху были видны купеческие дороги и Орцва-Мерисские переходы в Турцию, защищавшие поселок Кеда и близ лежащие территории. Именно отсюда и отбивали врага представители рода Бежанидзе вместе с избранными сыновьями Отчизны. В итоге таких столкновений и была разрушена крепость. Известны несколько преданий: по словам великого З.Чичинадзе, здесь в 1575 или в 1576 гг. в битве с персами погибли лучшие сыны Аджарии, именно после того как Атабаги, бежавшие от шах-Тамаза, сумели скрыться в Зендиди. А во второй раз крепость пала в 20-ых годах XVII века во время правления Ахалцихского пашы Сефер-бега (омусульманевший Бека), когда собирались омусульманить Аджарию.

В-третьих, в 1845 году местные с почетом встретили османов во главе с Хаджисан-бегом Бежанидзе. Привлекает внимание и название „Моди мнахе“, что является ярким свидетельством несокрушимости и стойкости местных.

Вышеупомянутый памятник дошел до нас в поврежденном виде, о геройской славе которой подтверждает сохранившаяся до сегодняшнего дня ограда, ружейные башни, боевые площадки ворот, боевые тропинки и щели, потайные ходы, которые соединялись с северным ущельем. С течением времен крепость изменила свой первоначальный вид, где расположены хозяйственные сооружения и несколько жилищных домов, в котором обосновался хозяин крепости. По сей день здесь живут их потомки, что и является редким случаем в Грузии.

Благоприятные условия Ачарисцкальского ущелья не могли не повлиять на владения рода Бежанидзе – в освоении в раннем периоде нижней Аджарии. В VIII-IX веках здесь проходила глав-

ная ветвь Батум-Артануджской экономической связи, свидетельством которой явились сохранившиеся арочные мосты. О древнем владении рода – Зендиди первые данные встречаем в XII-XIV веках в „Гбетис султа матеане“, где упоминается некий Папа Горгасдзе Зендидели.

Существует мнение, что название деревни, по всей вероятности, связано с культом солнца или возвышения Господа. Всего здесь зафиксировано до 140 топонимов, грузинского происхождения, которые создают яркое представление о жизни местных. Здесь же археологи обнаружили остатки древних кувшинов для вин, графины, одноцветные стеклянные чаши. Это было ярким показателем того, что кроме сельского хозяйства здесь было развито керамическое производство. Доказательством этого является название места в деревне „Сацера“ (Джикета). По преданию в Зендиди раньше был черепичный производительный цех, там же и просеивали заготовительную землю для черепицы. Хорошо владели и технологией обработки камня, о чем свидетельствует наличие множество каменных ступок, в основном для молотбы гоми и хлеба, т.е. издревле здесь пекли хлеб. Существует соответствующий топоним „Напурала“. Обращает внимание и то, что найденное около крепости изображение лица каменного человека еще раз является ярким доказательством древности этого месторасположения (Дж. Микеладзе).

Род Бежанидзе, проживающие в Зендиди, представлен как княжеский (род Тулумбазаде, Тулумба-высокий, очень крупного телосложения, заде-сына, является соответствующая османская кличка) и дворянская ветвь (род Пирмсахурисдзе, Пириспарешидзе). На территории крепости издревле жили потомки Ту-

лумба. А что касается рода Пирмсахурисдзе, то они всегда жили за оградой крепости „Моди мнахе“ и выполняли роль достойных защитников. Исходя из этого, не является исключением и рассказ З.Чичинадзе, основанный на народных преданиях, в частности, на рассказ одного из представителя рода Пирфарешисдзе – древнейшими хозяевами – владельцами крепости и предками рода Бежанидзе принято считать род Пирфарешисдзе времен царствования Тамары.

Зендидский Тулумбадзе Бежанидзе, кроме нижней Аджарии, имели поместья и в Чакви, где к концу XVIII века обосновался сын Ахмед Бега Бежанидзе Сефер. В дальнейшем владельцы Чакви Бежанидзе, в Батуми владели дворцом-крепостью царицы Тамар и 40 десятинами земли, которая была расположена в месте слияния реки Королисцкали в Черное море. Гору искусственно соорудили по приказу царя Тамары, когда она с многочисленным войском возвращалось из Трапизона (Д. Бакрадзе).

Некоторые источники территорию Чаквинских Бежанидзе, начиная с Королистави, определяют следующими землями: Махинджаури, Зеленый мыс, Сахалвашо, а также Чакви с окрестностями до Цихисдзири. (И. Бекиришвили).

Издrevле большую роль в истории южной Грузии играл род Бежанидзе. Начиная еще с времен владычества Османской империи, представители этого рода должны были быть правителями, без которых османский правитель (хонткари) не мог издавать никаких приказов и распоряжений. (С. Месхи).

Род Бежанидзе в большинстве случаев роднится с родом Абашидзе, Химшиашвили, Шервашидзе, Тавдгиридзе, Сурманидзе и с другими, что нередко служило интересам края.



ციალა ბეჟანიძე დაიბადა 1946 წელს ს. ზენდიდში. ხუთი წლის ასაკიდან სწავლა სოფლის დანყებით სკოლაში დაიწყო. ბათუმის №16 საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, 1966 წელს დაამთავრა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის ფიზიკამათემატიკის ფაკულტეტი.

სპეციალობით მუშაობდა ქ. ბათუმის №1 საშუალო სკოლაში. მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა მომავალი თაობების აღზრდაში. 1992 წლიდან დამსახურებულ პენსიაზეა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა	3
გვარსახელ „ბეჟანიძის“ ეტიმოლოგია და წარმომავლობა	8
აჭარის ერისთავთ-ერისთავი აბუსერისძეების საგვარეულო	15
ზენდიდელ და ჩაქველ ბეჟანიძეთა სამკვიდრებელი და მათი საგვარეულო ციხე	26
ბეჟანიძეები საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე	61
გენეალოგიური ტაბულები	186
ბოლოთქმა	192
რეზიუმე ინგლისურ ენაზე	194
რეზიუმე რუსულ ენაზე	200
ავტორის ბიოგრაფია	206

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა **მალხაზ ფალავა**
კორექტორი **ნანული წილოსანი**
ოპერატორი **მანია მისხიკა**
რეზიუმეების მთარგმნელი **თამარ დოლიძე**

ავტორი მადლობას უხდის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის
სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს წიგნში წარმოდგენილი
ფოტოების ნაწილის მონოდებისათვის

ნაშრომში გამოყენებულია, ასევე, მ. ლანვესკაიას მიერ
გადაღებული ფოტომასალები

ქალაქის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 13
ტირაჟი 500

ISBN 9789941435140



9 789941 435140 >